ცაცა ნამჩევაძე

მასობრივი მომსახურების გამოთვლითი სისტემების ანალიზი მათი საიმედოობის გათვალისწინებით

წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, 0175, საქართველო
აპრილი, 2008

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ნამჩევაძე ცაცას მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „მასობრივი მომსახურების გამოთვლითი სისტემების ანალიზი მათი საიმედოობის გათვალისწინებით“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმძღვანელი:

რეცენზენტი:

რეცენზენტი:

რეცენზენტი:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2008 წ.

ავტორი: ნამჩევაძე ცაცა

დასახელება: მასობრივი მომსახურების გამოთვლითი სისტემების ანალიზი მათი საიმედოობის გათვალისწინებით

ფაკულტეტი: ინფორმატიკისა და მართვის სისტემების

აკადემიური ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა:

რეზიუმე

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს მართვის პროცესების კომპლექსური ავტომატიზაცია. მართვის ავტომატიზირებული სისტემები (მას) თავის შემადგენელ ელემენტებად იყენებს გამოთვლით სისტემებს (გს- ს). მას-ის დანერგვისათვის საჭიროა ფრიად რთული ამოცანების გადაწყვეტა ტექნიკური საშუალებების რაციონალურად არჩევისათვის და ფუნქციონირების პროცესის ოპტიმალური ორგანიზაციისათვის შესაბამისად პროექტირებისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე.

მართვის სისტემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: დიდი მოცულობის გამოთვლითი სამუშაოების შესრულება დროის განსაზღვრულ ინტერვალში, როცა შესასრულებელ სამუშაოს აქვს შემთხვევითი ხასიათი; გამოთვლითი პროცესების მაღალი მტყუნებამდგრადობა; გამოთვლითი სიმძლავრის გაზრდის შესაძლებლობა და ა.შ. ამ მოთხოვნებს შორის ძირითადს წარმოადგენს მართვის მაღალი მტყუნებამდგრადობა.

ამასთან დაკავშირებით, უკანასკნელ წლებში მოცემული კონფიგურაციის რესურსების ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფის პერსპექტიულ მიმართულებას წარმოადგენს გამოთვლების ორგანიზაციის ტექნოლოგიური მეთოდების გამოყენება და დამუშავება სხვადასხვა სახის სიჭარბის (აპარატურული, ინფორმაციული და დროითი) შემოღების გზით.

მოდულური აგებულების მქონე გს-ის მასობრივი გამოყენების ეფექტურობა მნიშვნელოვან წილად განისაზღვრება მათი პრობლემურ-ორიენტირებული შესაძლებლობებით, ე.ი. მომხმარებლის სხვადასხვა სახის ამოცანებისადმი მათი ადაპტაციით. აღნიშნული გს-ის ფართო გამოყენებისათვის აუცილებელია მათი აგების მაღალმწარმოებლური ტექნოლოგიის პროექტირების დამუშავება და პრაქტიკაში დანერგვა.

თანამედროვე პირობებში გამოთვლითი სისტემების სწრაფმოქმედებისა და საიმედოობისადმი წაყენებულმა გაზრდილმა მოთხოვნებმა, აგრეთვე მიკროპროცესორების ღირებულების სწრაფმა შემცირებამ სტიმული მისცა მრავალპროცესორიან გამოთვლით სისტემებს (მპგს-ს) და მრავალმანქანიან გამოთვლით სისტემებს (მმგს-ს).

ზემოთ აღნიშნული სისტემების ანალიზური მოდელების შექმნა წარმოადგენს რთულ ამოცანას. სწორედ, გს-ის ფუნქციონირების მათემატიკური (ანალიზური) მოდელების აგებას და მათი ანალიზისათვის თეორიის ჩამოყალიბებას ეძღვნება სადისერტაციო ნაშრომი.

დისერტაციაში კვლევის ობიექტს წარმოადგენს გამოთვლითი სისტემები, რომელთაც გააჩნიათ მტყუნებებისადმი მდგრადობის ამაღლების სხვადასხვა საშუალება. ეს საშუალებანია: აპარატურული, ინფორმაციული და დროითი სიჭარბე. ამ საკითხის ანალიზისადმი მიძღვნილია ბევრი სამეცნიერო პუბლიკაცია. ცნობილი სამეცნიერო სამუშაოები ძირითადად ორიენტირებულია შედარებით მარტივი

მოდელების შესწავლაზე სტაციონალურ მდგომარეობაში, როცა შემავალი ნაკადი არის პუასონური და მომსახურების დრო ექსპონენციალური. ამასთან არ არის გათვალისწინებული კონტროლის რეალური სისტემა. ამის გამო მათემატიკური მოდელი ხშირად არ შეესაბამება გამოსაკვლევ ობიექტს, რაც ბუნებრივია აძნელებს ანალიზური მოდელირების შედეგების პრაქტიკულ გამოყენებას. გარდა ამისა, სიჭარბის მქონე მრავალპროცესორიანი (მრავალმანქანიანი) ტექნიკური სისტემები, როგორც მასობრივი მომსახურების სისტემები, ნაკლებადაა შესწავლილი. განხილულია მარტო ექსპონენციალური სისტემები შედარებით ზოგადი სახით მხოლოდ აპარატურული რეზერვირებით იმ დაშვებით, რომ მტყუნებების გამო მომსახურების შეწყვეტისას მოთხოვნა იკარგება. საქმე იმაშია, რომ მომსახურების შეწყვეტის შემდეგ, მოთხოვნის ბოლომდე მომსახურების საშუალებების გათვალისწინება რთულ ამოცანას წარმოადგენს.

წარმოდგენილი სამუშაო ეძღვნება აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტას.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს:

1. იმ რთული ინფორმაციოლ-გამოთვლითი სისტემებისა და ქსელების ზოგიერთი სიჭარბის მქონე ობიექტის ფუნქციონალური შესაძლებლობების ანალიზის მეთოდის შექმნა, რომელთა მათემატიკური მოდელის სახით არჩეულია მასობრივი მომსახურების სისტემა (მმს).

2. ანალიზური მოდელის შექმნის ტექნოლოგიის დამუშავება, რომელიც საკმარისად სრულად და ზუსტად ასახავს არასაიმედო ელემენტებიანი მომსახურების სისტემების თვისებებს;

3. გამოთვლითი პროცესების მტყუნებებისადმი მდგრადობის საშუალებების დამუშავება და მტყუნებების ლიკვიდაციაზე დახარჯული დროის შემცირების ხარჯზე მაქსიმალური წარმადობის უზრუნველყოფა.

დასმული მიზნის შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომში გადაწყვეტილია შემდეგი ამოცანები: ერთ და მრავალპროცესორიანი (მრავალმანქანიანი) გს-ის საიმედოობისა და ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლების არჩევა და განსაზღვრა; ერთ და მრავალპროცესორიანი (მრავალმანქანიანი) გს-ის მწარმოებლობის შეფასების საკითხების გამოკვლევა მათი საიმედოობის გათვალისწინებით; კონტროლის სახის ოპტიმალური შერჩევა; კვლევის თეორიული შედეგების წარმოდგენა მათი პრაქტიკულად გამოყენებისათვის მოსახერხებელ ფორმაში.

სადისერტაციო ნაშრომის შედეგები მიღებულია ალბათობის თეორიის, საიმედოობის მათემატიკური თეორიის, მასობრივი მომსახურების თეორიის, შემთხვევითი პროცესების თეორიისა და ოპერაციული აღრიცხვის კომპლექსური გამოყენებით.

წარმოდგენილი მათემატიკური მოდელები უფრო განზოგადებულია ლიტერატურაში ცნობილ მოდელებთან შედარებით. მათ გააჩნია ორიგინალების ფართო კლასი და პრაქტიკული გამოყენების ფართო სფერო. მოდელებში გათვალისწინებულია, როგორც მასტაბილიზებელი

(კონტროლი, აღდგენა), ასევე დემასტაბილიზებელი (მტყუნებები, შეფერხებები) ფაქტორების ზემოქმედება.

აღნიშნული მოდელების ანალიზი წარმოებს მინიმალური შეზღუდვების არსებობის პირობებში საწყისი მონაცემების მიმართ (რეალურ ობიექტთან გამოსაკვლევი ობიექტის ადექვატურობის უზრუნველყოფის მიზნით).

ნაშრომში, ავტორის მიერ დამუშავებული ანალიზური მეთოდის საშუალებით, განსაზღვრულია მს-ების ეფექტურობის მაჩვენებლები შეუზღუდავი რიგის სიგრძით და შეუზღუდავი ლოდინის დროით. ამასთან განსაზღვრულია აღნიშნული მაჩვენებლები როგორც სტაციონალურ მდგომარეობაში, ასევე არასტაციონალურ მდგომარეობაში.

დისერტაციის ძირითად პრაქტიკულ მიზანს წარმოადგენს: მაღალი საიმედოობის მქონე, მაღალმწარმოებლური მართვისა და ინფორმაციის დამუშავების ტექნიკური სისტემების დაპროექტების კონსტრუქციული მეთოდების შექმნა აპარატურული, ინფორმაციული და დროითი სიჭარბის გამოყენებით (კერძოდ, ერთპროცესორიანი, მრავალპროცესორიანი (მრავალმანქანიანი) გს-ის დამუშავებისათვის), ეფექტურობის მაჩვენებლებზე ქმედითუნარიანობის კონტროლის სისტემის ზემოქმედების გათვალისწინებით; ტექნიკური სისტემების ყველა ძირითადი საიმედოობის და ეფექტურობის მაჩვენებლების ანგარიშისათვის პრაქტიკულად გამოსადეგი გამოსახულებების მიღება.

ნაშრომში წარმოდგენილი შედეგები მიღებულია მკაცრი მათემატიკური მსჯელობით. შედეგების სარწმუნოებაზე მეტყველებს ის ფაქტებიც, რომ ლიტერატურაში ცნობილი შედეგები ამ ნაშრომში მიღებულ თანაფარდობათა კერძო შემთხვევებს წარმოადგენს.

Resume

One of the most important fields in the scientific-technical progress is the complex automation of ruling processes. The automation systems of ruling use the calculation systems in its consist able parts.

For processing the automation systems of ruling we need to solve quite difficult sums while choosing the technical means rationally and optimal organization of functioning process due to the projecting and exploitation.

The ruling systems must satisfy the following demands: the implementation of huge calculating works in the certain time interval, when the fulfilling work has an occasional character; the high failurestability of calculating processes, the possibility of increasing the calculating power and etc. The main part in these needs is the high failurestability of ruling.

That's why in the recent years the long range route of effective functioning of given configuration resource is working on the technological methods of calculative organization and its using with the help of different surplus (hardware, informative and timely)

The effect of using the modulation calculating systems are determined by its problem- oriented abilities, so the computer must be able to reach an adaptation to any sum given from the user. For using above said calculation systems it is necessary to work on their high productivity technology and its inculcation in practice.

In the modern conditions the needs of calculation systems' fast-working and its reliability also the fast price-falling of micro processor caused creating the multiprocessor calculating systems and multimachine calculating systems.

Creating analytical models of above said systems is very difficult. The dissertation is devoted to creating the mathematical (analytical) models of functioning the calculating systems and forming the theory for its analysis.

In the dissertation the research objects are the calculating systems, which have several means of increasing stability of failure. These means are: hardware, informative and timely surplus. Many scientific publications are devoted to the analysis of this question. The well known scientific works are mainly oriented on creating comparatively plain models and its studying in the stationery conditions, when the incoming stream is Poissonous and the service time is exponential. With that the real control system is not considered. That is why often the mathematical model doesn't coincide with the researching object, which obviously makes the difficult the usage of the practical results of the analytical model. Also the multiprocessor (multimachine) surplus systems, as the massive service systems, are less learned on. Only exponential systems are discussed generally, only by the hardware reservation, in considering that due to the failures while aborting the service the queries are lost. In fact after aborting the service considering of the means of leading the sum till the and is very difficult to implement.

The given work is devoted to solving the above said problems.

The aim of the dissertation work is:

1. Creating the method of the difficult informative calculating systems and nets, which mathematical model is chosen the massive service system.
2. Working on the technology of creating the analytical model, which perfectly and exactly represents the properties of the service with the unreliable elements.
3. Processing the means against failures of calculating process and creating the maximal productivity on the decreasing the lost time in the liquidation of failures.

Due to the aim the work contains the following solved sums:

__ Choosing and determining of the main showings of reliability and effeciency in the single processor and multiprocessor (multimachine) calculating systems;

__ Researching the questions of the single processor and multiprocessor (multimachine) calculating systems productivity in valuing;

__ The optimal choice of control field;

__ Showing the theoretical results of research in its adroit forms in the practical usage.

The results of work are got with the complex usage of the theory of probability, the mathematical theory of reliability, the theory of massive service, the theory of casual processes and the operative registration.

The shown mathematical models are more generalized than the well-known models in the literature. They have wide class of origins and wide field of usage. In the models there are considered both: stable (control, renew), also unstable (failures, delays) factors.

The analysis of shown mathematical models take place in minimal conditions of limitations to the initial data (in order to provide an adequate connection of the real object with the researching object).

In the work with the help of analysis method the showings of effeciency of ruling systems are determined with unlimited queue length and unlimited waiting time. The showings are determined in both: stationery and non- stationery conditions.

The main practical aim of the dissertation is: creating the methods of the high reliability, high productive ruling and technical systems of the information processing, with the considering of the hardware, informative and timely surplus (privately, for the single processor, multiprocessor (multimachine) calculating systems), on the showings of effeciency making the ability control system; getting all practically useful sums for the main showings of reliability and effeciency of technical systems.

The given results are got with the help of the strict mathematical discussion. The trustworthiness of gained results in our work are the facts, that well-known results from the literature are the private occasions of gained results in this work.

შინაარსი

ცხრილების ნუსხა

ნახაზების ნუსხა:

მადლიერება

მინდა მადლიერება გამოვხატო ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორებისადმი: პროფ. ლეკვეიშვილის, პროფ. მოდებაძის და ო. შენგელიასადმი. მათ მომცეს საქმიანი შენიშვნები და გამიწიეს კონსულტაცია ნაშრომის სრულყოფასთან დაკავშირებით.

შესავალი

პრობლემის აქტუალობა. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ერთ - ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს მართვის პროცესების კომპლექსური ავტომატიზაცია. მართვის ავტომატიზირებული სისტემები (მას) თავის შემადგენელ ელემენტებად იყენებს გამოთვლით სისტემებს (გს-ს). მაგ. ლოკალური და გლობალური ქსელები; ავიახაზებზე ბილეთების დაზერვერირების სისტემა; კოსმოსური ხომალდების ფრენის მართვის სისტემა; მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა; საკომუნიკაციო სისტემა; სხვადასხვა საწარმოებისა და ტექნოლოგიური პროცესების მართვის სისტემები და სხვა. გს გამოიყენება დიდი მოცულობის სამეცნიერო, საინჟინრო-ტექნიკური გაანგარიშებების ჩასატარებლად და ა.შ.

მას-ის დანერგვისათვის საჭიროა ფრიად რთული ამოცანების გადაწყვეტა ტექნიკური საშუალებების რაციონალურად არჩევისათვის და ფუნქციონირების პროცესის ოპტიმალური ორგანიზაციისათვის შესაბამისად პროექტირებისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე.

მართვის სისტემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: დიდი მოცულობის გამოთვლითი სამუშაოების შესრულება დროის განსაზღვრულ ინტერვალში, როცა შესასრულებელ სამუშაოს აქვს შემთხვევითი ხასიათი; გამოთვლითი პროცესების მაღალი მტყუნებამდგრადობა; გამოთვლითი სიმძლავრის გაზრდის შესაძლებლობა და ა.შ. ამ მოთხოვნებს შორის ძირითადს წარმოადგენს მართვის მაღალი მტყუნებამდგრადობა. [1,2,3].

ამასთან დაკავშირებით, უკანასკნელ წლებში მოცემული კონფიგურაციის რესურსების ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფის პერსპექტიულ მიმართულებას წარმოადგენს გამოთვლების ორგანიზაციის ტექნოლოგიური მეთოდების გამოყენება და დამუშავება სხვადასხვა სახის სიჭარბის (აპარატურული, ინფორმაციული და დროითი) შემოღების გზით . [4÷20, 21÷35, 36÷51].

მოდულური აგებულების მქონე გს-ის მასობრივი გამოყენების

ეფექტურობა მნიშვნელოვან წილად განისაზღვრება მათი პრობლემურ-ორიენტირებული შესაძლებლობებით, ე.ი. მომხმარებლის სხვადასხვა სახის ამოცანებისადმი მათი ადაპტაციით. [52].

აღნიშნული გს-ის ფართო გამოყენებისათვის აუცილებელია მათი აგების მაღალმწარმოებლური ტექნოლოგიის პროექტირების დამუშავება და პრაქტიკაში დანერგვა.

ერთპროცესორიან (ერთმანქანიან) გს-ს აქვთ რიგი უპირატესობანი მრავალპოცესორიან (მრავალმანქანიან) გს-თან შედარებით. ესენია:: შედარებით დაბალი ღირებულება, ფუნქციონირების მარტივი ალგორითმი და მომსახურების სიმარტივე.

თანამედროვე პირობებში გამოთვლითი სისტემების სწრაფმოქმედებისა და საიმედოობისადმი წაყენებულმა გაზრდილმა მოთხოვნებმა, აგრეთვე მიკროპროცესორების ღირებულების სწრაფმა შემცირებამ სტიმული მისცა მრავალპროცესორიან გამოთვლით სისტემებს (მპგს-ს) და მრავალმანქანიან გამოთვლით სისტემებს (მმგს-ს).

გს-ში მტყუნებების შედეგები შეიძლება იყოს სხვადასხვა, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ისინი მნიშვნელოვნად აუარესებენ სისტემის ფუნქციონირებას და აქვეითებენ მის ეფექტურობას. გს-ის მაღალი საიმებოობის უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება 2 ძირითადი მიდგომა. ეს მიდგომები ყველაზე უკეთესად წარმოდგენილია დუპლექსურ სისტემებში და რეკონფიგურაციის სისტემებში. [51,53,54].

დუპლექსური მიდგომა ითვალისწინებს ერთი და იმავე ამოცანის პარალალურ დამუშავებას დიდი რაოდენობის ფუნქციონალური ბლოკების ან რამოდენიმე სისტემის საშუალებით. შედეგების ნებისმიერი განსხვავება, რომელიც იქნება მიღებული ცალკეული მოწყობილობიდან, წარმოადგენს შეცდომის მაჩვენებელს. შემდეგ ჩატარდება კონტროლი და გაუმართავი მოწყობილობა გადაეცემა აღსადგენად.

თითქმის ყველა მრავალპროცესორიან (მრავალმანქანიან) სისტემაში გათვალისწინებულია რეკონფიგურაციის გამოყენება. მპგს (მმგს)-ის

ტექნიკური რეალიზაცია გულისხმობს ერთიანი მართვით ფუნქციონირებადი დამუშავების რამოდენიმე იდენტური მოწყობილობის გამოყენებას, როცა თითოეულ მათგანს შეუძლია შეასრულოს სხვადასხვა პროგრამა ან პროგრამის სხვადასხვა ნაწილი. ერთ-ერთი ფუნქციონალური ბლოკის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში ხდება დატვირთვის ისე გადანაწილება, რომ სისტემა ინარჩუნებს ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულების უნარს (ამ დროს მცირდება სისტემის მწარმოებლობა). იმ შემთხვევაში, როცა ცალკეული ბლოკის მტყუნებისას მნიშვნელოვანია საწყისი მწარმოებლობის შენარჩუნება, მიზანშეწონილია სისტემაში აპარატურული, ინფორმაციული და დროითი სიჭარბის გათვალისწინება. მაღალი საიმედოობის მიღწევის შემდეგ მპგს (მმგს)-ის შესაძლებლობები გამოიყენება მწარმოებლობის მკვეთრი ამაღლებისათვის. [55,56]

თანამედროვე პირობებში პარალელური დამუშავების ორგანიზაცია (ეგმ-ის არქიტექტურის დაპარალელებასთან დაკავშირებული პრობლემები და მისი საიმედოობა), ოპერაციული სისტემის, გამოთვლების ალგორითმების და მეთოდების შექმნა წარმოადგენს ძირითად საკითხებს, რომლებზეც დამოკიდებულია მაღალმწარმოებლური და მტყუნებამდგრადი ტექნიკის შექმნა.

ზემოთ აღნიშნული სისტემების ანალიზური მოდელების შექმნა წარმოადგენს რთულ ამოცანას. სწორედ, გს-ის ფუნქციონირების მათემატიკური (ანალიზური) მოდელების აგებას და მათი ანალიზისათვის თეორიის ჩამოყალიბებას ეძღვნება სადისერტაციო ნაშრომი.

კვლევის საგანი და პრობლემატიკა. დისერტაციაში კვლევის ობიექტს წარმოადგენს გამოთვლითი სისტემები, რომელთაც გააჩნიათ მტყუბებისადმი მდგრადობის ამაღლების სხვადასხვა საშუალება. ეს საშუალებანია: აპარატურული, ინფორმაციული და დროითი სიჭარბე. ამ საკითხის ანალიზისადმი მიძღვნილია ბევრი სამეცნიერო პუბლიკაცია. ცნობილი სამეცნიერო სამუშაოები ძირითადად ორიენტირებულია შედარებით მარტივი მოდელების შესწავლაზე სტაციონალურ

მდგომარეობაში, როცა შემავალი ნაკადი არის პუასონური და მომსახურების დრო ექსპონენციალური. ამასთან არ არის გათვალისწინებული კონტროლის რეალური სისტემა. ამის გამო მათემატიკური მოდელი ხშირად არ შეესაბამება გამოსაკვლევ ობიექტს, რაც ბუნებრივია აძნელებს ანალიზური მოდელირების შედეგების პრაქტიკულ გამოყენებას. გარდა ამისა, სიჭარბის მქონე მრავალპროცესორიანი (მრავალმანქანიანი) ტექნიკური სისტემები, როგორც მასობრივი მომსახურების სისტემები, ნაკლებადაა შესწავლილი. განხილულია მარტო ექსპონენციალური სისტემები შედარებით ზოგადი სახით მხოლოდ აპარატურული რეზერვირებით იმ დაშვებით, რომ მრყუნებების გამო მომსახურების შეწყვეტისას მოთხოვნა იკერგება. საქმე იმაშია, რომ მომსახურების შეწყვეტის შემდეგ, მოთხოვნის ბოლომდე მომსახურების საშუალებების გათვალისწინება რთულ ამოცანას წარმოადგენს.

წარმოდგენილი სამუშაო ეძღვნება აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტას.

კვლევის მიზანი და ამოცანები. სადისერტაციო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს:

1. იმ რთული ინფორმაციოლ-გამოთვლითი სისტემებისა და ქსელების ზოგიერთი სიჭარბის მქონე ობიექტების ფუნქციონალური შესაძლებლობების ანალიზის მეთოდის შექმნა, რომელთა მათემატიკური მოდელის სახით არჩეულია მასობრივი მომსახურების სისტემა (მმს).

2. ანალიზური მოდელის შექმნის ტექნოლოგიის დამუშავება, რომელიც საკმარისად სრულად და ზუსტად ასახავს არასაიმედო ელემენტებიანი მომსახურების სისტემების თვისებებს;

3. გამოთვლითი პროცესების მტყუნებებისადმი მდგრადობის საშუალებების დამუშავება და მტყუნებების ლიკვიდაციაზე დახარჯული დროის შემცირების ხარჯზე მაქსიმალური გამტარუნარიანობის უზრუნველყოფა.

დასახული მიზნის შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომში

გადაწყვეტილია შემდეგი ამოცანები: ერთ და მრავალპროცესორიანი (მრავალმანქანიანი) გს-ის საიმედოობისა და ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლების არჩევა და განსაზღვრა; ერთ და მრავალპროცესორიანი (მრავალმანქანიანი) გს-ის მწარმოებლობის შეფასების საკითხების გამოკვლევა მათი საიმედოობის გათვალისწინებით; კონტროლის სახის ოპტიმალური შერჩევა; კვლევის თეორიული შედეგების წარმოდგენა მათი პრაქტიკულად გამოყენებისათვის მოსახერხებელ ფორმაში;

სამუშაოში გამოყენებული კვლევის მეთოდები. სადისერტაციო ნაშრომის შედეგები მიღებულია ალბათობის თეორიის, საიმედოობის მათემატიკური თეორიის, მასობრივი მომსახურების თეორიის, შემთხვევითი პროცესების თეორიისა და ოპერაციული აღრიცხვის კომპლექსური გამოყენებით.

მეცნიერული სიახლე. სამუშაოში ჩატარებული გამოკვლევათა კომპლექსი რთული მეცნიერული პრობლემების თეორიული განზოგადოებისა და გადაწყვეტის საშუალებას იძლევა. რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მაღალმწარმოებლური, მტყუნებამდგრადი ტექნიკური სისტემების პროექტირების მეთოდოლოგიური საფუძვლების და მეთოდების შექმნისათვის.

წარმოდგენილი მათემატიკური მოდელები უფრო განზოგადებულია ლიტერატურაში ცნობილ მოდელებთან შედარებით. მათ გააჩნია ორიგინალების ფართო კლასი და პრაქტიკული გამოყენების ფართო სფერო. მოდელებში გათვალისწინებულია, როგორც მასტაბილიზებელი (კონტროლი, აღდგენა), ასევე დემასტაბილიზებელი (მტყუნებები, შეფერხებები) ფაქტორების ზემოქმედება.

აღნიშნული მოდელების ანალიზი წარმოებს მინიმალური შეზღუდვების არსებობის პირობებში საწყისი მონაცემების მიმართ (რეალურ ობიექტთან გამოსაკვლევი ობიექტის ადექვატურობის უზრუნველყოფის მიზნით).

ნაშრომში, ავტორის მიერ დამუშავებული ანალიზური მეთოდის

საშუალებით, განსაზღვრულია მს-ების ეფექტურობის მაჩვენებლები შეუზღუდავი რიგის სიგრძით და შეუზღუდავი ლოდინის დროით. ამასთან განსაზღვრულია აღნიშნული მაჩვენებლები როგორც სტაციონალურ მდგომარეობაში, ასევე არასტაციონალურ მდგომარეობაში.

პრაქტიკული ღირებულება. დისერტაციის ძირითად პრაქტიკულ მიზანს წარმოადგენს: მაღალი საიმედოობის მქონე, მაღალმწარმოებლური მართვისა და ინფორმაციის დამუშავების ტექნიკური სისტემების დაპროექტების კონსტრუქციული მეთოდების შექმნა აპარატურული, ინფორმაციული და დროითი სიჭარბის გათვალისწინებით (კერძოდ, ერთპროცესორიანი, მრავალპროცესორიანი (მრავალმანქანიანი) გს-ის დამუშავებისათვის); ეფექტურობის მაჩვენებლებზე ქმედითუნარიანობის კონტროლის სისტემის ზემოქმედების გათვალისწინებით; ტექნიკური სისტემების ყველა ძირითადი საიმედოობის და ეფექტურობის მაჩვენებლების ანგარიშისათვის პრაქტიკული გამოსადეგი გამოსახულებების მიღება.

ნაშრომის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას გს-ის ფუნქციონალური დაპროექტებისას აგების სხვადასხვა შესაძლებელი ვარიანტების შესადარებლად, მათგან საუკეთესოს შერჩევისა და აგრეთვე ექსპლუატაციის პროცესში გს-ის რაციონალური ორგანიხაციის მიზნით.

სამეცნიერო შედეგების სანდოობა და დასაბუთება. ნაშრომში წარმოდგენილი შედეგები მიღებულია მკაცრი მათემატიკური მსჯელობით. მიღებული შედეგების სარწმუნოებაზე მეტყველებენ ის ფაქტებიც, რომ ლიტერატურაში ცნობილი შედეგები ამ ნაშრომში მიღებულ თანაფარდობათა კერძო შემთხვევებს წარმოადგენს.

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა

1.1. სიჭარბის მქონე სისტემების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები

რთულ სისტემათა საიმედოობის ზოგადი თეორიის ისტორია დაახლოებით მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება. იგი განიხილავს სისტემათა უმტყუნო მუშაობის, დროში გამძლეობის, რემონტისათვის გამოსადეგობის შესაძლებლობებს და სხვა შესაძლებლობებს სისტემის არსებობის ყველა ეტაპზე დაპროექტებიდან - ექსპლუატაციამდე.

ტექნიკური სისტემები, რომელებიც თავის შემადგენლობაში შეიცავს არასაიმედო მოწყობილობებს, როგორც წესი, მოითხოვს დამატებით საშუალებებს საიმედოობის მაღალი დონის შენარჩუნების უზრუნველყოფისათვის. ჩვეულებრივ, ეს საშუალებები დაკავშირებულა სხვადასხვა სახის სიჭარბის გამოყენებასთან.

სიჭარბე - ეს არის დამატებითჲ საშუალებები და შესაძლებლობები მინიმალურად აუცილებელის ზევით, სისტემებისადმი ტექნიკური პირობებით წაყენებული ფუნქციების შესასრულებლად. სიჭარბის შემოღების მიზანია სისტემის ელემენტებში მტყუნების წარმოქმნის შემდეგ სისტემის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა. განასხვავებენ სტრუქტურულ (აპარატურულ), ინფორმაციულ და დროით რეზერვირებას, რომლებიც თავის მხრივ იყოფა მრავალ ნაირსახეობად.

სტრუქტურული (აპარატურული) რეზერვირება

სტრუქტურული დარეზევირება არის საიმედოობის გაზრდის ერთ-ერთი ეფექტური მეთოდი ელემენტთა სასარგებლო სიჭარბის ხარჯზე. ის მკვეთრად განსხვავდება საიმედოობის ამაღლების სხვა ხერხებისაგან. თუ ელემენტთა ძირითადი (მიმდევრობითი) შეერთების შემთხვევაში სისტემის საიმედოობა ყველაზე არასაიმედო ელემენტის საიმედოობაზე ნაკლებია, დარეზერვირების დროს სისტემის საერთო საიმედოობა შეიძლება ყველაზე საიმედო ელემენტის საიმედოობასაც კი აღემატებოდეს.

დარეზერვირება პრონციპულად სისტემის საიმედოობის უსაზღვრო გაზრდის საშუალებასაც იძლევა, მაგრამ ამ დროს იზრდება სისტემის აგებისათვის საჭირო ხარჯები. ცხადია, საიმედოობის საჭირო მაჩვენებლები რაც შეიძლება მცირე დანახარჯებით უნდა იქნას უზრუნვილყოფილი. ამ შემთხვევაში რეზერვირების ამა თუ იმ მეთოდის შერჩევა უნდა მოხდეს ტექნიკური სისტემის ცალკეული მონაკვეთების საიმედოობის გათვალისწინებით, ტექნიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით ოპტიმალური ვარიანტების მოძებნის გზით. [56,57].

სტრუქტურული დარეზერვირების ნაირსახეობათა კლასიფიკაცია წარმოებს შემდეგი ნიშნების მიხედვით :

I. სარეზერვო და ძირითად ელემენტთა გამოყენების პრინციპით:
   1. დარეზერვირება აღდგენის გარეშე;
   2. დარეზერვირება აღდგენით.

II. მასშტაბით:
   1. საერთო დარეზერვირება, რომლის შემთხვევაში სარეზერვო სისტემები გამოიყენება;
   2. განცალკევებული დარეზერვირება, რომლის შემთხვევაში სარეზერვო ელემენტები გამოიყენება.

III. სარეზერვო ელემენტთა რიცხვის შეფარდებით ძირითად (დასარეზერვირებელ) ელემენტთა რიცხვთან (ამ შეფარდებას დარეზერვირების ჯერადობა ეწოდება).
   1. დარეზერვირება მთელი ჯერადობით, როდესაც ძირითად ელემენტზე მიმაგრებულია ერთი ან რამდენიმე ელემენტი;
   2. დარეზერვირება წილადი ჯერადობით, როდესაც რამოდენიმე ძირითად ელემენტზე სარეზერვო ელემენტების გარკვეული რაოდენობა მოდის.

IV. სარეზერვო ელემენტთა მიერთების სახით:
   1. მუდმივი დარეზერვირება, რომლის შემთხვევაში სარეზერვო ელემენტები მუდმივად არის მიერთებული ძირითად

ელემენტთან და მათთან ერთად მუშაობს;

2. დარეზერვირება შენაცვლებით, რომლის შემთხვევაში სარეზერვო ელემენტები ცვლიან ძირითად ელემენტებს მხოლოდ მათი მტყუნების შემდეგ.

V. სარეზერვო ელემენტთა რეჟიმით მუშაობის დაწყებამდე:

1. დატვირთული დარეზერვირება (“ცხელი” რეზერვი), როდესაც სარეზერვო ელემენტთა გამოყენების პირობები ძირითად ელემენტთა მუშა რეჟიმს ემთხვევა. ტარდება ტესტური კონტროლი. უმტყუნოებათა განაწილების კანონები უცვლელი რჩება;

2. შემსუბუქებული დარეზერვირება (“თბილი” რეზერვი), როდესაც სარეზერვო ელემენტები ჩართულია და იმყოფება ლოდინის რეჟიმში. ამ დროს არ ხდება მათი კონტროლი. უმტყუნოების განაწილების კანონები იცვლება ე.ი. სარეზერვო ელემენტების საიმედოობა უფრო მაღალია, ვიდრე მუშა რეჟიმში მყოფი ელემენტებისა;

3. დაუტვირთავი დარეზერვირება (“ცივი” რეზერვი), როდესაც სარეზერვო ელემენტები არ არის ჩართული.მათი საიმედოობის მარაგის ხარჯვა პრაქტიკულად ჩართვის შემდეგ იწყება.

როგორც აღვნიშნეთ, მას-ში მომუშავე გამომთვლელ მანქანებს საიმედოობისადმი დიდი მოთხოვნები წაეყენებათ. ასეთ სისტემებში, როგორც წესი, გამოიყენება 2 ან მეტი ერთდროულად ფუნქციონირებადი ეგმ. ეგმ-ების კომპლექხირება ამაღლებს საიმედოობას არა მხოლოდ იმით, რომ მტყუნების შემდეგ ხდება რეზერვულ მოწყობილობაზე გადასვლა, არამედ იმითაც, რომ შესაძლებელია უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის რეზერვულ მოწყობილობაზე საიმედოდ შენახვა. ასეთი ინფორმაცია ძირითადი გამომთვლელი მანქანიდან პერიოდულად გადაიგზავნება რეზერვულ გამომთვლელ მანქანაზე და გამოიყენება შემთხვევით დამახინჯებული მონაცემების აღსადგენად.

საიმედოობის ამაღლების რეჟიმში ძირითადი ეგმ-ები ემსახურება მოთხოვნის დამუშავებას, ხოლო რეზერვული ეგმ-ები შეიძლება იმყოფებოდეს: გამორთულ მდგომარეობაში (დაუტვირთავი დარეზერვირება), ლოდინის რეჟიმში (შემსუბუქებული დარეზერვირება), ტესტური კონტროლის რეჟიმში (დატვირთული დარეზერვირება).

თანამედროვე პირობებში სულ უფრო მეტად გამოიყენება ეგმ-ების კომპლექსირება მწარმოებლობისა და მეხსიერების მოცულობის გაზრდისათვის. ამ შემთხვევებში ეგემ-ები მუშაობს სხვადასხვა პროგრამით, მაგრამ ასრულებს ერთ დიდ ამოცანას და ახორციელებს გამოთვლითი შედეგების ან სხვა ინფორმაციის გაცვლას. ეს სისტემის დამპროექტებლებს საშუალებას აძლევს მიიღონ მწარმოებლობის ან მეხსიერების აუცილებელი მახასიათებლები და არ გამოიყენონ დიდი სპეციალიზირებული ეგმ-ები, რომლებზეც მუშაობა უფრო რთული იქნება.

მწარმოებლობის ამაღლების რეჟიმში რეზერვულ ეგმ-ებს, აღნიშნული ფუნქციების გარდა ერთ-ერთი ეგმ-ის მტყუნების შემთხვევაში, შეუძლია გადაინაწილოს სისტემის დატვირთვა.

აგრეთვე არსებობს კომპლექსირებული ეგმ-ების ურთიერთმოქმედების კომბინირებული ხერხი. ასეთ შემთხვევაში ნორმალური დატვირთვის რეჟიმში რეზერვული ეგმ-ები გამოიყენება ინფორმაციის შენახვის საიმედოობის ამაღლებისათვის, ხოლო გადატვირთვის პირობებში ეგმ-ებს შორის ხორციელდება ალგორითმების „დაპარალელება“ [1,54,59].

ინფორმაციული რეზერვირება

ინფორმაციული რეზერვირება, რომელიც ითვალისწინებს ჭარბი ინფორმაციის არსებობას, ფართოდ გამოიყენება ტექნიკურ სისტემებში. მის უმარტივეს მაგალითს წარმოადგენს მონაცემთა გადაცემის ქსელებში ერთი და იგივე შეტყობინების მრავალჯერადი გადაცემა კავშირის არხით. გარდა ამისა, მონაცემთა გადაცემის სისტემებში გამოიყენება ინფორმაციის

ჭარბი კოდირება. კერძოდ, გამოიყენება თვითკორექტირებადი კოდები, რომელთა საშუალებითაც ხდება მონაცემთა გადაცემის აპარატურის მტყუნების შედეგად წარმოშობილი შეცდომების აღმოჩენა და გასწორება. ამასთან, მონაცემთა გადაცემის სისტემის ნორმალური ფუნქციონირება არ ირღვევა.[60].

უფრო ზოგადი სახით „ინფორმაციის სიჭარბის“ ცნება ფორმულირებული იყო ა.ხარკევიჩის მიერ. ინფორმაციული სიჭარბეს განაპირობებს აკრძალული სიტყვების არსებობა, რომლებიც არაა გამოყენებული ინფორმაციის წყაროს მიერ. ეს პირობა შეიძლება შესრულდეს შესამოწმებელი ორობითი სიმბოლოების დამატებით, რაც თავის მხრივ იწვევს გადასაცემი მონაცემების დაგრძელებას.[61].

ინფორმაციული სიჭარბის გამოყენების პრინციპი ასეთია: ზოგად შემთხვევაში ყველა შესაძლო სიტყვათა სიმრავლე შეიძლება დაიყოს 2 გადაუკვეთავ ქვესიმრავლედ: სიტყვათა ქვესიმრავლე, რომელიც გამოიყენება ინფორმაციის წყაროს მიერ და სიტყვათა ქვესიმრავლე, რომელიც არ გამოიყენება ინფორმაციის წყაროს მიერ. სიტყვებს I ქვესიმრავლიდან ეწოდება დასაშვები სიტყვები, ხოლო მეორედან - დაუშვებელი. მომხმარებელმა იცის დასაშვები და დაუშვებელი სიტყვების ქვესიმრავლეები, აგრეთვე ის, რომ დასაშვები სიტყვების გადაცემისას შეცდომის არსებობა დასაშვებ სიტყვებს გადაიყვანს დაუშვებელი სიტყვების ქვესიმრავლეში. ამიტომ მომხმარებელს შეუძლია მიხვდეს შეცდომას მიღებულ შეტყობინებაში.

მონაცემთა გადაცემის უმრავლეს არხებში არსებულ შეცდომათა პაკეტების სიგრძე ზოგჯერ ასეული ორობითი სიმბოლოა. მათი გასწორებისათვის საჭირო იქნებოდა კოდები, რომელთა კოდური კომბინაციის სიგრძე იზომება ათასობით თანრიგით, რისი რეალიზებაც ტექნიკურად რთულია. ამიტომ მონაცემთა გადაცემის არსებული სისტემების უმრავლესობაში საიმედოობის ამაღლება დაფუძნებულია შეცდომების აღმოჩენაზე და განმეორებით გადაცემაზე.

შეცდომების აღმოსაჩენად ძირითადად გამოიყენება 2 სახის კოდირება: ციკლური და მტრიცული.

დროითი რეზერვირება

დიდი ხნის განმავლობაში სტრუქტურული რეზერვირება ითვლებოდა უნივერსალურ მეთოდად, რომელიც ინფორმაციულ სიჭარბესთან ერთად საშუალებას იძლეოდა არასაიმედო ელემენტებისაგან შექმნილიყო სანდო სისტემები. [34,64,65].

ტექნიკის განვითარებისა და გამოყენებული სისტემების გართულებისას აღმოჩნდა, რომ აღნიშნული მეთოდები არ არის უნაკლო. მიზეზს, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს მტყუნებათა რამოდენიმე ტიპის არსებობა, კონტროლისა და დიაგნოსტიკის არაიდეალურობა, აგრეთვე რეზერვირების გადამრთველების არასაიმედოობა, დატვირთვის გადანაწილება ცალკეული ელემენტების მტყუნების დროს და ა.შ. ამიტომ სპეციალისტთა ყურადღება მიმართულია დროითი რეზერვირებისაკენ [66,67].

ბოლო დროს სიჭარბის ეს სახე სარგებლობს განსაკუთრებული პოპულარობით. დროის რეზერვი შეიძლება დაიხარჯოს არა მარტო მწყობრიდან გამოსული აპარატურის აღდგენაზე და აპარატურული რეზერვის გადართვაზე, არამედ მტყუნებათა აღმოჩენაზე, მტყუნებით გაუფასურებული სამუშაოების გამეორებაზე, ტექნიკური მახასიათებლების აღდგენაზე ან ქმედითუნარიან მდგომარეობაში მყოფი სისტემის ჩატვირთვის ლოდინზე.

არსებობს დროითი რეზერვირების მრავალი წყარო.

1) პირველ რიგში ის შეიძლება შეიქმნას დავალების შესრულების აუცილებელი დროის გაზრდის ხარჯზე;

2) მეორე ძირითად წყაროს წარმოადგენს მწარმოებლურობის მარაგი, რომელიც საშუალებას იძლევა შევამციროთ დავალების შესრულების მინიმალური დრო. მწარმოებლურობის მარაგი შეიძლება შეიქმნას სისტემის

ელემენტების სწრაფმოქმედების გაზრდით ან დაბალი მწარმოებლურობის მქონე რამოდენიმე მოწყობილობის ერთ კომპლექსში გაერთიანებით.

3) დროითი რეზერვის წყაროდ შეიძლება აგრეთვე გამოყენებული იქნას ფუნქციონალური ინერციულობა. მრავალი ტექნიკური სისტემის მუშაობაში დაშვებულია უმნიშვნელო შესვენებები ფუნქციონალური ხარისხის დაკარგვის გარეშე. ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნას, კერძოდ, მტყუნების აღმოფხვრისათვის აპარატურული რეზერვის ჩართვის გზით. ზოგიერთ შემთხვევაში დასაშვები შესვენება აღწევს მნიშვნელოვან სიდიდეს და ამ დროში შესაძლებელია არა მარტო რეზერვის ჩართვა, არამედ სარემონტო სამუშაოების ჩატარებაც.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ უმეტეს შემთხვევაში განსაზღვრული ხარისხით ფუნქციონირებისათვის საჭირო დროის რეზერვს ფლობს თვით სისტემები დამატებითი საშუალებების გარეშე.

დროითი რეზერვირების ღირსებები შემდეგია :

1) სისტემის საიმედოობის მაჩვენებლების გაუმჯობესება ხშირად არ არის დაკავშირებული აპარატურის რაოდენობის გაზრდასთან და დამატებითი სახსრების დახარჯვასთან, არამედ დაფუძლებულია სისტემაში არსებული დროის რეზერვის გამოყენებაზე ან მის შექმნაზე.

2) დროის რეზერვის გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს ავსახოთ ჭეშმარიტი საიმედოობა ე.ი. უფრო ობიექტურად შევაფასოთ ნორმალური ფუნქციონირების შესაძლებლობა სხვადასხვა მადესტაბილიზებელი ფაქტორების ურთიერთქმედების პირობებში.

სისტემები დროითი რეზერვირებით ხასიათდება გარკვეული სპეციფიკური შტრიხებით, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია სისტემის მტყუნების კრიტერიუმის სწორად ფორმულირებისათვის, საიმედოობის მაჩვენებლების და მათი შეფასების მეთოდების შერჩევისათვის. [5,35,68].

არასაიმედო ხელსაწყოების მქონე ინფორმაციული სისტემებისათვის აუცილებელია მათ შემადგენლობაში კონტროლის სისტემის არსებობა.

კონტროლის ძირითად ამოცანას წარმოადგენს:

1) სისტემის ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრა;

2) მოცემული სიზუსტით გაუმართაობის ადგილის ლოკალიზება;

3) სისტემის მიერ შესასრულებელი სამუშაოს სისწორის განსაზღვრა.

არსებობს ფუნქციონალური და ტესტური კონტროლის სისტემები. ფუნქციონალური კონტროლის სისტემების საშუალებით მოწმდება ობიექტის ფუნქციონირების სისწორე და იძებნება გაუმართაობანი, რომლებიც არღვევს სწორ ფუნქციონირებას.

ტესტური კონტროლის სისტემებში ობიექტს მიეწოდება სპეციალურად ორგანიზებული (ტესტური) ზემოქმედება. ამ ზემოქმედებაზე ობიექტის რეაქციის მიხედვით განისაზღვრება მისი ტექნიკური მდგომარეობა.

კონტროლის საშუალებანი იყოფა აპარატურულად და პროგრამულად. აპარატურული საშუალებანი შეიძლება იყოს გარე ან ჩაშენებული, სპეციალური ან უნივერსალური, ხელით ჩასართავი ან ავტომატური. პროგრამული საშუალებანი არის მუშაობის მუშა ან ტესტური პროგრამები, რომლებიც გამოიყენება ობიექტის ტექნიკური მდგომარეობის შესამოწმებლად.

ფართოდ გამოიყენება კონტროლის კომბინირებული საშუალებანი. გარდა ამისა, ძალიან ხშირად გამოიყენება კონტროლის ცვალებადი ხერხები, როდესაც ობიექტის მდგომარეობაზე დამოკიდებულებით ირჩევენ კონტროლის სხვადასხვა სახეს.

ჩვეულებრივ, კონტროლის მოწყობილობა უზრუნველყოფს არა მხოლოდ კონტროლის ობიექტის მდგომარეობის შეფასებას, არამედ გამოიმუშავებს ბრძანებას გაუმართავი მოწყობილობის გამართულით შესაცვლელად. გარდა ამისა, კონტროლის საშუალებებს წაეყენებათ მაღალი მოთხოვნები საიმედოობისადმი , კონსტრუქციისადმი და სხვა პარამეტრებისადმი . [78,203].

1.2. გამოსაკვლევი სიჭარბის მქონე სისტემების მოდელები

ნაშრომში განხილულ სისტემებში მიღებულ და გაცემულ სიგნალებს შორის დრო, მტყუნებებს შორის დრო, აგრეთვე ყოველი მოთხოვნის დამუშავების, აღდგენის და ხელსაწყოების გადართვის დრო წარმოადგენს შემთხვევით სიდიდეებს. აღნიშნული გარემოება არ იძლევა საშუალებას ავაგოთ მოთხოვნის მიღების, დამუშავების და გაცემის სინქრონიზებული დეტერმინირებული პროცესი. ასეთი პროცესების ანალიზი, მათი ხასიათის და კანონზომიერების განსაზღვრა მიეკუთვნება ამოცანათა რიგს, რომელიც შეიძლება გადაწყდეს მასობრივი მომსახურების თეორიით (მმ თეორიით). აღნიშნული განაპირობებს იმას, რომ მასობრივი მომსახურების სისტემები მიეკუთვნება ზემოთ განხილულ სიჭარბის მქონე სისტემებს.

მმს-ების მომსახურე ხელსაწყოები გამოიყენება დროის შემთხვევით შუალედებში, ხოლო ამ შუალედებს შორის შესვენებებში ხელსაწყოები არ გამოიყენება. ამიტომ ასეთ შესვენებებში ხელსაწყოების მტყუნება და აღდგენა არავითარ გავლენას არ ახდენს სისტემის ფუნქციონირების ხარისხზე. გარდა დროის ბუნებრივი რეზერვისა, მომსახურების ზოგიერთ სისტემაში, დაშვებულია დამატებითი დრო (შეყოვნება) სისტემაში მოთხოვნის მომსახურების დაწყებამდე. უმეტეს შემთხვევაში დროის შეუზღუდავი რეზერვის დაშვება იწვევს სისტემის ფუნქციონირების ხარისხის გაუარესებას. შეიძლება ჭარბი დროის ერთეულზე დანიშნული იყოს ჯარიმა. ამ შემთხვევაში საჭიროა მოიძებნოს გზები დროის რეზერვის ოპტიმალური ზომის განსაზღვრისათვის.

ლოდინის მქონე მომსახურების სისტემისათვის ლოდინის დრო წარმოადგენს დამატებით დროს ე.ი. ჭარბ დროს. ამ დროს ალბათური მახასიათებლების ანალიზი იძლევა სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობის პროგნოზირების საშუალებას

გარდა ამისა, ლოდინის მქონე მმს საჭიროებს ჭარბ აპარატურას

ლოდინში მყოფი მოთხოვნის შენახვისათვის. ასეთი აპარატურის ოპტიმალური მოცულობის განსაზღვრა აგრეთვე წარმოადგენს ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს სისტემის პროექტირების ეტაპზე.

დისერტაციაში მათემატიკური მოდელის სახით აღებულია მასობრივი მომსახურების სისტემა სიჭარბის მქონე მომსახურე სისტემით.

მომსახურების სისტემებში ერთ-ერთ ძირითადი ცნება არის განაცხადთა წყარო. წყარო განისაზღვრება, როგორც მოწყობილობა ან მოწყობილობათა ჯგუფი, რომლებიდანაც შემოდის განაცხადები სისტემაში მომსახურებისათვის. არსებობს 2 სახის წყარო: 1) წყაროები, რომელთა მოქმედება და გაგზავნილი განაცხადების ბედი ნაკლებადაა დამოკიდებული მომსახურების სისტემაზე; ასეთი წყაროებოს მოქმედება შემოიფარგლება განაცხადთა გაგზავნის ფაქტით. 2) წყაროები, რომლებიც ორგანულადაა დაკავშირებული მომსახურების სისტემაზე; მათი მოქმედება იცვლება იმაზე დამოკიდებულებით, მომსახურდება წყარო თუ არა (უსაზღვრო და სასრული წყაროები).

გარე ანუ შემავალი ნაკადი (I სახე) წარმოადგენს განახცადთა ერთობლიობას, რომელიც შემოდის სისტემაში წყაროდან და საჭიროებს მომსახურებას. განაცხადთა მიღების თანმიმდევრულ მომენტებს შორის დროის ინტერვალი წარმოადგენს შემთხვევით სიდიდეს. შემდეგში დავუშვებთ, რომ ამ შემთხვით სიდიდეს აქვს ექსპონენციალური განაწილება.

დაშვება იმისა, რომ უსაზღვრო წყაროდან შემოსული ნაკადი პუასონური ხასიათისაა, ზოგადადაა მიღებული. იგი საშუალებას იძლევა თავიდან იქნას აცილებული მნიშვნელოვანი მათემატიკური სირთულეები . გარდა ამისა, არსებობს უფრო ღრმა საფუძველი ასეთი დაშვების მიღებისა . პუეასონურ ნაკადებს ხშირად აქვს ადგილი პრაქტიკაში. გარკვეული აზრით ისინი წარმოადგენს ზღვრულს სხვადასხვა ნაკადისათვის. უმეტეს შემთხვევაში არაპუასონური განაცხადთა ნაკადის შეცვლა იმავე ინტენსივობის მქონე პუასონური ნაკადით იძლევა ისეთ შედეგს, რომელიც

მცირედ თუ განსხვავდება ჭეშმარიტისაგან ან ზოგჯერ საერთოდ არ განსხვავდება. ამასთან ამოხსნის ცდომილება, როგორც წესი, მოთავსებულია საწყისი მონაცემების სიზუსტის საზღვრებში.[1,61,69,70].

შიგა ნაკადი (II სახე) წარმოადგენს არასაიმედო მოწყობილობების მტყუნებათა ნაკადს. თანმიმდევრულ მტყუნებებს შორის დროის ინტერვალი ითვლება ექსპონენციალურად განაწილებულად. ასეთი დაშვება აგრეთვე ზოგადადაა მიღებული. ეს აიხსნება 2 მიზეზით: აღნიშნული დაშვება, ექსპონენციალური განაწილების ცნობილი თვისებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად აადვილებს მის გამოყენებას ანალიზური მოდელის შექმნისას. მეორე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ექსპონენციალური კანონები კარგად ეთანხმება მრავალი ელემენტისაგან შედგენილი რთული რადიოელექტრონული სისტემების მტყუნებებს შორის დროის განაწილების კანონებს. ეს აიხსნება იმით, რომ იშვიათ შემთხვევით მოვლენებში, რომლებიც შედგება ნებისმიერი ხასიათის მრავალ ერთმანეთთან დამოუკიდებელი ან მცირედ დამოკიდებული ნაკადებისაგან, როცა მათ შორის არ არის დომინირებული ნაკადი, მეზობელ ხდომილობებს შორის დროის განაწილების კანონი თეორიულად ემთხვევა ექსპონენციალურს. [62,71].

ამგვარად, ექსპონენციალური განაწილება შეიძლება გამოვიყენოთ ხელსაწყოს თანმიმდევრულ მტყუნებებს შორის შემთხვევითი დროის დასახასიათებლად, თუ მისი ექსპლუატაციისას არ არსებობს მტყუნების გამომწვევი რღვევის დომინირებული პროცესი. ეს პირობა, როგორც წესი, სრულდება რამდენადაც ხელსაწყოს ყველა თვალსაჩინო ხარვეზი სწორდება მისი კონსტრუირებისას და წარმოებისას. ექსპონენციალური კანონის გამოყენება საშუალებას იძლევა მივიღოთ შედეგები, რომლებიც სავსებით გამოსადეგია ეფექტურობის ზუსტი საინჟინრო შეფასებისათვის. [71].

ექსპონენციალური კანონის გამოყენება თანმიმდევრულ მტყუნებებს შორის დროის განაწილებისას, როცა მტყუნებები ექვემდებარება სხვა კანონს, ხშირად იძლევა ობიექტის ეფექტურობის შეფასების არასწორ

მაჩვენებლებს. ეს მტკიცებულება სამართლიანია იმ დაძველებული ობიექტებისათვის, რომელთა მტყუნების ინტენსივობა იზრდება დროზე დამოკიდებულებით. [71].

აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვაოთ ნაკადები, რომლებიც გამოდის ინფორმაციის ფიზიკური წყაროებიდან და განაცხადთა შემავალი ნაკადები მომსახურე სისტემებისათვის. მს-ების ანალიზისას, უწინარეს ყოვლისა, უნდა იქნას გათვალისწინებული ნაკადების ხასიათი განაცხადის ტიპისა და მათი დამუშავების დროის მიხედვით. მაგ. ინფორმაციის ერთმა წყარომ შეიძლება გადაცეს სხვადასხვა ტიპის შეტყობინებები, რომლებიც განსხვავდება დამუშავების დროითა და დანაკარგებით. ამიტომ ასეთი წყარო უნდა დახასიათდეს რამოდენიმე ცალკე ნაკადით. ხშირად გვხვდება შემთხვევები, როცა სხვადასხვა ფიზიკური წყაროდან მიიღება ერთნაირი ტიპის ინფორმაცია, რომელიც ექვემდებარება ერთნაირ დამუშავებას. ბუნებრივია, რომ ასეთი ინფორმაცია წარმოდგება ერთი ჯამური ნაკადით.

დავახასიათოთ დაწვრილებით II სახის მტყუნება. ეს არის ხელსაწყოების მტყუნებების ნაკადები, რომლებიც წარმოადგენს აღდგენაზე მოთხოვნათა წყაროს. მტყუნების შემდეგ ხლსაწყო გადადის არაქმედითუნარიან მდგომარეობაში.

წარმოქმნის ხასიათის მიხედვით მტყუნება შეიძლება იყოს: უეცარი და თანდათანობითი. უეცარი მტყუნება გვაქვს მაშინ, როდესაც მოწყობილობის პარამეტრები ნახტომისებურად იცვლება. ასეთი მტყუნების წინასწარ შემჩნევა შეუძლებელია, რადგან ისინი წარმოიქმნება სხვადასხვა მიზეზის გამო (მაგ. კავშირის არხის დაზიანებით, ენერგომომარაგების წყაროებით, მომსახურე პერსონალის არასწორი მოქმედებით). თანდათანობითი მტყუნება გვაქვს მაშინ, როდესაც ელემენტის ან სისტემის პარამეტრები თანდათან იცვლება და ისინი გამოდის დადგენილ ფარგლებს გარეთ. ასეთ მტყუნებას იწვევს მოწყობილობის დაძველება ან ცვეთა.

განასხვავებენ მდგრად მტყუნებებს და თვითლიკვიდირებად

მტყუნებებს (შეფერხებებს). მდგრადი მტყუნების აღმოსაფხვრელად აუცილებელია სარემონტო სამუშაოების ჩატარება. თვითლიკვიდირებადი მტყუნებისას სისტემა თვითონ აღდგება და იმუშავებს საიმედოდ. როგორც წესი, ასეთ მტყუნებებს აქვს ხანმოკლე ხასიათი. იგი შეიძლება გამოწვეული იყოს გარე და შიგა წყაროებიდან ხარვეზების ზემოქმედებით, აგრეთვე მომსახურე პერსონალის არასწორი მოქმედებით.

იმაზე დამოკიდებულებით, თუ როგორ არის ორგანიზებული გარედან მიღებული მოთხოვნის მომსახურება და როგორია ამ მოთხოვნის ხასიათი, მტყუნების შედეგი შეიძლება იყოს სხვადასხვა. ამ აზრით გამოვყოფთ მტყუნებების 3 ჯგუფს:

1. არაგამაუფასურებელი;
2. ნაწილობრივ გამაუფასურებელი;
3. გამაუფასურებელი.

მრავალ სისტემაში შესაძლებელია მოწყობილობის ქმედითუნარიანობის უწყვეტი კონტროლი, რომლითაც საშუალება გვეძლევა აღმოვაჩინოთ მტყუნებები წარმოშობის მომენტისთანავე. ამიტომ ხშირად მტყუნებები შეიძლება ჩავთვალოთ როგორც არა გამაუფასურებელი. ეს ნიშნავს, რომ სისტემას, ქმედითუნარიანობის აღდგენის შემდეგ, შეუძლია სამუშაოს გაგრძელება იმ მომენტიდან, სადაც ის შეწყდა. ამიტომ ყველა ნამუშევარი, მეზობელ მტყუნებებს შორის, შეიძლება ჩაითავალოს სასარგებლოდ.

ნაწილობრივ გამაუფასურებელი მტყუნება დამახასიათებელია იმ სისტემებისათვის, რომელთა ქმედითუნარიანობა მოწმდება პერიოდული კონტროლით, აგრეთვე უწყვეტი კონტროლის მქონე ზოგიერთ სისტემებშიც, რომლებშიც პერიოდულად ფიქსირდება და ინახება სამუშაოს შუალედური მონაცემები. აღნიშნულის გარდა, ნაწილობრივ გამაუფასურებელი მტყუნების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მონაცემთა გადაცემის სისტემა (მომსახურე მოწყობილობა–მონაცემთა გადაცემის არხი), რომელშიც გადასაცემი შეტყობინება იყოფა მცირე

ნაწილებად (ბლოკებად). მტყუნების შემთხვევაში შეიძლება გაუფასურდეს ერთი ბლოკის მიერ გადაცემული ინფორმაცია.

სისტემებში, რომელთაც ახასიათებს გამაუფასურებელი მტყუნება, მტყუნების შედეგი იმდენად მძიმეა, რომ საჭირო ხდება სამუშაოს თავიდან დაწყება.

სისტემებში შეიძლება წარმოიშვას განსაზღვული პროპორციებით ყველა სამი სახის მტყუნება [71].

განვიხილოთ გარე ანუ შემავალი ნაკადის (I სახე) მომსახურება.

საიმედო ხელსაწყოების მქონე მომსახურე სისტემის მომსახურების პროცესი ყოველი მოთხოვნისათვის ხასიათდება მომსახურების დროის ხანგრძლივობით.

უფრო რთული სიტუაცია გვაქვს მაშინ, როდესაც სისტემებს გააჩნია არასაიმედო ხელსაწყოები. პირველი – მომსახურების ხანგრძლივობას საერთოდ არა აქვს აზრი, თუ მომსახურე ხელსაწყოს მტყუნების შემდეგ შეწყვეტილი განაცხადი იკარგება. მეორე – თუ შეწყვეტილი განაცხადი არ იკარგება და მომსახურდება რაიმენაირად, მაშინ მომსახურების დრო (მომსახურების დაწყებიდან მოთხოვნის გაცემამდე) წარმოადგენს ფუნქციას, რომელიც დამოკიდებულია მომსახურე ხელსაწყოების საიმედოობის მაჩვენებლებზე და აგრეთვე ექსპონენციალურ მაჩვენებლებზე.

ასეთ სიტუაციაში (შესრულებული სამუშაო შეიძლება დაიკარგოს ან არ დაიკარგოს) მომსახურების პროცესის საწყის პარამეტრად მიზანშეწონილია მივიღოთ მოთხოვნის „სიგრძე“. ინფორმაციულ სისტემებთან მიმართებაში მოთხოვნას წარმოადგენს ინფორმაცია. დავუშვათ, ინფორმაცია შედგება N ბიტისაგან, ხოლო არხის სიჩქარეა v ბიტი/წ, მაშინ ცხადია, რომ მოთხოვნის გადაცემის მინიმალური დრო იქნება $\tau = N / v$. ეს არის მოთხოვნის სიგრძე. იგი წარმოადგენს შემთხვევით სიდიდეს, რომელიც განაწილებულია ნებისმიერი კანონით $L(u) = P\{x < u\}$, მოთხოვნის სიგრძეა.

განვიხილოთ შიგა ნაკადის (II სახე) მომსახურება.

II სახის მოთხოვნის მომსახურება მდგომარეობს მტყუნებული ხელსაწყოს აღდგენაში. უნდა ჩავთვალოთ, რომ აღდგენის დრო არის შემთხვევითი სიდიდე. ამ დროის განაწილება შეიძლება დამოკიდებული იყოს მოთხოვნის მომსახურების მომენტში ხელსაწყოს მწყობრიდან გამოსვლაზე ან სისტემის თავისუფალ მდგომარეობაში ხელსაწყოს მწყობრიდან გამოსვლაზე. ზოგად შემთხვევაში აღდგენის დრო წარმოადგენს შემთხვევით სიდიდეს განაწილებულს ზოგადი კანონით. მაგრამ ცდები გვიჩვენებს, რომ ხშირად ეს განაწილება ძალიან ახლოსაა მაჩვენელიან განაწილებასთან. [68,71].

ჩვეულებრივ, მტყუნებების ძირითადი რაოდენობა აღმოიფხვრება მალე, ხოლო მოცულობითი სარემონტო სამუშაოები გვხვდება იშვიათად. ეს გარემოება იძლევა იმის საშუალებას, რომ აღდგენის დროის განაწილების ფუნქცია კარგად აპროქსიმირდება მაჩვენებლიანი ფუნქციით. აგრეთვე არსებობს სხვა აზრი მაჩვენებლიანი განაწილების სასარგებლოდ. მოდულური აპარატურის (ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანა) რემონტისას შეიძლება შეიცვალოს მისი გაუმართავი მოდული. თუ ყოველი მცდელობისას მიიღწევა დადებითი შედეგი რაღაც ალბათობით, ამასთან ასეთი მცდელობა არის ბევრი, მაშინ თეორიულად აღდგენის დროის განაწილების კანონი ემთხვევა მაჩვენებლიან კანონს.

უკანასკნელ მტკიცებულებას ადგილი აქვს იმ სისტემებისათვისაც, რომლებიც აგებულია ისე, რომ ხშირად მტყუნებადი ელემენტები მოითხოვენ შედარებით მცირე დროს რემონტისათვის იმ ელემენტებთან შედარებით, რომლებიც იშვიათად მტყუნდება. [62,71,72].

სამუშაოში მიღებულია, რომ აღდგენის დრო განაწილებულია ზოგადი კანონით.

მომსახურე სისტემას შეუძლია ჰქონდეს ერთი ან რამოდენიმე მომსახურე არხი, შესაბამისად სისტემას ეწოდება ერთარხიანი ან მრავალარხიანი. ასეთი განსაზღვრა საიმედო ხელსაწყოებით მომუშავე

სისტემებისათვის არ იწვევს გაუგებრობას. მაგრამ არასაიმედო ხელსაწყოებით მომუშავე სისტემებისათვის შეიძლება გამოიწვიოს გაუგებრობა: იმ შემთხვევებში, როცა სისტემაში რამოდენიმე ხელსაწყო შეიძლება გამოიყენებოდეს მარაგის სახით სხვა ხელსაწყოებისათვის;; აგრეთვე იმ შემთხვევებში, როცა ყველა ხელსაწყო ან ხელსაწყოთა ჯგუფი შეიძლება გამოიყენებოდეს ცალ-ცალკე მოთხოვნების შესრულებისათვის.. გამომდინარე აქედან, მოსახერხებელია ჩავთვალოთ სისტემები ერთარხიანად ან მრავალარიანად იმისდა მიხედვით, თუ რამდენი მოთხოვნა მომსახურდება მასში ერთდროულად.

ნაშრომში გამოკვლეულია დროითი და ინფორმაციული სიჭარბის მქონე ერთარხიანი სისტემა; დროითი და აპარატურული სიჭარბის მქონე მრავალარხიანი სისტემა.

მომსახურების სისტემის მნიშვნელოვას სტრუქტურულ მახასიათებელს წარმოადგენს რიგის აგება. ამჟამად ყველაზე უფრო სრულყოფილად გამოკვლეულია 2 ზღვრული შემთხვევა: 1) სისტემები დანაკარგებით, როცა არ შეიძლება განაცხადთა რიგის შექმნა მომსახურე ხელსაწყოებთან. 2) ლოდინის მქონე სისტემები, როცა შესაძლებელია შეიქმნას რიგი ნებისმიერი სიგრძის და განაცხადებს შეუძლიათ ლოდინი შეუზღუდავად.

შუალედური მდგომარეობა აღნიშნულ სისტემებს შორის უკავია სისტემებს რიგის ან დროის შეზღუდვით ან რიგისა და დროის შეზღუდვით.

მოცემულ სამუშაოში გამოკვლეულია სისტემები შეუზღუდავი რიგის სიგრძით და შეუზღუდავი ლოდინის დროით.

რიგის მომსახურების დისციპლინა განისაზღვრება წესებით, რომელთა შესაბამისადაც შეირჩევა განაცხადები მომსახურებაზე. განაცხადების შერჩევის მრავალი ხერხი არსებობს. მათ შორის ძირითადს წარმოადგენს შემდეგი მომსახურებანი:

1. რიგის მიხედვით („პირველი მოვიდა – პირველი მომსახურდება“);

2. ინვერსიული („ბოლო მოვიდა – პირველი მომსახურდება“);

3. შემთხვევითი შერჩევა;

4. ჯგუფური;

5. პრიორიტეტის მიხედვით.

სამუშაოში განხილულია I ხერხი – რიგის მიხედვით მომსახურება.

შეწყვეტილი მოთხოვნის მომსახურება აგრეთვე ხდება სხვადასხვა ხერხით. შეწყვეტილი განაცხადი:

1. ტოვებს სისტემას (იკარგება);

2. მომსახურდება თავიდან;

3. მომსახურდება იმ წერტილიდან, საიდანაც მოხდა შეწყვეტა (გათვალისწინებული იქნება შესრულებული სამუშაო).

შესაძლებელია ისეთი შემთხვევაც, როცა გაითვალისწინება ადრე შესრულებული სამუშაოს ნაწილი. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია ზემოთ ჩამოთვლილი მომსახურების ხერხების შეთანხმება.

პრიორიტეტი არის მაჩვენებელი, რომელიც განაპირობებს რომელიღაც განაცხადის მნიშვნელოვნებას სხვა განაცხადის მიმართ, როცა შესაძლებელია განაცხადებს შორის კონფლიქტური სიტუაცია. ყველაზე მეტად გავრცელება ჰპოვა აბსოლუტურმა და შეფარდებითმა პრიორიტეტებმა.

I შემთხვევაში მაღალი პრიორიტეტის განაცხადის სისტემაში მიღებისას წყდება დაბალი პრიორიტეტის განაცხადის მომსახურება.

II შემთხვევაში უკვე დაწყებული მომსახურების შეწყვეტა არ შეიძლება, მომსახურე ხელსაწყოს განთავისუფლების შემდეგ რიგიდან აირჩევა ყველაზე მაღალი პრიორიტეტის განაცხადი.

როგორც ცნობილია, მათემატიკურ მოდელში შედის: სიდიდეები, რომლებიც დროის ნებისმიერ მომენტში ახასიათებს სისტემის მდგომარეობას; სიდიდეები, რომლებიც ახასიათებს გარემოს მხრიდან ობიექტზე ზემოქმედებას; აგრეთვე მისი საკუთარი მახასიათებლები.

ვითვალისწინებთ რა ა მოცანის (დავალების) სისტემაში მიღების

პროცესის, მტყუნების წარმოშობის, მომსახურე სისტემის აპარატურის აღდგენის სტოქასტიკურ ხასიათს და სხვა ფაქტორებს მათემატიკურ მოდელად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღებული გვაქვს სიჭარბის მქონე მასობრივი მომსახურების სისტემა.

მასობრივი მომსახურების სისტემის მდგომარეობის ქვეშ იგულისხვება შემდეგი: სისტემაში მყოფი სხვადასხვა სახის განაცხადთა რაოდენობა; სისტემაში განაცხადთა ყოფნის, მომსახურების და ლოდინის დროითი მახასიათებლები.

მმს აგრეთვე ხასიათდება ისეთი სტრუქტურული პარამეტრებით, როგორიცაა: მომსახურე ხელსაწყოების რიცხვი, ამ ხელსაწყოებს შორის ურთიერთკავშირი, მოთხოვნის მომსახურების კანონზომიერებანი და სხვა.

ყველა ეს პარამეტრი და სტატისტიკური მახასიათებელი მოცემულია შესაბამის ქვეთავებში.

1.3. გამოსაკვლევი ობიექტის მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა და რამოდენიმე გადაუწყვეტავი საკითხი

1.3.1. დროითი სიჭარბის მქონე ტექნიკურ სისტემებში გამოთვლითი პროცესისა და გამტარუნარიანობის მაღალი მტყუნებამდგრადობის უზრუნველყოფის პროგრამული მეთოდები

გამოთვლითი კომპლექსებისა და მრავალპროცესორიანი სისტემების მტყუნებამდგრადობის ამაღლების პერსპექტიულ მეთოდს წარმოადგენს გამოთვლითი პროცესის ორგანიზაციის სპეციალური ტექნოლოგიის რეალიზაცია. ეს მეთოდი იყენებს შუალედური მონაცემების ისეთ დამხსომებელ მოწყობილობაში მოთავსებას, სადაც ინფორმაცია კარგად იქნება დაცული დამახინჯებებისაგან. ამ შემთხვევაში შეფერხებების ან მტყუნებების შედეგად მიღებული დამახინჯებული შედეგების გასასწორებლად, გამოთვლითი პროცესის (გპ-ის) განახლება საჭირო იქნება

არა თავიდან, არამედ შუალედური დონიდან, როგორც უწოდებენ, საკონტროლო წერტილიდან. რადგან აღნიშნული ტექნოლოგიის განხორციელებისათვის საჭიროა გამოთვლითი რესურსების დამატებითი დანახარჯები, ამიტომ წარმოიქმნება გპ-ის მართვის ორგანიზაციის ეფექტური სტრატეგიის დამუშავების ამოცანა, ე.ი. მოითხოვება მაქსიმალურად შემცირდეს რესურსების არამწარმოებლური დანაკარგები გამოთვლის გამეორებაზე.

გპ-ის მტყუნებამდგრადობის უზრუნველყოფისათვის გამოთვლების საშუალედო შედეგების დამახსოვრების ეფექტური მართვის სფეროში საინტერესო გამოკვლევები ჰქონდათ ბ.ვ.გნედენკოს, ი.კ.ბელიაევს, ა.დ.სოლოვიევს , გ.ნ.ჩერკასოვს , ი.ს.გოლუბევა-ნოვოჟილოვას. [73,71,74].

ი.კ.ბელიაევის მიერ პირველად იქნა შესწავლილი მოცემულ დროში ამოცანის შესრულების შესაძლებლობა მუდმივი მოცულობის გამომთვლელ მანქანაზე, როდესაც ადგილი აქვს 2 სახის გამაუფასურებელ მტყუნებას. ბ.ვ.გნედენკომ, ი.კ.ბელიაევმა, ა.დ.სოლოვიევმა განსაზღვრეს ჯამური სასარგებლო ნამუშევარი ერთი საინტერესო მოდელისათვის. [73].

პირველი სამუშაო, რომელშიც ნაჩვენებია დროითი სიჭარბის ეფექტური გამოყენების შესაძლებლობა სისტემის საიმედოობის ამაღლებისათვის, იყო გ.ნ.ჩერკასოვის სტატია. ი.ს.გოლუბევ-ნოვოჟილოვმა პირველად განიხილა გამოთვლითი სისტემის მუშაობის ორგანიზაციის მოდელი, რომელიც ითვალისწინებდა დამატებით დანაკარგებს გადასაწყვეტი ამოცანის დამახინჯებული ნაწილის ხელახლა გადასაანგარიშებლად. [75,74].

გპ-ის შუალედური შედეგების დამახსოვრებისათვის ამოცანის ნაწილებად დაყოფის სტრატეგიის შერჩევასთან დაკავშირებული საკითხები პირველად განხილულ იქნა ა.ი.გარკავის, ვ.ბ. გოგოლევსკის, ვ. პ. პეტუხოვას ნაშრომი. ფ. გ. ენსლოუს ნაშრომში გადაწყვეტილია ოპტიმალური რაოდენობის ეტაპების არჩევის საკითხი, როდესაც მტყუნებათა ნაკადი არის პუასონური, ხოლო შემოწმება ხდება ეტაპის ბოლოს. ი.ს.მიქაძის,პ.ბ.

შელეგიას ნაშრომებში განსაზღვულია მოცემულ დროში ამოცანის წარმატებით შესრულების ალბათობა. ამასთან უმტყუნო მუშაობის დროს, ექსპონენციალური განაწილებისას, შედეგები მიღებულია ცხადი სახით. [76,53, 34,65].

ი.ნ.კოვალენკოს, ა.ა.ვორონიოვას, ი.ვ.ჩისტიაკოვის, ა.ს.ვაირდიანის, ა.ვ.კოროვინას, ვ.ნ. უდალოვას წიგნები ეძღვნება გამოთვლების ოპტიმალური ორგანიზაციის საკითხებს მტყუნებამდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით. [77,78,79].

ი.ნ.კოვალენკოს, ლ.ს.სტოიკოვას გამოკვლევებში, გპ-ის შუალედური მდგომარეობის დამახსოვრების ოპტიმალური მართვის განსაზღვრისათვის, გამოყენებული აქვს ოპტიმიზაციის კრიტერიუმი, რომელიც ახასიათებს სისტემის მწარმოებლობას: $a = \lim\limits_{t \to \infty} N(t)/t$, სადაც $N(t)$ - სისტემის მუშაობის პროცესია. [32].

ე.გ. ტრახტენგერცის წიგნში განხილულია გამოთვლითი სისტემის მოდელი შეფერხებების არსებობისას, როცა კონტროლი არასარწმუნოა. ამასთან აღმოჩენადი შეცდომის შემდეგ ხდება ეტაპის გადაანგარიშება, ხოლო არააღმოჩენადის შემდეგ ხდება მთლიანად ამოცანის თავიდან გადაანგარიშება. [80].

ზემოთ აღნიშნულ ნაშრომებში მტყუნებებს შორის დროის განაწილების ფუნქცია ცნობილი იყო. ლ.ს.სტოიკოვის, ვ.დ.შპაკის [81] ნაშრომებში, რომლებშიც გამოკვლეულია ორგანიზაციის ოპტიმალური პერიოდის არჩევის განსაკუთრებულობანი, მტყუნებათა განაწილების კანონის შესახებ ინფორმაცია არასრულია (ცნობილია მხოლოდ პირველი 2 მომენტი). [81].

გპ-ის ეფექტურად გამოყენებასთან არის დაკავშირებული შემდეგი საკითხები: ოპტიმალური შემოწმება, პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარება, ეტაპების ოპტიმალური რიცხვისა და კონტროლის პერიოდულობის დროის განსაზღვრა. ამ საკითხებზეა მიძღვნილი ა.დ.სოლოვიევის , ი.ა.უშაკოვის , ბ.მ.კაგანის, ი.ბ.მკრტუმიანის და სხვების

გამოკვლევები. მათში ოპტიმიზაციის კრიტერიუმებად გამოყენებულია: მზადყოფნის კოეფიციენტი, ოპერატიული მზადყოფნის კოეფიციენტი, საშუალო ჯამური დაყოვნება და ა.შ. [82,56,83].

1.3.2. მმს არასაიმედო მომსახურე სისტემით

მასობრივი მომსახურების თეორიის მეთოდების გამოყენებით ბევრი პრაქტიკულად მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტა არის შესაძლებელი. მათ შორის შეიძლება პირველ ადგილზე დავაყენოთ სიჭარბის მქონე სისტემების გამოკვლევის საკითხი, რაც განპირობებულია ამ სისტემების ფართოდ გავრცელებით.

სიჭარბის არსებობა წარმოადგენს ძირითად საშუალებას იმ ტექნიკური სისტემების ეფექტურობის და საიმედოობის ანალიზისათვის, რომლებიც შეიცავს არასაიმედო მოწყობილობებს. კვლავ აღვნიშნავთ, რომ ბევრ შემთხვევაში სისტემებს გააჩნია ბუნებრივი სიჭარბის სხვადასხვა სახე მათი სტრუქტურული და ფუნქციონალური განსაკუთრებულობის მიხედვით. სისტემის ჭარბი რესურსის რაციონალური გამოყენება, ამ სიჭარბის წყაროზე დამოკიდებულებით (ბუნებრივი სიჭარბე, ხელოვნურად შეყვანილი სიჭარბე), ძირითადად განისაზღვრება შემდეგი ფაქტორებით:

1) სისტემის ტექნიკური მდგომარეობის კონტროლის ხერხები და მეთოდები;

2) მომსახურე ხელსაწყოებს შორის სტრუქტურული და ფუნქციონალური ურთიერთკავშირის პრინციპები (რეზერვირების რეჟიმში ფუნქციონირება, მწარმოებლობის ამაღლების რეჟიმში ფუნქციონირება, ყოველი ხელსაწყოს ავტონომიურ რეჟიმში ფუნქციონირება);

3) მოთხოვნების მომსახურების ორგანიზაცია;

4) მოთხოვნების დამუშავების შეწყვეტის შემდეგ მათი მომსახურების დისციპლინა.

არასაიმედო ხელსაწყოების მქონე მმს-ის სისტემის შესახებ მრავალი გამოკვლევაა ჩატარებული. ამ დარგში პირველ გამოკვლევას წარმოადგენს

ბ.ვ.გნედენკოს სტატია. მის მიერ დაკავშირებული იქნა მასობრივი მომსახურების თეორია საიმედოობის თეორიასთან. საომედოობის თეორიის მეთოდებმა ფართო გამოუყენება ჰპოვა მასობრივი მომსახურების ამოცანების გადაწყვეტაში. ეს გარემოება აისახება მწარმოებლობისა და მომსახურე ხელსაწყოების სხვა მაჩვენებლების განსაზღვრის საკითხებში საიმედოობის გათვალისწინებით; მზადყოფნის კოეფიციენტისა და საიმედოობის ფუნქციის გამოყენებაში სისტემის მნიშვნელოვანი მაჩვენებლების ანალიზისას.

რიგი საინტერესო მოდელები განხილულია ტ.პ.მარიანოვიჩის ნაშრომებში. მის ერთ-ერთ მოდელში შესწავლილია მრავალარხიანი მმს დანაკარგებით; მომსახურება ხდება არასაიმედო ხელსაწყოებით; მოთხოვნათა ნაკადი მარტივია; ხელსაწყოები მტყუნდება მხოლოდ დაკავებულ მდგომარეობაში; ხელსაწყოს მტყუნება აღმოჩნდება მყისიერად ე.ი. არსებობს უწყვეტი იდეალური კონტროლი; აღმდგენი მოწყობოლობების რაოდენობა ტოლია ხელსაწყოების რაოდენობისა; ხელსაწყოების უმტყუნო მუშაობის დრო და აღდგენის დრო განაწილებულია ნებისმიერი კანონით. [84].

მეორე მოდელში ხელსაწყოები მტყუნდება როგორც თავისუფალ, ისე დაკავებულ მდგომარეობაში; როგორც მომსახურების დრო, ასევე აღდგენის დრო განაწილებულია ნებისმიერი კანონით; კონტროლი არის უწყვეტი და იდეალური. გამოთვლილია P_{ij} ალბათობა იმისა, რომ სისტემის სტაციონალურ მდგომარეობაში მომსახურე ხელსაწყოების რაოდენობა არის i, ხოლო მტყუნებული ხელსაწყოებისა კი j. [85].

მსგავსი ამოცანა მმს-თვის ლოდინის დროის შეზღუდვით შესწავლილია ო.ა.ნოვიკოვას და ს.ი.პეტუხოვას წიგნებში [86]. აქ ლოდინის დრო შემოსაზღვრულია შემთხვევითი სიდიდით, რომელიც განაწილებულია მაჩვენებლიანი კანონით. აგრეთვე მიღებულია დაშვება, რომ სხვა განაწილებანიც მაჩვენებლიანია.

მოგვიანებით ტ.პ.მარიანოვიჩმა განაზოგადა რამოდენიმე ადრე

მიღებული შედეგი, როდესაც მმს-ში არის რეზერვული ხელსაწყოები.

ვ. ნ. გლუხოვის ნაშრომში გამოკვლეულია მმს დანაკარგებით, რომელშიც გამოყენებულია არასაიმედო ხელსაწყოები. ნაგულისხმებია, რომ შემოსული მოთხოვნა იკარგება, როდესაც ყველა ხელსაწყო დაკავებულია ან გაუმართავია; ამასთან მოთხოვნა, რომლის მომსახურებაც შეწყდება, იკარგება; ხელსაწყოების რაოდენობაა m; აღმდგენი მოწყობილობების რაოდენობაა n; ყველა განაწილება მაჩვენებლიანია. იძებნება სისტემის ძირითადი მახასიათებლები. [19].

არასაიმედო ხელსაწყოების მქონე მმს-ის ექსპლუატაციისას დაისმება საკითხი სამარაგო ნაწილების აუცილებელი რაოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით. მათი უკმარისობა იწვევს მომსახურე ხელსაწყოების იძულებით მოცდენას იმის გამო, რომ არ ხერხდება გაუმართაობის სწრაფი ლიკვიდაცია. მეორეს მხრივ, სამარაგო ნაწილების სიჭარბე იწვევს კაპიტალის გაყინვას, რაც არ არის ეკონომიურად გამართლებული. ეს საკითხი მოითხოვს სერიოზულ ეკონომიურ მიდგომას სამარაგო ნაწილების აუცილებელი რაოდენობის განსაზღვრის მიზნით.

აღნიშნული საკითხი განხილულია ტ.ლ.საატის წიგნში. [86].

ე.მ. მუსაევის და ტ.ი. ნოსიროვას ნაშრომში გამოკვლეულია ერთარხიანი მმს ორმაგი პრიორიტეტით. ხელსაწყო არასაიმედოა; მოთხოვნათა ნაკადი მარტივია; ყველა განაწილება მაჩვენებლიანია; მე-2 პრიორიტეტის მქონე მოთხოვნა იკარგება, თუ ხელსაწყო მომსახურების პროცესშია ან გაუმართავია; I პრიორიტეტის მქონე მოთხოვნა ელოდება ხელსაწყოს განთავისუფლებას შეუზღუდავად და სისტემას ტოვებს მომსახურების შემდეგ P ალბათობით, ხოლო 1-P ალბათობით ხელახლა მომსახურდება; ხელსაწყო მტყუნდება თავისუფალ მდგომარეობაში. [87].

ვ. ა. ივნიცკის ნაშრომში განხილულია ერთარხიანი სისტემა ლოდინით. თავისუფალ მდგომარეობაში ხელსაწყო მტყუნდება ნებისმიერი კანონით, ხოლო დაკავებულ მდგომარეობაში მაჩვენებლიანით. შეისწავლება 2 სახის შემავალი ნაკადი: მარტივი და სასრული რაოდენობის

წყაროდან მიღებული. გამოკვლეულია რიგის სიგრძე, როცა კონტროლი არის უწყვეტი და იდეალური. [88].

ი. ბ. გერცბახის და ხ.ბ. კორდინსკის მიერ გამოკვლეულია ერთარხიანი მმს ორმაგი შემავალი ნაკადით. ერთ-ერთ მათგანს აქვს შეფარდებითი პრიორიტეტი მე-2-ის მიმართ; ხელსაწყო არასაიმედოა როგორც თავისუფალ, ასევე დაკავებულ მდგომარეობაში; კონტროლი არის უწყვეტი და იდეალური. [89].

არასაიმედო ხელსაწყოების მქონე მმს-ები შესწავლილია გ.პ.ბაშარინის, ა.დ.ხარკევიჩის, მ.ა.შპენის წიგნში. მათში განხილულ საკითხებს ფართო გამოყენება აქვს საკომუნიკაციო სისტემებში. [90].

ი. მ. დუხოვნის წიგნში გათვალისწინებულია, რომ მომსახურე ხელსაწყოს ქმედითუნარიანობაზე კონტროლი ხორციელდება მხოლოდ დროის დისკრეტულ მომენტებში. დროის ეს მომენტები ქმნის რეგულარულ ნაკადს; რიგი არ არის შემოსაზღვრული, იძებნება კონტროლის თანმიმდევრულ მომენტებს შორის დროის ინტერვალის ოპტიმალური სიგრძე, როდესაც ფუნქცია ღებულობს ექსტრემალურ მნიშვნელობას.

ანალოგიური ამოცანა დანაკარგის მქონე მმს-თვის გამოკვლეულია ი.ფ.იაკუშევის ნამუშევარში [92].

ვ. კ. ვორონოვის, ი. ვ. ჩისტიაკოვის მიერ გამოკვლეულია მმს. მასში მომსახურე ხელსაწყოები, რაღაც ალბათობით მოთხოვნის მომსახურების შემდეგ, გამოირთვება პროფილაქტიკური რემონტისათვის; მოთხოვნა იკარგება, თუ სისტემა მომსახურების ან აღდგენის პროცესშია; მირებულია სისტემის ფუნქციონირების სტაციონალურ რეჟიმში მოთხოვნის დაკარგვის ალბათობა. [78].

გ.პ.კლიმოვმა დამატებითი ხდომილობის შემოტანის მეთოდით გამოიკვლია არასაიმედო ხელსაწყოების მქონე ერთარხიანი მმს. მან შეისწავლა სისტემები ლოდინით, აგრეთვე სისტემები რიგის შეზღუდვით; ნაკადი არის პუასონური; მომსახურების, ხელსაწყოს „არსებობის“ და მისი აღდგენის დრო როგორც თავისუფალ, ასევე დაკავებულ მდგომარეობაში

არის ნებისმიერი [93].

არასაიმედო ხელსაწყოების მქონე მმს შესწავლილია ავტორთა ჯგუფის მიერ. მათი ძალისხმევით მიღწეულ იქნა არსებითი წინსვლა პრიორიტეტული სისტემების კვლევაში დამატებითი ხდომილობის შემოტანის მეთოდის გამოყენებით. შეძლეს ბევრი ადრე შესწავლილი ამოცანის გამარტივება, აგრეთვე მიიღეს მნიშვნელოვანი ახალი შედეგები. [94,69].

დ.ს.სილნესტროვას წიგნში, ნახევრადმარკოვული პროცესების მეთოდების გამოყენება, გაანალიზებულია არასაიმებო ხელსაწყოების მქონე მომსახურე სისტემათა ძირითადი კლასი. ავტორი ეყრდნობა ვ.ს.კოროლიუკას ფუნდამენტალურ შედეგებს სტოქასტიკური პროცესების თეორიაში . [95].

არასაიმედო ხელსაწყოების მქონე მმს-ის კვლევის ზოგად პრობლემაში მიღებული შედეგების უმეტესობა ეხება ერთარხიან სისტემებს. ამ დარგში დამუშავებული მოდელები ეყრდნობა საკმაოდ ზოდაგ დაშვებებს განაწილების ფუნქციების მიმართ, რომლებიც აღწერს შესაბამის სტატისტიკურ კანონზომიერებებს; შესწავლილია სისტემები ლოდინით, სისტემები დანაკარგებით, აგრეთვე სისტემები სხვადასხვა შეზღუდვებით. [94,95].

რაც შეეხება მრავალარხიან სისტემებს და აგრეთვე სისტემებს რეზერვირებით ამ შემთხვევაში მიღწევები შესამჩნევად მოკრძალებულია. განხილულა მხოლოდ ექსპონენციალური სისტემები შედარებით ზოგადი სახით. ამასთან დაშვებულია, რომ მომსახურების შეწყვეტის შემდეგ მოთხოვნა იკარგება. საქმე იმაშია, რომ მოთხოვნის მომსახურების შეწყვეტის შემდეგ მისი ბედის გათვალისწინება რთული ამოცანაა. [86,96].

ერთარხიანი სისტემებისთვისაც კი, თუ მომსახურე ხელსაწყო რეზერვირებულია ერთი ან რამოდენიმე ხელსაწყოთი, ძნელია ამ ხელსაწყოების მდგომარეობების შეფასება, როცა უმტყუნო მუშაობის და აღდგენის დრო ნებისმიერადაა განაწილებული. ერთარხიანი

სისტემებისათვის მიღებული შედეგებიც ეყრდნობა იმ დაშვებას, რომ ხელსაწყოს უმტყუნო მუშაობის დრო ყოველთვის აითვლება რომელიღაც სპეციალურად შერჩეული მომენტებიდან (ამ მომენტებს შეიძლება წარმოადგენდეს მომსახურების დაწყებისა და დამთავრების მომენტები), თითქოს ამ მომენტებში ხელსაწყოები „ივიწყებენ წარსულს“. ეს გარემოება საშუალებას იძლევა აღნიშნული სისტემები აღიწეროს ორგანზომილებიანი მარკოვული პროცესებით და ერთი უწყვეტი კომპონენტით ან ნახევრადმარკოვული პროცესით.

გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, როდესაც მომსახურე ხელსაწყოები რეზერვირებულია ან მოთხოვნის მომსახურება ხდება რამოდენიმე ხელსაწყოთი (დატვირთვა გადანაწილდება გამომთვლელ მანქანებს შორის, ინფორმაციის გადაცემა მოხდება ერთდროულად და ა.შ.), მაშინ მხოლოდ ერთი მოთხოვნის მომსახურების პროცესის აღწერაც წარმოადგენს რთულ ამოცანას. ამ დროს მოთხოვნის სიგრძის განაწილების მაჩვენებლიანობის დაშვებაც კი არ იძლევა ამოცანის გამარტივების საშუალებას.

მსგავსი სისტემები განხილულია გ.პ. ბაშარინის, მ.ა. ბანზერგის, ბ. ი. ჩერკასოვის ნაშრომებში. მათში შეისწავლება ორნაწილიანი ავტომატური ხაზის მწარმოებლობის ანალიზის საკითხები.[97,98].

ვ. მ. ვიშნევსკის, ბ. ი. რებორეოვიჩის და ტ.ა. ტიმოხოვას მიერ გამოკვლეულია რამოდენიმე გამოთვლითი მანქანისაგან შედგენილი გამოთვლითი სისტემის ფუნქციონირების პროცესი. [99].

დუბლირებული სისტემის ზუსტი ასიმპტოტური ანალიზი ჩატარებულია ბ.ვ.გნედენკოს და ა.დ.სოლოვიოვის ნაშრომებში. მათ მიერ მიღებულ შედეგებს აქვს დიდი თეორიული მნიშვნელობა. [100].

მწარმოებლობის, აგრეთვე დუბლირებული სისტემების სხვა ალბათური მახასიათებლების ანალიზის საკითხებს, მათი რეალური ფუნქციონირების გათვალისწინებით, ეძღვნება ნაშრომები. [55,78,101].

ყველაზე მეტად საჭიროა ისეთი მმს-ის კვლევის მეთოდების დამუშავება, რომელიც რეზერვირებულია სხვადასხვა სახის ხელსაწყოებით;

აგრეთვე მმს-ისა, რომელშიც შესაძლებელია ერთდროულად სხვადასხვა ხელსაწყოთი ცალკეული მოთხოვნის მომსახურება. [1,54,101].

აღნიშნული სახის სისტემების შექმნა, რა თქმა უნდა, წარმოადგენს რთულ ამოცანას, მაგრამ შესაძლებლობანი ამ მიმართულებით არ არის ამოწურული. მოცემულ დისერტაციაში არის მცდელობა იმისა, რომ გადაწყვეტილი იქნას ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები.

1.4. სიჭარბის მქონე ტექნიკური სისტემების ეფექტურობის კრიტერიუმები და პროექტირების მეთოდები

ტექნიკური სისტემების აბსტრაქტული მოდელების ანალიზის საბოლოო მიზანს წარმოადგენს ზემოქმედება მოახდინოს გადაწყვეტილების მიღებაზე სისტემის პროექტირებისას და ექსპლუატაციისას. როგორც წესი, სისტემის დამპროექტებლები ცდილობენ ამოარჩიონ სისტემის სტრუქტურის ყველაზე საუკეთესო ვარიანტი შერჩეული მაჩვენებლების მიხედვით.

იმისათვის, რომ შევადაროთ ერთმანეთს რამოდენიმე ალტერნატიული მოდელი, აუცილებელია ეფექტურობის მაჩვენებლების განსაზღვრა. ეს მაჩვენებლები უნდა ასახავდეს სისტემის მთავარ მიზნობრივ ამოცანას და ძირითად კერძო ამოცანებს; უნდა ითვალისწინებდეს სხვადასხვა პარამეტრის გავლენას სისტემის მიერ შესრულებული ამოცანის ხარისხზე.

სისტემის რაოდენობრივ მახასიათებლებს უწოდებენ კრიტერიუმებს ან ეფექტურობის მაჩვენებლებს. ეფექტურობა უნდა ასახავდეს სისტემის მიზანშეწონილობას (კერძოდ, ეკონომიურს) რიცხვით მაჩვენებლებში და ახასიათებდეს სისტემის ფუნქციონირების ხარისხს. ეფექტურობის კრიტერიუმები უნდა იყოს მოსახერხებელი გამოთვლებისათვის, მგრძნობიარე ძირითადი პარამეტრებისადმი და დანაკარგების

ცვლილებისადმი. [54,70,102].

რთული სისტემების ეფექტურობის კრიტერიუმების მაჩვენებლები დამოკიდებულია დიდი რაოდენობით პარამეტრებზე, რომლებიც შეიძლება დავყოთ გარე და შიგა პარამეტრებად.

გარე პარამეტრები წარმოადგენს საწყისს პარამეტრებს და არ იცვლება პროექტირებისას, ხოლო შიგა პარამეტრები იცვლება ეფექტურობის ექსტრემალური მნიშვნელობების მიღებისათვის.

არასაიმედო მომსახურე ხელსაწყოებისაგან შედგენილ მს-ის ფუნქციონირების ეფექტურობაზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

1. განაცხადთა შემავალი ნაკადის მახასიათებლები და პარამეტრები;
2. განაცხადთა მომსახურების მახასიათებლები და პარამეტრები, რომლებიც თავის მხრივ დამოკიდებულია მომსახურე ხელსაწყოების საიმედოობრივ მახასიათებლებზე (მტყუნებების, აღდგენების სტატისტიკური მახასიათებლები);
3. მოთხოვნის მომსახურების შეწყვეტის შემდეგ მისი მომსახურების დისციპლინის მახასიათებლები;
4. ქმედითუნარიანობის კონტროლის მეთოდის მახასიათებლები.

აღნიშნული სისტემების ეფექტურობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ **სისტემაში მოთხოვნის ყოფნის დრო**. ეს დრო შედგება მომსახურების დაწყებამდე ლოდინის დროისა და მოთხოვნის მომსახურების დროისაგან. ამიტომ ასეთი სისტემების ეკონომიური შეფასებისათვის შესაძლებელია დავუშვათ, რომ ლოდინის დროის ერთეულზე გათვალისწინებულია გარკვეული ჯარიმა, რომელიც იზრდება დაყოვნების დროის პროპორციულად. [11,66].

აღწერილი სისტემის ეფექტურობის მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს აგრეთვე **რიგის სიგრძე.** რიგის სიგრძე ეწოდება ერთდროულად რიგში მყოფ მოთხოვნათა რაოდენობას. რიგის სიგრძის მახასიათებლები, როგორც წესი, გაითვალისწინება დამხსომებელი მოწყობილობის მოცულობის შერჩევის მიზნით რიგში მყოფი

მოთხოვნებისათვის . ამ კუთხით სისტემის ეკონომიური შეფასების მიზნით, საჭირო მოცულობის მქონე დამხსომებელი მოწყობილობის აგებისათვის, შეიძლება შევადგინოთ რიგის სიგრძის შესაბამის ხარჯებზე დამოკიდებულების ფუნქცია. [3,74].

შემდეგში გამოსაკვლევი სისტემის ეფექტურობის კრიტერიუმებად ჩვენ გამოვიყენებთ შემდეგ მაჩვენებლებს: მოთხოვნის რიგში ლოდინის დრო, მოთხოვნის სისტემაში ყოფნის დრო, რიგის სიგრძე.

ტექნიკური სისტემების პროექტირების მეთოდები არის შემდეგი: 1) სისტემური (ფუნქციონალური), 2) ლოგიკური, 3) ტექნიკური.

სისტემური პროექტირების ძირითად ამოცანას წარმოადგენს ოპტიმალური კონფიგურაციის მოძებნა, ტექნიკური საშუალებების შემადგენლობისა და სტრუქტურის შერჩევა, პროგრამული უზრუნველყოფის შემადგენლობისა და სტრუქტურის შერჩევა, კონტროლის სისტემის შერჩევა და ა.შ. რის შედეგადაც უნდა იქნას უზრუნველყოფილი დასაპროექტებელი სისტემისადმი მოთხოვნილი ფუნქციონალური და საიმედოობრივი მახასიათებლები.

სისტემური პროექტირებისას გამოიყენება შემდეგი მეთოდები:

1. ანალიზური;
2. იმიტაციური მოდელირება;
3. ექსპერიმენტული (ნატურალური).

თითოეულ აღნიშნულ მეთოდს გააჩნია თავისი უპირატესობანი და ნაკლოვანებები.

კერძოდ, **იმიტაციური მოდელირებისას** გამოკვლევები ტარდება რეალური ობიექტის პროგრამული ასლის საშუალებით, რაც უეჭველად წარმოადგენს მის ღირსებას. მაგრამ რაც უფრო დეტალურია და ახლოსაა იმიტაციური მოდელი რეალურთან, მით უფრო მეტია მანქანური დროის დანაკარგები მისი რეალიზაციისათვის. ასევე რთულია მისი დამუშავება და გამართვა. თუ ამას დავამატებთ შეფასებების მიღებისათვის საჭირო დიდ შრომატევადობას, გასაგები გახდება, რომ იმიტაციური მოდელირება

დაკავშირებულია ბევრ პრობლემასთან. [103].

მოდელირების შედეგად მიღებულ შედეგებს ყოველთვის აქვს კერძო ხასიათი. გარდა ამისა, მოდელირების ცდომილება დამოკიდებულია საწყისს პარამეტრებზე. მაგ.თუ მოითხოვება ლოდინიან მს-ის რიგის საშუალო სიგრძის (n) გამოთვლა, მაშჲნ არსებობს რაღაც ინტერვალი (a,b), $0<a<b<1$ სისტემის დატვირთვისათვის (ρ), რომელშიც მანქანური მოდელირება იძლევა კარგ შედეგს. შედარებით მცირე რაოდენობით სინჯისათვის მიიღება მდგრადი შეფასება (n).

როცა ρ არის (b,1) დიაპაზონში პროცესი ნელა შედის სტაციონალურ რეჟიმში. ამ დროს მოდელირება იქნება ნაკლებ ეფექტური.

როცა $\rho<a$, მაშინ რაც უფრო ახლოსაა ρ ნულთან, მით უფრო იშვიათად იქნება რიგი სისტემაში. ცდათა ფიქსირებული რაოდენობის დროს ფარდობითი ცდომილობა n-ის განსაზღვრისას მიისწრაფის უსასრულობისაკენ, როცა $\rho \to 0$.

რაც შეეხება **ექსპერიმენტულ გამოკვლევებს**, რომლებიც მეთოდურად არის ძალიან მარტივი, თავისი რეალიზაციისათვის თხოულობს გამოსაკვლევ პოლიგონს – სპეციალურ გამოთვლით ცენტრს. ამგვარად, შედეგების სარწმუნოება და მისი ინტერპრეტაციის სიმარტივე ძვირი ჯდება.

ანალიზური მოდელირება, რომელსაც მიეკუთვნება წარმოდგენილი სამუშაოს შედეგები, ყველა ჩამოთვლილი მეთოდებიდან არის მეთოდურად რთული. იმ შემთხვევებში, როცა ანალიზური მოდელის მიახლოება ობიექტივთან ითვლება მისაღებად, მაშინ მიიღწევა ანალიზის ისეთი სიღრმე, რასაც სხვა მეთოდებით დასჭირდება ძალიან დიდი მოვულობის ექსპერიმენტები.

მათემატიკურ თეორიებსა და საინჟინრო პროექტირების პრაქტიკას შორის არსებობს გარკვეული დაცილება. ეს აიხსნება იმით, რომ მატემატიკური შედეგები, რომლებიც გამიზნულია სისტემის ანალიზისათვის არის რთული და მოცულობითი. შესაბამისი პროგრამული

უზრუნველყოფის დამუშავების გარეშე არ ხერხდება შედეგების გამოყენება სისტემის ხარისხის სხვადასხვა მაჩვენებლის ანგარიშისათვის. ამიტომ არსებითია პროგრამული უზრუნველყოფის დამუშავება ე.ი. პრაქტიკული გამოყენებისათვის გამიზნული მათემატიკური შედეგების წარმოდგენა ეგმ-ზე დასამუშავებელი პროგრამის სახით. იგი არის მოსახერხებელი ფორმა და გამორიცხავს შედეგების სირთულესა და მოცულობითობას.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ანალიზური მიდგომა ძალიან ხშირად წარმოადგენს ფიზიკურ სისტემებში მიმდინარე პროცესების კვლევის ყველაზე მისაღებ ფორმას. იგი საუკეთესოდ აღწერს პროცესებს. ანალიზური მეთოდების საშუალებით შესაძლებელია მივიღოთ საერთო სურათი და განვსაზღვროთ სად არის აუცილებელი მანქანური მოდელირების გამოყენება.

მანქანური მოდელირების გამოყენება საჭიროა ანალიზური ხერხით მიღებული შედეგების დაზუსტებისათვის ან ისეთი მაჩვენებლების ანალიზისათვის, რომლებიც მოთხოვნილი სიზუსტით ანალიზური კვლევის შედეგად არ მიიღება. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სანამ სისტემა პრაქტიკულად არ არის აპრობირებული, საწყისი მონაცემები არის მიახლოებითი. ამ შემთხვევაში არაა აუცილებელი მაღალი სიზუსტის მიღება. სავსებით საკმარისია გვქონდეს საწყისი მონაცემების თანაზომადი სიზუსტე, რომელიც საშუალებას მოგვცემს ავირჩიოთ საუკეთესო ვარიანტი რამოდენიმე შესაძლო ვარიანტიდან.

ზემოთ მოყვანილი გამოთვლითი სისტემების პროექტირების მეთოდების მოკლე დახასიათება არ უნდა განვიხილოთ, როგორც მეთოდების შეუთავსებლობა. ჩვეულებრივ, პროექტირების ამოცანის ეფექტურად გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ყველა მეთოდის გონივრული შეთანხმებით.

გამოთვლითი სისტემის ფუნქციონირების გამოკვლევისას ამოცანის ანალიზური აღწერისათვის გამოიყენება როგორც დეტერმინებული მოდელი, ასევე ალბათური მოდელი.

დეტერმინებული მოდელის გამოყენება დასაბუთებულია იმით, რომ გამოთვლითი სისტემის ცალკეული მოწყობილობის ფუნქციონირება ექვემდებარება სრულიად განსაზღვრულ ალგორითმს და ამიტომ დეტერმინებულია. მაგრამ ასინქრონულობა, სამუშაოს პარალელობა, შიგა მიმართვების შემთხვევითობა, აპარატურის არასაიმედოობა, მომხმარებლის პროგრამების მრავალფეროვნება და ა.შ. წყვეტს სისტემის ფუნქციონირებას. ამიტომ გამოთვლითი სისტემის შესწავლა ბუნებრივია ტარდება ალბათური მეთოდებით. ამ მიზნით ყველაზე უფრო ხშირად გამოიყენება მასობრივი მომსახურების თეორია.

მასობრივი მომსახურების თეორიის დარგში მომუშავე წამყვანი მეცნიერების აზრით, მმ-ის თეორიის შედეგების გამოყენება პრაქტიკაში უმეტესწილად შედარებით პრიმიტიულია, არ ითვალისწინებს მომსახურე მოწყობილობების საიმედოობის მაჩვენებლებს. აქედან გამომდინარე, მომხმარებელი ყოველთვის ვერ ღებულობს მოგებას ბაზური მათემატიკური მოდელის გამოყენებით.

შეიძლება დავსვათ შეკითხვა: „რისი გაკეთებაა საჭირო ამ სიტუაციის გამოსასწორებლად?“

რიგის მქონე სისტემების პროექტირებისას პრობლემების გადაწყვეტა არ წარმოადგენს მარტივ ამოცანას. საჭიროა უფრო დაზუსტებული მეთოდები და სიტუაციის სირთულის გათვალისწინება. ამ მიმართულებით შეიმჩნევა პროგრესი. უკანასკნელ წლებში გამოჩნდა ბევრი საინტერესო სამუშაო პროექტირების სფეროში. მათი ანალიზი გვიჩვენებს შემდეგს: უპირველეს ყოვლისა, უარი უნდა ვთქმათ იმ თვალთახედვაზე, რომ რიგის მქონე სისტემებში მიმდინარე პროცესების აღწერა მოხდეს აპარატურის საიმედოობის გათვალისწინების გარეშე; აუცილებელია საწყისს პროცესებზე (მონაცემებზე) დაშვებული შეზღუდვების შემცირება (მინიმიზირება); აგრეთვე საჭიროა გარდამავალი პროცესების შესწავლა.

კორექტული მათემატიკური მოდელის შექმნისათვის, რომელიც საშუალებას მოგვცემს ჩავატაროთ ობიექტთა თვისებების ანალიზური

კვლევა, საჭიროა ვაწარმოოთ ფუნდამენტური სტატისტიკური გამოკვლევა.

დასმული ამოცანების გადაწყვეტა შეუძლებელია ისეთი რთული შემთხვევითი პროცესების დეტალური შესწავლის გარეშე, როგორიცაა მტყუნება, კონტროლი, აპარატურის აღდგენა, მოთხოვნის მომსახურების პროცესი და სხვა. თავის მხრივ, მოთხოვნის მომსახურების პროცესი შეიცავს მოთხოვნის მომსახურების წესებს. მომსახურება მტყუნებების შემთხვევაში, წარმატებით შესრულებული ამოცანის ნაწილისათვის, შეიძლება იყოს გამაუფასურებელი და არაგამაუფასურებელი. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მრავალგანზომილებიანი რთული შემთხვევითი პროცესის შესწავლა. ამიტომ ასეთი რთული შემთხვევითი პროცესის უშუალოდ აგება პრაქტიკულად განუხორციელებელია.

აღნიშნული ამოცანები ანალიზურად შეიძლება გადაწყდეს, თუ უწყვეტი დროის და უწყვეტი მდგომარეობის მქონე საწყისი პროცესებიდან გამოიყოფა ნახევრადმარკოვული პროცესები დისკრეტული მდგომარეობებით დროის დისკრეტულ მომენტებში. ეს მიდგომა საშუალებას იძლევა რთული სისტემები დაიყოს ცალკეულ ფაზებად, რომლებიც შეიძლება აღიწეროს ავტონომიურად. შემთხვევითი პროცესი, რომელიც ახასიათებს გარკვეულ ფაზას, ვითარდება იმ პროცესებისაგან დამოუკიდებლად, რომლებიც ახასიათებს სხვა ფაზას. იგი იცვლის თავის მდგომარეობას რომელიმე სხვა შემთხვევითი პროცესისაგან მიღებული სიგნალის შემდეგ. ამგვარად, ფაზებს შორის ურთიერთკავშირი ვლინდება დროის დისკრეტულ მომენტებში. [73,103,104,105].

ასეთი ურთიერთკავშირის აღწერისათვის ნაშრომში შემოტანილი გვაქვს 2 წრფივი პროცესი, რომლებიც ერთმანეთშია ჩალაგებული. I ასახავს სისტემის პასიურ მდგომარეობას (ძირითადი ფაზა), როცა სისტემა არაა დაკავებული მოთხოვნის მომსახურებით; II – აქტიურ ფაზას, როცა სისტემა დაკავებულია მოთხოვნის მომსახურებით. ამ პროცესებს (ფაზებს) შორის კავშირი მყარდება სისტემის ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლისას. ამასთან მომსახურების შემთხვევითი პროცესი უნდა

განვიხილოთ, როგორც რთული შემთხვევითი პროცესი, რომელიც შეიცავს ცალკეული მოთხოვნის მომსახურების შემთხვევით პროცესებს. იმისათვის, რომ ერთმანეთთან დავაკავშიროთ ცალკეული მოთხოვნის მომსახურების პროცესი დაკავებულ მდგომარეობაში, შეირჩევა ცალკეული მოთხოვნის მომსახურების დაწყების და წარმატებით დამთავრების მომენტები, და მოიცემა მს-ის შესაძლო მდგომარეობები ამ მომენტებში. აღნიშნული მიზნით შემოტანილია $P_i^{(k)}(t,u)$ – ალბათობა იმისა, რომ t მომენტში სისტემაში იმყოფება k მოთხოვნა, ერთ-ერთი მათგანი მომსახურდება $\xi(t)$ $(u < \xi(t) < u + du)$ დროის განმავლობაში და მისი მომსახურება დაიწყო i-ურ მდგომარეობაში მყოფმა მომსახურე სისტემამ.

$H_{ij}(u)$ – არის ალბათობა იმისა, რომ მოთხოვნის მომსახურება დამთავრდება u-ზე ნაკლებ დროში და მომსახურების დამთავრების მომენტში სისტემა იქნება j-ურ მდგომარეობაში იმ პირობით, რომ მომსახურების დაწყებისას სისტემა იყო i-ურ მდგომარეობაში, სადაც i,j – მომსახურების ქმედითუნარიანი მდგომარეობებია.

ასეთი პროცესების შემოტანა საშუალებას იძლევა განვიხილოთ ცალკეული მოთხოვნის მომსახურების პროცესი ერთმანეთთან დამოუკიდებლად და აგრეთვე სისტემაში თავისუფალ მდგომარეობაში მიმდინარე პროცესებისაგან დამოუკიდებლად.

აღსანიშნავია, რომ ფუნქცია $H_{ij}(u)$ სრულად მოიცავს მომსახურების პროცესის ყველა მახასიათებელს. ესენია:

1. მტყუნებების სახეები (მდგრადი, თვითაღდგენადი, დაგროვებადი ან ყველა ერთად) მს-ის როგორც თავისუფალ მდგომარეობაში, ასევე მომსახურების პროცესში; მტყუნებების სტატისტიკური მახასიათებლები;
2. მს-ის კონტროლის სახეები (უწტვეტი, პერიოდული, კომბინირებული და სხვა).
3. აღდგენის განაწილების დრო;

4. ყოველი ხელსაწყოს ადგილი (თუ ხელსაწყოების რაოდენობა 1-ზე მეტია) მს-ის სტრუქტურაში (ხელსაწყოების შორის სამუშაოს განაწილება);

5. მოთხოვნის მომსახურების შეწყვეტის შემდეგ მისი ბოლომდე მომსახურების დისციპლინა (მომსახურება თავიდან, შეწყვეტილი ადგილიდან ან წინასწარ დადგენილი წერტილიდან გაგრძელება და ა.შ.)

ცხადია, რომ მომსახურების პროცესისათვის ზოგიერთი საწყისი პარამეტრი შეიძლება განსხვავდებოდეს თავისუფალი მდგომარეობის პარამეტრისაგან.

$H_{ij}(u)$ -ს განსაზღვრაზე, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლის გათვალისწინებით, 1 ქმედითუნარიანი მდგომარეობის მქონე მომსახურების სისტემებისათვის i,j=1 მიძღვნილია სხვადასხვა ავტორების მრავალი შრომა [4÷19,24,32,68,71,74,75,81,106,107].

$H_{ij}(u)$ -განსაზღვრაზე სხვა შემთხვევებისათვის, როცა i,j>1 მიძღვნილია მხოლოდ ი.მიქაძის და მისი ასპირანტების ნაშრომები. [20,28÷31, 36,39,41,43÷47].

1.5. რთული მმს-ის ანალიზის განზოგადებული მეთოდი

ამ პარაგრაფში მოცემულია შემთხვევითი პროცესების განზოგადებული სქემა (კონსტრუქცია), რომლის საშუალებითაც შესაძლებელია აღიწეროს მმს-ების საკმაოდ ფართო კლასი (მონაცემთა გადაცემის ქსელები, კომპიუტერული სისტემები და ა.შ.) და გადაწყდეს საიმედოობის რიგი საკითხები. ასეთი სქემის შემუშავების აუცილებლობა დაკავშირებულია მართვის და კონტროლის ავტომატიზირებული სისტემების გართულებასთან, როცა ცნობილი მეთოდებით არ ხერხდება

პრაქტიკულად საინტერესო ამოცანების გადაწყვეტა. აქედან გამომდინარე, საჭირო ხდება ანალიზური აპარატის განვითარება, რომლითაც შესაძლებელი იქნება ორიგინალთან მაქსიმალურად მიახლოებული მოდელების შექმნა სხვადასხვა მოქმედი ფაქტორების გათვალისწინებით.

რთული მმს-ის ანალიზური მოდელირების ზოგად ტენდენციას წარმოადგენს ისეთი შემთხვევითი პროცესის მოძებნა, რომელიც აღწერს მომსახურების პროცესს და შესაძლებელია მისი შესწავლა მარკოვული პროცესის გამოყენებით. ამ მიზნით პრაქტიკაში უპირატესად გამოიყენება 2 მეთოდი: პირველი არის კენდალის მეთოდი – ჩალაგებული მარკოვული ჯაჭვის მეთოდი, მეორე არის კოქს-ბელიაევის მეთოდი – წრფივი მარკოვული პროცესების მეთოდი. უკანასკნელი წარმოადგენს კოქსის მიერ შემოტანილი დამატებითი ცვლადის მეთოდის განვითარებას.

განვიხილოთ კენდალის მეთოდი.

ჩალაგებული მარკოვული ჯაჭვის მეთოდის არსი მდგომარეობს შემდეგში: აღვნიშნოთ $v(t)$ რომელიღაც შემთხვევითი პროცესი, რომლის რეალიზაციის მიხედვით შესაძლებელია თვალყური ვადევნოთ სისტემაში მიმდინარე ცვლილებებს: განაცხადის შემოსვლის მომენტებს, მათი მომსახურების დამთავრების მომენტებს და ა.შ. ამ პროცესში შეირჩევა დროის ისეთი მომენტები $\{t_n\}$ $(t_n < t_{n+1})$, რომლებშიც პროცესის მნიშვნელობები $\{v(t_n)\}$ ქმნიან დისკრეტულ მარკოვულ ჯაჭვს; შემდგომ დისკრეტული მარკოვული ჯაჭვისათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი მეთოდებით მოიძებნება შემთხვევითი სიდიდეების $v(t_n)$ განაწილება; ბოლოს ამ განაწილების მიხედვით შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნები საწყისი პროცესის თვისებებზე.

ამრიგად, მარკოვის ჩალაგებული ჯაჭვი არის პროცესის მნიშვნელობათა მიმდევრობა სპეციალურად შერჩეულ დროის მომენტებში – t_n. უნდა აღინიშნოს ის, რომ t_n მომენტები, როგორც წესი, შემთხვევითია და დამოკიდებულია თვით სისტემის ყოფაქცევაზე. მარკოვის ჩალაგებული ჯაჭვი შეიძლება განისაზღვროს მაშინაც კი, როდესაც t_n მომენტები არ

შეიძლება აღიწეროს დისკრეტული მარკოვული ჯაჭვით. [108].

განვიხილოთ კოქს-ბელიაევის მეთოდი.

ვთქვათ, მოცემულია სისტემა, რომელშიც შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს სხვადასხვა ტიპის ოპერაციებს იმის გათვალისწინებით, რომ დროის ნებისმიერ მომენტში შეიძლება წარმოებდეს მხოლოდ ერთი ოპერაცია. სისტემის მდგომარეობა აღიწერება $\xi(t)$ შემთხვევითი პროცესით. $\xi(t)$ შემთხვევით პროცესს ეწოდება წრფივი მარკოვული პროცესი , თუ მისი მდგომარეობების სიმრავლე შედგება 2 ქვესიმრავლისაგან X_o და X_1, რომლებიც არის სასრული და თვლადი. ამასთან თუ $\xi(t) \in X_o$, მაშინ t მომენტში ოპერაცია არ სრულდება. X_1 სიმრავლე კი შედგება შემდეგი სახის ელემენტებისაგან ℓ, j, r, სადაც ℓ არის ინდექსი იმ ოპერაციისა, რომელიც დროის მოცემულ მომენტში სრულდება; j - რომელიღაც დამატებითი დისკრეტული პარამეტრი; r - დრო, გასული ოპერაციის დაწყებიდან.

თუ ℓ ტიპის ოპერაციის ხანგრძლივობის დროის განაწილების ფუნქციას აღვნიშნავთ $F_\ell(x)$-ით, მაშინ ალბათობა იმისა, რომ ოპერაცია დამთავრდება (t,t+dt) დროის ინტერვალში ტოლია $(F_\ell(r+dt) - F_\ell(r)) / \overline{F}_\ell(r)$, ხოლო ალბათობა იმისა, რომ დროის ინტერვალში (t,t+dt) მოხდება გადასვლა დამოკიდებულია, მხოლოდ იმაზე თუ რა მდგომარეობაში იმყოფება პროცესი დროის აღებულ მომენტში. გარდა იმ გადასვლებისა, რომლებიც დაკავშირებულია ოპერაციის შესრულების დამთავრებასთან, შესაძლებელია სპონტანური გადასვლები მუდმივი ინტენსივობით, რომლებიც აღიწერება ისეთივე წესით, როგორც ჩვეულებრივ მარკოვულ ჯაჭვებში. [69,91].

ჩალაგებული მარკოვული პროცესი დამატებითი ცვლადით

ქვემოთ მოცემულია მარკოვული პროცესების განზოგადებული კლასი, რომელიც აღიწერება მარკოვის ჩალაგებული ჯაჭვის მეთოდისა და დამატებითი ცვლადის მეთოდის გაერთიანებით. შემდეგში ამ კლასს

ვუწოდოთ ჩალაგებული მარკოვული პროცესი დამატებითი ცვლადით. ეს სამუშაო წარმოადგენს ზემოთ აღნიშნული მეთოდების განზოგადებულ სამუშაოს. [51].

დავახასიათოთ აღნიშნული კლასი. ვთქვათ, გვაქვს სისტემა, რომელშიც შეიძლება ადგილი ჰქონდეს სხვადასხვა ტიპის ოპერაციებს (დროის ნებისმიერ მომენტში მხოლოდ ერთს); სისტემის მდგომარეობა აღიწერება შემთხვევითი პროცესით $\xi(t)$, რომლის მდგომარეობათა X სიმრავლე შედგება სამი სასრული და თვლადი ქვესიმრავლისაგან: X_o, X_1, X_2 თუ $\xi(t) \in X_o$, მაშინ პროცესის მდგომარეობა აღიწერება დამოუკიდებელი მთელ რიცხვთა პარამეტრებით $\bar{J}(J_1, J_1, \ldots J_n) \in X_o$; თუ $\xi(t) \in X_1$ ან $\xi(t) \in X_2$, მაშინ სისტემაში დროის t მომენტში სრულდება ოპერაციები.

X_1 და X_2 სიმრავლეები შედგება ელემენტთა შემდეგი ერთობლიობისაგან: $(\ell, j, k, u) \in X_1$ და $(m, \nu, u) \in X_2$, სადაც ℓ და m ოპერაციათა ტიპის ინდექსებია, რომლებიც დაიწყო (t-u; t-u+du) დროის მომენტში; u არის ოპერაციის დაწყებიდან გასული დრო; j რომელიღაც დისკრეტული პარამეტრია, რომელიც ახასიათებს $\xi(t)$ შემთხვევით პროცესს ℓ ტიპის ოპერაციის დაწყების მომენტში. j-ს შემდგომში ვუწოდოთ ℓ ტიპის ოპერაციის ნიშნული; $k \in X_1$ და $\nu \in X_1$, რომელიღაც დისკრეტული პარამეტრებია, რომლებითაც ხასიათდება შემთხვევითი პროცესი დროის t მომენტში; შემდგომში მათ ვუწოდებთ $\xi(t)$ შემთხვევითი პროცესის ნიშნულებს და აღვნიშნავთ შპნ-ℓ, შპნ-m (შპნ - შემთხვევითი პროცესის ნიშნული); ოპერაციის დაწყების მომენტში ისინი აღნიშნულია შემდეგნაირად: $\tilde{k} \in X_1$ და $\tilde{\nu} \in X_1$.

აღსანიშნავია, რომ ℓ ტიპის ოპერაცია, m ტიპის ოპერაციისაგან განსხვავებით, შესრულების პროცესში შეიძლება მრავალჯერ შეწყდეს და ყოველი შეწყვეტის მომენტიდან გაგრძელდეს სხვა ტიპის ოპერაციით (მაგალითად m) იმავე ოპერაციაზე დაბრუნებით ან არდაბრუნებით, ხოლო

m ტიპის ოპერაცია ასეთი სახის შეწყვეტას არ განიცდის (დაწყებული m ტიპის ოპერაცია აუცილებლად უნდა დამთავრდეს).

$\xi(t)$ შემთხვევითი პროცესის უფრო სრულყოფილად აღწერის მიზნით შემოტანილია კიდევ ერთი დისკრეტული პარამეტრი η, რომელიც მთელ რიცხვა დამოკიდებულებაშია j და $\widetilde{k}$ სიდიდეებთან $(\eta = \eta(j, \widetilde{k}))$. შემდგომში ℓ ტიპის ოპერაციის საწყისს მდგომარეობას ვუწოდებთ ელემენტთა შემდეგ კრებულს $(\ell, j, \eta) \in X_1$.

აღვნიშნოთ $H_{\ell j\eta}^{(u)} = P\{x < u / \{\xi(t - x) = (\ell, j, \widetilde{k}, 0) \in X_1\}\}$ - ალბათობა იმისა, რომ $\ell \in X_1$ ტიპის ოპერაცია, რომელიც დაიწყო t-x დროის მომენტში მდგომარეობით $\xi(t) = (\ell, j, \widetilde{k}, 0)$ და η დატვირთვის მაჩვენებლით შესრულდება x (x<u) დროში (t,t+dt) დროის ინტერვალში;

$H_{\ell j\eta}^{(i)}(u)$ - პირობითი ალბათობა იმისა, რომ საწყისი მდგომარეობით $(\ell, j, \eta) \in X_1$ ოპერაციის დამთავრების მომენტში პროცესი აღმოჩნდება $i(i \in X_o)$ ან $i \in X_1)$ მდგომარეობაში $(h_{\ell j\eta}(u) = H'_{\ell j\eta}(u); \quad h_{\ell j\eta}^{(i)}(u) = (H_{\ell j\eta}^{(i)}(u))')$;

$G_m(u)$ - ალბათობა იმისა, რომ $m \in X_2$ ტიპის ოპერაცია, რომელიც დაიწყო t-x დროის მომენტში დამთავრდება x(x<u) დროში (t,t+dt) დროის ინტერვალში $(g_m(u) = G'_m(u))$;

$r_{\ell j\eta}(u) = h_{\ell j\eta}(u) / \overline{H}_{\ell j\eta}(u); \qquad r_{\ell j\eta}^{(i)}(u) = h_{\ell j\eta}^{(I)}(u) / \overline{H}_{\ell j\eta}(u); \qquad \mu_m(u) = g_m(u) / G_m(u);$

$$(\overline{H}_{\ell j\eta}(u) = 1 - H_{\ell j\eta}; \quad \overline{G}_m = 1 - G_m(u)).$$

მოვიყვანოთ ზემოთ კონსტრუირებული მარკოვული პროცესის განსაზღვრა. სიმარტივის მიზნით დავუშვათ, რომ X_o სიმრავლეში დისკრეტულ კომპონენტთა რაოდენობა არ აღემატება 2-ს.

განსაზღვრება. $\xi(t)$ შემთხვევით პროცესს, რომლის მდგომარეობათა სიმრავლე X შედგება სამი ქვესიმრავლისაგან: $(i, k) \in X_o$, $(\ell, j, k, u) \in X_1$ და $(m, \nu, u) \in X_2$ ეწოდება ჩალაგებული მარკოვული პროცესი დამატებითი ცვლადით, თუ გადასვლათა ალბათობები მისი ნებისმიერი მდგომარეობიდან: $\xi(t) \in X_o$ ან $\xi(t) \in X_1$ ან $\xi(t) \in X_2$ მდგომარეობებში,

რომლებიც მიეკუთვნება ამავე სიმრავლეებს (t,t+dt) დროის ინტერვალში დამოკიდებულია არა მარტო იმაზე, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება პროცესი დროის t მომენტში, არამედ იმაზეც, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა ის ოპერაციის დაწების მომენტში. ეს პროცესი აღიწერება შემდეგნაირად: თუ დროის t მომენტში $\xi(t)=(\ell,j,\nu,u)\in X_1$, მაშინ Δt დროში $r_{\ell j\eta}^{(i)}(u)P_{\ell\nu\eta}^{(k)}\Delta t+0(\Delta t)$ ალბათობით პროცესი გადადის $(i,k)\in X_o$ მდგომარეობაში ან $r_{\ell j\eta}^{(i)}(u)h_{\ell\nu\eta}^{(\ell',\widetilde{k})}\Delta t+0(\Delta t)$ ალბათობით $(\ell',i,\widetilde{k},u)\in X_1$ მდგომარეობაში. (აქ ℓ' ოპერაციათა ისეთი კლასია, როგორიცაა ℓ). თუ $\xi(t)=(m,\nu,u)\in X_2$, მაშინ Δt დროში ალბათობით $\mu_m^{(u)}P_{m\nu}^{(k,i)}\Delta t+0(\Delta t)$ პროცესი გადავა $(i,k)\in X_o$ მდგომარეობაში ან ალბათობით $\mu_m^{(u)}P_{m\nu}^{(\ell,j,\widetilde{k})}\Delta t+0(\Delta t)$ გადავა $(\ell,j,\widetilde{k},u)\in X_1$ მდგომარეობაში.

ასევე შესაძლებელია სპონტანური გადასვლები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ოპერაციის დამთავრებასთან. მაგალითად, $(c,d)\in X_o$ მდგომარეობიდან $(c,k)\in X_o$ მდგომარეობაში ალბათობით $\lambda_d(k)\Delta t+0(\Delta t)$, ხოლო $(i,d)\in X_o$ მდგომარეობაში ალბათობით $\alpha_c(i)\Delta t+0(\Delta t)$, $(\ell,c,\widetilde{c},0)$ მდგომარეობაში ალბათობით $\lambda(\ell,\widetilde{k})\Delta t+0(\Delta t)$ და ა.შ.

მოვიყვანოთ $\xi(t)$ პროცესის აღმწერი თანაფარდობები. ამ მიზნით ჩამოვაყალიბოთ თეორემა დამტკიცების გარეშე.

თეორემა. თუ $\xi(t)$ შემთხვევითი პროცესის დისკრეტული მდგომარეობათა სიმრავლე სასრულია, $H_{\ell j\eta}^{(i)}(u)$ და $G_m(u)$ აბსოლუტურად უწყვეტი ფუნქციებია, მაშინ როცა $\xi(t)$-ს საწყისი მდგომარეობების განაწილების ალბათობები უწყვეტია, არსებობს უწყვეტი ფუნქციები:

$$R_c^{(d)}(t)=P\{\xi(t)=(c,d)\},\quad (c,d)\in X_o;$$

$$P_{\ell j\eta}^{(k)}(t,u)=\frac{d}{du}\left\{\xi(t)=\left\{(\ell,j,k,y),y<u\right\}/\,\xi(t-u)=\left\{\ell,j,\widetilde{k},0\right\}\right\},$$
$$\left\{\ell,j,k,u\right\}\in X_1;\quad u>0;$$

$$P_{mj}^{(\nu)}(t,u)=\frac{d}{du}\left\{\xi(t)=\left\{(m,\nu,y),y<u\right\}/\,\xi(t-y)=\left\{m,j,0\right\}\right\},$$
$$\left\{m,\nu,u\right\}\in X_2;\quad u>0;$$

რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ განტოლებებს:

$$\frac{dR_i^{(k)}}{dt}+(\alpha_i+\lambda_k)R_i^{(k)}(t)=\sum_{\substack{c\in x_o\\ c\neq k}}R_i^{(c)}(t)\lambda_c(k)+\sum_{\substack{c\in x_o\\ c\neq k}}R_c^{(k)}(t)\alpha_c(i)+$$

$$+\sum_{j\in x_1}\int_o^t P_{\ell j\eta}^{(\nu)}(t,u)r_{\ell j\eta}^{(i)}(u)P_{\ell j\eta}^{(k)}du+\sum_{j\in x_2}\int_o^t P_{mj}^{(\nu)}(t,u)\mu_m(u)P_{m\nu}^{(i,k)}du;$$

$$\frac{\partial P_{\ell j\eta}^{(k)}(t,u)}{\partial t}+\frac{\partial P_{\ell j\eta}^{(k)}(t,u)}{\partial u}+\left[r_{\ell j\eta}^{(u)}+\lambda_{\ell k}\right]P_{\ell j\eta}^{(k)}(t,u)=\sum_{\substack{c\in x_1\\ c\neq k}}P_{\ell j\eta}^{(c)}(t,u)\lambda_{\ell c}(k);$$

$$\frac{\partial P_{mj}^{(\nu)}(t,u)}{\partial t}+\frac{\partial P_{mj}^{(\nu)}(t,u)}{\partial u}+\left[\mu_m(u)+\lambda_{m\nu}\right]P_{mj}^{(\nu)}(t,u)=\sum_{\substack{c\in x_2\\ c\neq k}}P_{mj}^{(c)}(t,u)\lambda_{mc}(\nu);$$

სასაზღვრო პირობებს აქვს სახე:

$$P_{\ell j\eta}^{(\tilde{k})}(t,0)=\sum_{d\in x_o}R_j^{(d)}(t)\lambda_d(\ell,\tilde{k})+\sum_{j\in x_1}\int_o^t P_{\ell j\eta}^{(\nu)}(t,u)r_{\ell j\eta}^{(i)}(u)P_{\ell j\eta}^{(\ell,\tilde{k})}du+$$

$$+\sum_{j\in x_2}\int_o^t P_{mj}^{(\nu)}(t,u)\mu_m(u)P_{m\nu}^{(\ell,j,\tilde{k})}du;$$

$$P_{mj}^{(\tilde{\nu})}(t,0)=\sum_{i\in x_o}R_i^{(k)}(t)\alpha_i(m)P_m^{(k,\tilde{\nu})},\quad \tilde{\nu}=j$$

საწყის პირობებს აქვს სახე:

$$R_i^{(k)}(k)\big|_{t=0}=R_i^{(k)}(0),\quad P_{\ell j\eta}^{(k)}(t,u)\big|_{t=0}=P_{\ell j\eta}^{(k)}(0,u);$$

$$P_{m\nu}^{(k)}(t,u)\big|_{t=0}=P_{m\nu}^{(k)}(0,u)$$

ამ თანაფარდობათა დამტკიცება მოყვანილია ლიტერატურაში, ამიტომ აქ არ მოგვყავს. [51].

მოცემულ სამუშაოში მოდელების საიმედოობის ანალიზისას ვისარგებლებთ ნახევრადმარკოვული პროცესების თეორიით. შემდეგში იმ შემთხვევაში, როცა ადგილი ექნება ერთი ტიპის ოპერაციას (მაგ. აღდგენის ოპერაციას), გამოვიყენებთ თეორიას - ჩალაგებული მარკოვის პროცესები დამატებითი ცვლადით.

თავი 2. შედეგები და მათი განსჯა

2.1 უწყვეტად და პერიოდულად კონტროლირებადი მომსახურების გამოთვლითი სისტემის მათემატიკური მოდელი და ანალიზი

მოცემულ ქვეთავში მიღებულია 3 ტიპის მოდულისაგან (მოწყობილობისაგან) შედგენილი სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლები. თითოეულ მოდულს გააჩნია სხვადასხვა სახის კონტროლი და საიმედოობა. სისტემა განიხილება, როგორც მმს.

I ტიპის მოდულებში (მოწყობილობებში)მტყუნებები და შეფერხებები აღმოჩნდება მყისიერად უწყვეტი კონტროლის საშუალებით (I ტიპის მტყუნებები).

II ტიპის მოდულებში არ არსებობს კონტროლის აპარატურა. მტყუნებები და შეფერხებები აღმოჩნდება მხოლოდ ტესტური კონტროლის საშუალებით, რომელიც ტარდება პერიოდულად დროის შემთხვევით მომენტებში (II სახის მტყუნებები).

III ტიპის მოდულებს შეუძლიათ შეინარჩუნონ ქმედითუნარიანობა გარკვეული რაოდენობის მტყუნებების დაგროვებამდე (III ტიპის მტყუნებები). ამ მოდულებში მაკორექტირებელი კოდი გამოიყენება შეცდომების აღმოჩენის და გასწორებისათვის. ასეთი მოდულების (მოწყობილობების) მაგალითს წარმოადგენს ინფორმაციის გადაცემის და შენახვის მოწყობილობა (ოდმ), რომელიც კონტროლირდება ხემინგის კოდის საშუალებით. ეს კოდი აღმოაჩენს 2 შეცდომას და ასწორებს ერთ შეცდომას და ა.შ.

სამივე სახის მტყუნებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს 1 მოდულშიც (მოწყობილობაშიც).

კერძო შემთხვევებში შეიძლება გვქონდეს ტექნიკური სისტემების კერძო მოდულები, რომლებშიც მტყუნებები და შეფერხებები აღმოჩნდება;

მხოლოდ პერიოდული კონტროლით; მხოლოდ უწყვეტი აპარატურული კონტროლით; მხოლოდ მაკორექტირებელი კოდით ან ნებისმიერი მათი შეთანხმებით. [110].

ეს მოდელი ლიტერატურაში ცნობილი მოდელებისაგან განსხვავდება იმით, რომ მოთხოვნის მიღებისას სისტემა თავისუფალი მდგომარეობიდან მომსახურების მდგომარეობაში გადადის ქმედითუნარიანობაზე წინასწარი შემოწმების გარეშე. ამიტომ მომსახურება მოთხოვნის მირებისას შეიძლება დაიწყოს როგორც ქმედითუნარიანმა, ასევე არაქმედითუნარიანმა მომსახურების სისტემამ. ამ შემთხვევაში გაუმართაობა შეიძლება აღმოჩენილ იქნას მოთხოვნის მომსახურების პროცესში. შემდეგში ზემოთ აღნიშნულ მოდელს მოვიხსენიებთ, როგორც მომსახურების გამოთვლითი სისტემის განზოგადებულ მოდელს (მსგმ), ხოლო მომსახურების გამოთვლითი სისტემის მაგიერ მოკლედ აღვნიშნავთ მს. [31,46,71,111].

დავუშვათ, გვაქვს მმს შეუზღუდავი რიგის სიგრძით და შეუზღუდავი ლოდინის დროით; მოთხოვნის ნაკადი სისტემაში შემოდის λ ინტენსივობით; ყოველი მოთხოვნა ტოვებს სისტემას სრული მომსახურების შემდეგ.

ქმედითუნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში სისტემა გადაეცემა აღდგენაზე, რის შედეგადაც მთლიანად აღდგება მისი პირვანდელი საიმედოობა; შემდეგი მოთხოვნის მომსახურება დაიწყება მაშინ , თუ მს იმყოფება ერთ-ერთ ქმედითუნარიან მდგომარეობაში; სისტემას ემსახურება 1 სარემონტო ბრიგადა; მს-ში კონტროლირების პროცესში შეიძლება წარმოიშვას ისეთივე სახის მტყუნებები, როგორიც თავისუფალ მდგომარეობაში. მს-ში აღდგენის პროცესში მტყუნებები არ წარმოიშობა; თავისუფალი მდგომარეობიდან მუშა მდგომარეობაში გადასვლისას არ ტარდება მს-ის დამატებითი კონტროლი პერიოდული (ტესტური) კონტროლით. უწყვეტი კონტროლი კი მიმდინარეობს.

განხილული სისტემის ფუნქციონირების პროცესი წარმოადგენს თავისუფალი და აქტიური მდგომარეობების მონაცვლეობებს. სისტემა

იმყოფება აქტიურ მდგომარეობაში–ეს ნიშნავს, რომ მასში არის მოთხოვნა და მიმდინარეობს მისი მომსახურება; სხვა შემთხვევებში სისტემა იმყოფება პასიურ მდგომარეობაში.

სისტემის ფუნქციონირების პროცესის აღწერისათვის შემოვიტანოთ შემთხვევითი პროცესი $\nu(t)$;

$\nu(t)=0$, თუ t მომენტში მს ქმედითუნარიანია;

$\nu(t)=1$ - მს არაქმედითუნარიანია აღმოუჩენადი (II სახის) მტყუნებების გამო;

$\nu(t)=2$ - ქმედითუნარიანია და მიმდინარეობს პერიოდული კონტროლი;

$\nu(t)=3$ - არაქმედითუნარიანია მტყუნებების (I ან II სახის) გამო და მიმდინარეობს პერიოდული კონტროლი;

$\nu(t)=4$ - არაქმედითუნარიანია და აღდგენის პროცესია;

$\nu(t)=5$ - მს დაკავებულია მოთხოვნის მომსახურებით, ამასთან მომსახურება დაიწყო გამართულმა სისტემამ;

$\nu(t)=6$ -მს დაკავებულია მოთხოვნის მომსახურებით. ამასთან მომსახურება დაიწყო გაუმართავმა სისტემამ.

0÷4 ასახავს სისტემის თავისუფალ მდგომარეობას, ხოლო 5÷6 ასახავს სისტემის აქტიურ მდგომარეობას. ასევე შემოვიტანოთ შემთხვევითი პროცესები– $n(t)$, $\eta(t)$ და $\varepsilon(t)$;

$n(t)$ - სისტემაში t მომენტში მოთხოვნათა რაოდენობა;

$\eta(t)$ - t მომენტში დაგროვილი მტყუნებების რაოდენობა;

$\varepsilon(t)$ - დროის ინტერვალი სისტემის უკანასკნელი 0 მომენტიდან t მომენტამდე. 0–მომენტი აქტიურ მდგომარეობაში არის მორიგი მოთხოვნის მომსახურების დაწყების მომენტი, ხოლო პასიურ მდგომარეობაში–დროის მომენტი, როდესაც $\nu(t)$ იცვლის მნიშვნელობას.

აღვნიშნოთ, α_i და α_i^0 -დაგროვებადი მტყუნებების ინტენსივობები (α_i და α_i^0 დამოკიდებულია i-ს მდგომარეობაზე) შესაბამისად თავისუფალ მდგომარეობაში და პერიოდული კონტროლის მდგომარეობაში (III სახის

მტყუნებები). $i=\overline{0,m-1}$ არის მს-ის ქმედითუნარიანი მდგომარეობები (მს-ის m მდგომარეობაში გადასვლისას იგი გადაეცემა აღსადგენად).

β - ინტენსივობა მტყუნებებისა (II **სახის მტყუნებები**), რომლებიც აღმოჩნდება მხოლოდ პერიოდული კონტროლით თავისუფალ მდგომარეობაში და აღდგენის პროცესში.

γ - ინტენსივობა მტყუნებებისა (I **სახის მტყუნებები**, რომლებიც აღმოჩნდება მყისიერად უწყვეტი აპარატურული კონტროლით თავისუფალ მდგომარეობაში;

ν - მტყუნებების ინტენსივობა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდული კონტროლისას და რომლებიც აღმოჩნდება პერიოდული კონტროლის ბოლოს.

მტყუნებებს შორის დრო გაწილებულია მაჩვენებლიანი კანონით..

$G(u)$–აღდგენის დროის ნებისმიერი კანონით განაწილების ფუნქცია(გფ); $\mu(u)$ - ინტენსივობა; $(\overline{G}(u)=1-G(u);\quad \mu(u)=G'(u)/[1-G(u)]);$

$\Gamma(u)$-პერიოდული კონტროლის დროის ნებისმიერი კანონით გფ; $b(u)$ - ინტენსივობა; $(\overline{\Gamma}(u)=1-\Gamma(u);\quad b(u)=\Gamma'(u)/[1-\Gamma(u)]);$

$F(u)$ – კონტროლის პერიოდულობის დროის ნებისმიერი კანონით გფ; $c(u)$ - ინტენსივობა; $(\overline{F}(u)=1-F(u);\quad c(u)=F'(u)/[1-F(u)]).$

$H_{ij}(u)=\int_{o}^{u} h_{ij}(v)dv$ - ალბათობა იმისა, რომ მოთხოვნის მომსახურება დამთავრდება u-ზე ნაკლებ დროში და მომსახურების დამთავრების მომენტში ის იქნება ქმედითუნარიან j მდგომარეობაში იმ პირობით, რომ მომსახურება დაიწყო გამართულობა სისტემამ და დაგროვილი მტყუნებების რაოდენობა იყოს i $(i,j=\overline{0,m-1})$:

$h_{ij}(v)dv$ - ალბათობა იმისა, რომ მოთხოვნის მომსახურება დამთავრდება $(v,v+dv)$ დროის ინტერვალში და მომსახურების დამთავრების მომენტში ის იქნება ქმედითუნარიან j მდგომარეობაში იმ პირობით, რომ მომსახურება დაიწყო გამართულობა სისტემამ და

დაგროვილი მტყუნებების რაოდენობა იყოს $i\,(i, j=\overline{0, m-1})$:

$$r_{ij}(u)=(H_{ij}(u))'/\overline{H}_i(u);\ H_i(u)=\sum_{j=0}^{m-1}H_{ij}(u);\ r_i(u)=(H_i(u))'/\overline{H}_i(u);\ r_i(u)=\sum_{j=0}^{m-1}r_{ij}(u)$$

$H_{ij}^*(u)=\int\limits_o^u h_{ij}^*(v)dv$ - ალბათობა იმისა, რომ მოთხოვნის მომსახურება დამთავრდება u-ზე ნაკლებ დროში და მომსახურების დამთავრების მომენტში სისტემა იქნება ქმედითუნარიან j მდგომარეობაში იმ პირობით, რომ მომსახურება დაიწყო არაქმედითუნარიანმა სისტემამ და დაგროვილი მტყუნებების რაოდენობა იყოს-i $(i, j=\overline{0, m-1})$;

$$r_{ij}^*(u)=(H_{ij}^*(u))'/\overline{H}_i^*(u);\ H_i^*(u)=\sum_{j=0}^{m-1}H_{ij}^*(u);\ r_i^*(u)=(H_i^*(u))'/\overline{H}_i^*(u);\ r_i^*(u)=\sum_{j=0}^{m-1}r_{ij}^*(u)$$

აღსანიშნავია, რომ $H_{ij}(u)$ და $H_{ij}^*(u)$ სრულიად მოიცავს მომსახურების პროცესის ყველა მახასიათებელს, მაგ. მტყუნებების სახეებს, მს-ის კონტროლის სახეებს, აღდგენის განაწილების დროს, მომსახურების სისტემაში ყოველი ხელსაწყოს გამოყენების რეჟიმებს და ა.შ.

ცხადია, რომ მომსახურების პროცესისათვის ზოგიერთი საწყისი პარამეტრი შეიძლება განსხვავდებოდეს თავისუფალი მდგომარეობისაგან.

2.1.1. რიგის სიგრძის მაწარმოებელი ფუნქციის განსაზღვრა

სისტემის ფუნქციონირების პროცესი შეიძლება აღიწეროს შემდეგი ალბათობებით:

1) $\tau_i(t,u)du=P[\nu(t)=0,\ n(t)=0,\quad \eta(t)=i,\quad u<\varepsilon(t)<u+du]$;

2) $\tau_i^*(t,u)du=P[\nu(t)=1,\quad n(t)=0,\quad \eta(t)=i,\quad u<\varepsilon(t)<u+du]$;

3) $q_i^{(k)}(t,u)du=P[\nu(t)=2,\quad n(t)=k,\quad \eta(t)=i,\quad u<\varepsilon(t)<u+du]$;

4) $q_i^{*(k)}(t,u)du=P[\nu(t)=3,\quad n(t)=k,\quad \eta(t)=i,\quad u<\varepsilon(t)<u+du]$;

5) $r_i^{(k)}(t,u)du=P[\nu(t)=4,\quad n(t)=k,\quad u<\varepsilon(t)<u+du]$;

6) $P_i^{(k)}(t,u)du = P[\nu(t)=5, \quad n(t)=k, \quad \eta(t-u)=i, \quad u<\varepsilon(t)<u+du]$;

7) $P_i^{*(k)}(t,u)du = P[\nu(t)=6, n(t)=k, (n(t-u)=1), \eta(t-u)=i, \quad u<\varepsilon(t)<u+du]$.

გავშიფროთ სისტემის ფუნქციონირების პროცესის აღმწერი ალბათობები და შევადგინოთ დიფერენციალური განტოლებები:

1) $\boldsymbol{\tau_i(t,u)du = P(\nu(t)=0, \quad n(t)=0, \quad \eta(t)=i, \quad u<\varepsilon(t)<u+du]}$

ალბათობა $\tau_i(t,u)du$ ნიშნავს, რომ სისტემა t მომენტში შემდეგ მდგომარეობაშია; ქმედითუნარიანია u დროში; t-u მომენტში დამთავრდა პერიოდული კონტროლი ან რემონტი და დაიწყო მუშაობა.

მოთხოვნათა რაოდენობა სისტემაში t მომენტისათვის არის 0; დაგროვილი მტყუნებების რაოდენობა t მომენტისათვის არის i.

დავაფიქსიროთ დროის t მომენტი და მოვნახოთ ალბათობა $\tau_i(t+h,u+h)du$ იმისა, რომ დროის t+h მომენტში სისტემა იქნება იგივე მდგომარეობაში. ეს შეიძლება განხორციელდეს 2 ხერხით:

I) h დროის განმავლობაში არ მოხდება α_i, β, γ მტყუნებები, არ შემოვა მოთხოვნა (λ) და არ დადგება პერიოდული კონტროლის დრო c(u)):

$$\tau_i(t,u)du \cdot [1-(\alpha_i+\beta+\gamma+\lambda+c(u))h].$$

II) h დროის განმავლობაში მოხდება α_{i-1} მტყუნება. ამასთან არ მოხდება β, γ მტყუნებები, არ შემოვა მოთხოვნა და არ დადგება პერიოდული კონტროლის დრო (c(u)):

$$\tau_{i-1}(t,u)\alpha_{i-1} \cdot h[1-(\beta+\gamma+\lambda+c(u))h].$$

გვაქვს

$$\begin{aligned}\tau_i(t+h,u+h) &= \tau_i(t,u)\cdot[1-(\alpha_i+\beta+\gamma+\lambda+c(u))h]+\\ &+\tau_{i-1}(t,u)\alpha_{i-1}\cdot h[1-(\beta+\gamma+\lambda+c(u))h](1-\delta_{io})\end{aligned}$$

ეს ფორმულა სწორი რომ ყოფილიყო i-ს ყველა მნიშვნელობისათვის. (როცა i=0, მაშინ არ იქნებოდა სწორი), ამიტომ მე-2 შესაკრები გავამრავლოთ $(1-\delta_{io})$-ზე (როცა i=0, მაშინ $(1-\delta_{io})=0$ და არ გვექნება მე-2 შესაკრები),

სადაც δ_{ij} არის კრონეკერის სიმბოლო: $\delta_{ij} = \begin{cases}1, \text{თუ } i=j \\ 0, \text{თუ } i \neq j\end{cases}$

$$\tau_i(t+h,u+h) = \tau_i(t,u)\cdot[1-(\alpha_i+\beta+\gamma+\lambda+c(u))h]+$$

$$+\tau_{i-1}(t,u)\alpha_{i-1}\cdot h[1-(\beta+\gamma+\lambda+c(u))h](1-\delta_{io})$$

მიღებული გავყოთ h-ზე და გადავიდეთ ზღვარზე:

$$\lim_{h\to o}\frac{\tau_i(t+h,u+h)-\tau_i(t,u)}{h}=\lim_{h\to o}[(\alpha_i+\beta+\gamma+\lambda+c(u))\tau_i(t,u)+$$
$$+(1-\delta_{io})\alpha_{i-1}\tau_{i-1}(t,u)+\frac{0(h)}{h}]$$

გარდავქმნათ მარცხენა მხარე და მიღებული შედეგი გავუტოლოთ მარჯვენა მხარეს:

$$\lim_{h\to o}\frac{\tau_i(t+h,u+h)-\tau_i(t,u)+\tau_i(t,u+h)-\tau_i(t,u+h)}{h}=$$
$$=\lim_{h\to o}\frac{\tau_i(t+h,u+h)-\tau_i(t,u+h)}{h}+\lim_{h\to o}\frac{\tau_i(t,u+h)-\tau_i(t,u)}{h}=$$
$$=\frac{\partial\tau_i(t,u)}{\partial t}+\frac{\partial\tau_i(t,u)}{\partial u}$$

$$\partial\tau_i(t,u)/\partial t+\partial\tau_i(t,u)/\partial u=-(\alpha_i+\beta+\gamma+\lambda+c(u))\tau_i(t,u)++(1-\delta_{io})\alpha_{i-1}\tau_{i-1}(t,u)$$

2) $\boldsymbol{\tau_i^*(t,u)du=P(\nu(t)=1,\quad n(t)=0,\quad \eta(t)=i,\quad u<\varepsilon(t)<u+du];}$

ალბათობა $\tau_i^*(t,u)du$ ნიშნავს, რომ სისტემა t მომენტში შემდეგ მდგომარეობაშია: არაქმედითუნარიანია u დროის განმავლობაში β აღმოუჩენადი მტყუნების (II სახე) გამო.

მოთხოვნათა რაოდენობა სისტემაში t მომენტისათვის არის 0; დაგროვილი მტყუნებების რაოდენობა t მომენტისათვის არის i.

დავაფიქსიროთ დროის t მომენტი და მოვნახოთ ალბათობა $\tau_{i_i}^*(t+h,u+h)du$ იმისა, რომ დროის t+h მომენტში სისტემა იქნება იგივე მდგომარეობაში. ეს შეიძლება განხორციელდეს 3 ხერხით:

I) h დროის განმავლობაში არ მოხდება α_i,γ მტყუნებები, არ შემოვა მოთხოვნა (λ) და არ დადგება პერიოდული კონტროლის დრო c(u)):

$$\tau_i^*(t,u)du\cdot[1-(\alpha_i+\beta+\gamma+\lambda+c(u))h].$$

II) h დროის განმავლობაში მოხდება α_{i-1} მტყუნება. ამასთან არ მოხდება γ მტყუნება, არ შემოვა მოთხოვნა (λ) და არ დადგება პერიოდული კონტროლის დრო (c(u)):

$$\tau_{i-1}^*(t,u)\alpha_{1-1}\cdot h[1-(\gamma+\lambda+c(u))h].$$

III) თუ სისტემა ქმედითუნარიანი იყო t მომენტში და h დროის შემდეგ მოხდება β მტყუნება: $\tau_i(t,u)\beta h$

გვაქვს:

$$\tau_1^*(t+h,u+h)=\tau_1^*(t,u)\cdot[1-(\alpha_i+\gamma+\lambda+c(u))h]+$$
$$+\tau_{i-1}^*(t,u)\alpha_{i-1}\cdot h[1-(\gamma+\lambda+c(u))h](1-\delta_{io})+\tau_1(t,u)\beta h.$$

ზემოთ გამოთვლილის ანალოგიურად გვექნება:

$$\partial\tau_i^*(t,u)/\partial t+\partial\tau_i^*(t,u)/\partial u=-(\alpha_i+\gamma+\lambda+c(u))\tau_i^*(t,u)+(1-\delta_{io})\alpha_{i-1}\tau_{i-1}^*+\beta\tau_i(t,u)$$

3) $\mathbf{q_i^{(k)}(t,u)du=P(\nu(t)=2,\quad n(t)=k,\quad \eta(t)=i,\quad u<\varepsilon(t)<u+du];}$

ალბათობა $q_i^{(k)}(t,u)du$ ნიშნავს, რომ სისტემა t მომენტში არის შემდეგ მდგომარეობაში: არაქმედითუნარიანია u დროში და ამ დროში მიმდინარეობს პერიოდული კონტროლი; სისტემაში მოთხოვნათა რაოდენობა არის k; დაგროვილი მტყუნებების რაოდენობა t მომენტისათვის არის i.

დავაფიქსიროთ დროის t მომენტი და მოვნახოთ ალბათობა $q_i(t+h,u+h)du$ იმისა, რომ დროის t+h მომენტში სისტემა იქნება იგივე მდგომარეობაში. ეს შეიძლება განხორციელდეს 3 ხერხით:

I) h დროის განმავლობაში არ მოხდება α_i,ν მტყუნებები, არ შემოვა მოთხოვნა (λ) და არ დამთავრდება პერიოდული კონტროლის დრო b(u)):

$$q_i^{(k)}(t,u)[1-(\alpha_i^o+\nu+\gamma+b(u))h].$$

II) h დროის განმავლობაში მოხდება α_{i-1}^o მტყუნება. ამასთან არ მოხდება ν მტყუნება, არ შემოვა მოთხოვნა (λ) და არ დადგება პერიოდული კონტროლი (b(u)) :

$$\alpha_{i-1}^o q_{i-1}^{(k)}h[1-(\nu+\lambda+b(u))h].$$

III) თუ სისტემა იმყოფება იგივე მდგომარეობაში მხოლოდ მოთხოვნათა რაოდენობა k-1. h დროის განმავლობაში შემოვა 1 მოთხოვნა (λ): $\lambda q_i^{(k-1)}(t,u)h$.

გვაქვს:

$$q_i^{(k)}(t+h,u+h)=q_i^{(k)}(t,u)-q_i^{(k)}(t,u)(\alpha_i^o+\nu+\lambda+b(u))h]+$$
$$+(1-\delta_{io})\alpha_{i-1}^o q_{i-1}^{(k)}h+(1-\delta_{io})\lambda q_i^{(k-1)}(t,u)h+0(h).$$

ზემოთ გამოთვლილის ანალოგიურად გვექნება:

$$\frac{\partial q_i(t,u)}{\partial t}+\frac{\partial q_i(t,u)}{\partial u}=-(\alpha_i^o+\nu+\lambda+b(u))\partial q_i(t,u)+(1-\delta_{io})\alpha_{i-1}^o q_{i-1}^{(k)}+$$
$$+(1-\delta_{ko})\lambda q_i^{(k-1)}(t,u)$$

$$\mathbf{4)}\quad \mathbf{q_i^{*(k)}(t,u)du=P(\nu(t)=3,\quad n(t)=k,\quad \eta(t)=i,\quad u<\varepsilon(t)<u+du];}$$

ალბათობა $q_i^{*(k)}(t,u)du$ ნიშნავს, რომ სისტემა t მომენტში არის შემდეგ მდგომარეობაში: არაქმედითუნარიანია u დროში ν მტყუნების გამო და ამ დროში მიმდინარეობს პერიოდული კონტროლი; სისტემაში მოთხოვნათა რაოდენობა არის k; დაგროვილი მტყუნებების რაოდენობა t მომენტისათვის არის i.

დავაფიქსიროთ დროის t მომენტი და მოვნახოთ ალბათობა $q_{i_i}^{*(k)}(t+h,u+h)du$ იმისა, რომ დროის t+h მომენტში სისტემა იქნება იგივე მდგომარეობაში. ეს შეიძლება განხორციელდეს 4 ხერხით:

I) h დროის განმავლობაში არ მოხდება α_i^o მტყუნება, არ შემოვა მოთხოვნა (λ) და არ დამთავრდება პერიოდული კონტროლის დრო b(u)):

$$q_i^{*(k)}(t,u)[1-(\alpha_i^o+\gamma+b(u))h].$$

II) h დროის განმავლობაში მოხდება α_{i-1}^o მტყუნება. ამასთან არ შემოვა მოთხოვნა (λ) და არ დამთავრდება პერიოდული კონტროლი (b(u)):

$$\alpha_{i-1}^o q_{i-1}^{*(k)}h[1-(\lambda+b(u))h].$$

III) თუ სისტემა იმყოფება იგივე მდგომარეობაში, მხოლოდ მოთხოვნათა რაოდენობაა k-1. h დროის განმავლობაში შემოვა 1 მოთხოვნა (λ).

IV) თუ სისტემა ქმედითუნარიანი იყო t მომენტში და h დროის შემდეგ მოხდება ν მტყუნება: $\nu q_i^{(k)}(t,u)h$

გვაქვს:

$$q_i^{*(k)}(t+h,u+h)=q_i^{*(k)}(t,u)-q_i^{*(k)}(t,u)(\alpha_i^o+\lambda+b(u))h+(1-\delta_{io})\alpha_{i-1}^o q_{i-1}^{*(k)}\cdot h+$$

$$+(1-\delta_{ko})\lambda q_i^{*(k-1)}(t,u)h+q_i^{(k)}(t,u)+\frac{0(h)}{h}]$$

ზემოთ გამოთვლილის ანალოგიურად გვექნება:

$$\frac{\partial q_i(t,u)}{\partial t}+\frac{\partial q_i(t,u)}{\partial u}=-(\alpha_i^o+\lambda+b(u))\partial q_i^{*(k)}(t,u)+(1-\delta_{io})\alpha_{i-1}^o q_{i-1}^{*(k)}+$$
$$+(1-\delta_{ko})\lambda q_i^{*(k-1)}(t,u)+q_i^{(k)}(t,u)\nu.$$

5) $\mathbf{r_i^{(k)}(t,u)du = P(\nu(t)=4,\quad n(t)=k,\quad u<\varepsilon(t)<u+du]}$;

ალბათობა $r_i^{(k)}(t,u)$ ნიშნავს, რომ სისტემა t მომენტში არის შემდეგ მდგომარეობაში: არაქმედითუნარიანია და მიმდინარეობს აღდგენა u დროის განმავლობაში; სისტემაში მოთხოვნათა რაოდენობა არის k; დაგროვილი მტყუნებების რაოდენობა t მომენტისათვის არის i.

დავაფიქსიროთ დროის t მომენტი და მოვნახოთ ალბათობა $r_i^{(k)}(t+h,u+h)$ იმისა, რომ დროის t+h მომენტში სისტემა იქნება იგივე მდგომარეობაში. ეს შეიძლება განხორციელდეს 2 გზით:

I) h დროის განმავლობაში არ შემოვა მოთხოვნა (λ) და არ დამთავრდება აღდგენა $(\mu(u))$:

$$r_i^{(k)}(t,u)[1-(\gamma+\mu(u))h].$$

II) სისტემის მდგომარეობა წინასწარ განსხვავდება იმით, რომ მოთხოვნათა რაოდენობაა k-1; h დროის განმავლობაში შემოვა 1 მოთხოვნა (λ): $\lambda r_i^{(k-1)}(t,u)h$

გვაქვს:

$$r_i^{(k)}(t+h,u+h)=r_i^{(k)}(t,u)\cdot[1-(\lambda+\mu(u))h]+(1-\delta_{ko})\lambda r_i^{(k-1)}(t,u)h.$$

ზემოთ გამოთვლილის ანალოგიურად გვექნება:

$$\frac{\partial r_i^{(k)}(t,u)}{\partial t}+\frac{\partial r_i^{(k)}(t,u)}{\partial u}=(\lambda+\mu(u))r_i^{(k)}(t,u)+(1-\delta_{ko})\lambda r_i^{(k-1)}(t,u)$$

6) $\mathbf{P_i^{(k)}(t,u)du = P(\nu(t)=5,\quad n(t)=k,\quad u<\varepsilon(t)<u+du]}$;

ალბათობა $P_i^{(k)}(t,u)$ ნიშნავს, რომ სისტემაში t მომენტში არის k მოთხოვნა. ერთ-ერთი მათგანი მიღებულია t-u მომენტში და მომსახურდება

$\varepsilon(t)$ დროის ინტერვალში ($u < \varepsilon(t) < u + du$), ამასთან მისი მომსახურება დაიწყო ქმედითუნარიანმა სისტემამ და დაგროვილი მტყუნებების რაოდენობაა $i(i = \overline{0, m-1}$.

დავაფიქსიროთ დროის t მომენტი და მოვნახოთ ალბათობა $P_i^{(k)}(t+h, u+h)$ იმისა, რომ დროის t+h მომენტში სისტემა იქნება იგივე მდგომარეობაში. ეს შეიძლება განხორციელდეს 2 გზით:

I) h დროის განმავლობაში არ შემოვა მოთხოვნა (λ) და არ დამთავრდება ერთ-ერთი მოთხოვნის მომსახურება:

$$P_i^{(k)}(t, u)[1 - (\gamma + r_i(u))h].$$

II) სისტემის მდგომარეობა წინასწარ განსხვავდება იმით, რომ მოთხოვნათა რაოდენობაა k-1; h დროის განმავლობაში შემოვა 1 მოთხოვნა (λ): $\lambda P_i^{(k-1)}(t, u)h$.

გვაქვს:

$$P_i^{(k)}(t+h, u+h) = P_i^{(k)}(t, u) \cdot [1 - (\lambda + r_i(u))h] + (1 - \delta_{ko})\lambda P_i^{(k-1)}(t, u)h.$$

ზემოთ გამოთვლილის ანალოგიურად გვექნება:

$$\frac{\partial P_i\ (t, u)}{\partial t} + \frac{\partial P_i\ (t, u)}{\partial u} = -(\lambda + r_i(u))P_i^{(k)}(t, u) + (1 - \delta_{ko})\lambda P_i^{(k-1)}(t, u)$$

7) $\mathbf{P_i^{*(k)}(t, u)du = P[\nu(t) = 6, n(t) = k, (n(t-u) = 1), \eta(t-u) = i, \quad u < \varepsilon(t) < u + du]}$.

ალბათობა $P_i^{*(k)}(t, u)$ ნიშნავს, რომ სისტემაში t მომენტში არის k მოთხოვნა. ერთ-ერთი მათგანი t-u მომენტში და მომსახურდება $\varepsilon(t)$ დროის ინტერვალში ($u < \varepsilon(t) < u + du$), ამასთან მისი მომსახურება დაიწყო ქმედითუნარიანმა სისტემამ და დაგროვილი მტყუნებების რაოდენობაა $i(i = \overline{0, m-1}$.

ალბათობა $P_i^{*(k)}(t+u, u+h)$ მოიძებნება ისე, როგორც ალბათობა $P_i^{(k)}(t+u, u+h)$.

ამრიგად, ჩვეულებრივ ალბათურ მსჯელობებზე დატრდნობით სისტემის მდგომარეობის ცვლილებებზე (t, t+h) ინტერვალში, სრული ალბათობის ფორმულიდან გამომდინარე, მივიღეთ შემდეგი

დიფერენციალური განტოლებები:

$$\partial\tau_i(t,u)/\partial t + \partial\tau_i(t,u)/\partial u = -[\alpha_i + \beta + \gamma + \lambda + c(u)]\tau_i(t,u) +$$
$$+ (1-\delta_{io})\alpha_{i-1}\tau_{i-1}(t,u); \qquad (2.1.1)$$

$$\partial\tau_i^*(t,u)/\partial t + \partial\tau_i^*(t,u)/\partial u = -[\alpha_i + \gamma + \lambda + c(u)]\tau_i^*(t,u) +$$
$$+ (1-\delta_{io})\alpha_{i-1}\tau_{i-1}^*(t,u) + \beta\tau_i(t,u); \qquad (2.1.2)$$

$$\partial q_i^{(k)}(t,u)/\partial t + \partial q_i^{(k)}(t,u)/\partial u = -[\lambda + \nu + \alpha_i^o + b(u)]q_i^{(k)}(t,u)$$
$$+ (1-\delta_{ko})\lambda \times q_i^{(k-1)}(t,u) + (1-\delta_{io})\alpha_{i-1}^o q_{i-1}^{(k)}(t,u), \quad k = 0,1,2,...; \qquad (2.1.3)$$

$$\partial q_i^{*(k)}(t,u)/\partial t + \partial q_i^{*(k)}(t,u)/\partial u = -[\lambda + \alpha_i^o + b(u)]q_i^{*(k)}(t,u) + q_i^{(k)}(t,u)\nu +$$
$$+ (1-\delta_{ko})\lambda q_i^{*(k-1)}(t,u) + (1-\delta_{io})\alpha_{i-1}^o q_{i-1}^{*(k)}(t,u), \quad k = 0,1,2,...; \qquad (2.1.4)$$

$$\partial r^{(k)}(t,u)/\partial t + \partial r^{(k)}(t,u)/\partial u = -[\lambda + \mu(u)]r^{(k)}(t,u) +$$
$$+ (1-\delta_{ko})\lambda\ r^{(k-1)}(t,u), k = 0,1,2,...; \qquad (2.1.5)$$

$$\partial P_i^{(k)}(t,u)/\partial t + \partial P_i^{(k)}(t,u)/\partial u = -[\lambda + r_i(u)]P_i^{(k)}(t,u) +$$
$$+ (1-\delta_{k1})\lambda P_i^{(k-1)}(t,u), k = 1,2,3,...(i = \overline{0,m-1}) \qquad (2.1.6)$$

$$\partial P_i^{*(k)}(t,u)/\partial t + \partial P_i^{*(k)}(t,u)/\partial u = -[\lambda + r_i^*(u)]P_i^{*(k)}(t,u) +$$
$$+ (1-\delta_{k-1})\lambda P_i^{*(k-1)}(t,u), \qquad (2.1.7)$$
$$(i = \overline{0,m-1}), k = 1,2,3,...;$$

სადაც δ_{ij} არის კრონეკერის სიმბოლო: $\delta_{ij} = \begin{cases} 1, \text{თუ } i = j \\ 0, \text{თუ } i \neq j \end{cases}$

სასაზღვრო პირობებს აქვს შემდეგი სახე:

$$\tau_i(t,0) = \sum_{\nu=0}^{m-1}\int_0^t P_\nu^{(1)}(t,u)r_{\nu i}(u)du + \delta_{io}\int_0^t r^{(o)}(t,u)\mu(u)du + \int_o^t q_i^{(o)}(t,u)b(u)du +$$
$$+ \sum_{\nu=0}^{m-1}\int_o^t P_\nu^{*(1)}(t,u)r_{\nu i}^*(u)du + \delta_{io}\delta(t), \quad i = \overline{0,m-1}; \qquad (2.1.8)$$

$$\tau^*(t,0) = 0; \quad i = \overline{0,m-1}; \qquad (2.1.9)$$

$$q_i^k(t,0) = \delta_{ko}\int_o^t \tau_i(t,u)c(u)du, \quad i = \overline{0,m-1}; \qquad (2.1.10)$$

$$q_i^{*(k)}(t,0) = \delta_{ko}\int_o^t \tau_i^*(t,u)c(u)du, \quad i = \overline{0,m-1}; \qquad (2.1.11)$$

$$r^{(k)}(t,0) = \delta_{ko}\int_o^t [\tau_{m-1}(t,u) + \tau_{m-1}^*(t,u)]\alpha_{m-1}du + \delta_{ko}\gamma\sum_{i=0}^{m-1}\int_o^t [\tau_i(t,u) +$$

$$+\tau_i^*(t,u)]du+\alpha_{m-1}^{o}\int_o^t[q_{m-1}^{*(k)}(t,u)+q_{m-1}^{*(k)}(t,u)]du+\sum_{i=0}^{m-1}\int_o^t q_i^{*(k)}(t,u)b(u)du; \qquad (2.1.12)$$

$$P_i^{(k)}(t,0)=\sum_{\nu=0}^{m-1}\int_o^t P_\nu^{(k+1)}(t,u)r_{\nu i}(u)du+\delta_{io}\int_o^t r^{(k)}(t,u)\mu(u)du+$$

$$+\sum_{\nu=0}^{m-1}\int_o^t P_\nu^{*(k+1)}(t,u)r_{\nu i}^*(u)du+\delta_{k1}\lambda\int_o^t \tau_i(t,u)du,\ \ i=\overline{0,m-1};\quad k=1,2,3... \qquad (2.1.13)$$

$$P_i^{*(1)}(t,0)=\lambda\int_o^t \tau_i^*(t,u)du=\lambda\tau_i^*(t);\quad P_i^{*(k)}(t,0)=0,\quad k>1;\quad i=\overline{0,m-1} \qquad (2.1.14)$$

ავხსნათ სასაზღვრო პირობები:

1) $$\tau_i(t,0)=\sum_{\nu=0}^{m-1}\int_0^t P_\nu^{(1)}(t,u)r_{\nu i}(u)du+\delta_{io}\int_0^t r^{(o)}(t,u)\mu(u)du+\int_o^t q_i^{(o)}(t,u)b(u)du+$$

$$+\quad\sum_{\nu=0}^{m-1}\int_o^t P_\nu^{*(1)}(t,u)r_{\nu i}^*(u)du+\delta_{io}\delta(t),\quad i=\overline{0,m-1};$$

სადაც δ_i არის კრონეკერის სიმბოლო; $\delta(t)$ არის იმპულსური ფუნქცია.

იმისათვის, რომ სისტემა $t+\Delta t$ მომენტში იმყოფებოდეს $\tau_i(t,0)$ მდგომარეობაში $h<\Delta t$ დროის განმავლობაში, აუცილებელია შემდეგი პირობებიდან შესრულდეს ერთ-ერთი:

I) სისტემა t მომენტში უნდა იმყოფებოდეს $P_\nu^{(1)}(t,u)$ მდგომარეობაში (ქმედითუნარიანია, მიმდინარეობს მოთხოვნის დამუშავება, სისტემაში 1 მოთხოვნაა) და Δt დროში უნდა დამთავრდეს 1 მოთხოვნის დამუშავება $(r_{\nu i}(u)du)$.

II) სისტემა t მომენტში უნდა იმყოფებოდეს $r^{(o)}(t,u)$ მდგომარეობაში (რემონტშია, 0 მოთხოვნაა) და Δt დროში უნდა დამთავრდეს რემონტი $(\mu(u)du)$.

III) სისტემა t მომენტში უნდა იმყოფებოდეს $q_i^{(o)}(t,u)$ მდგომარეობაში (ქმედითუნარიანია და მიმდინარეობს პერიოდული კონტროლი, 0 მოთხოვნაა) და უნდა დამთავრდეს პერიოდული კონტროლი $(b(u)du)$.

IV) სისტემა t მომენტში უნდა იმყოფებოდეს $P_\nu^{*(1)}(t,u)$ მდგომარეობაში (არაქმედითუნარიანია, მიმდინარეობს მოთხოვნის

დამუშავება, სისტემაში 1 მოთხოვნაა) და Δt დროში უნდა დამთავრდეს 1 მოთხოვნის დამუშავება $(r_{vi}^{*}(u)du)$.

2) $\tau^{*}(t,0)=0; \quad i=\overline{0,m-1};$

ალბათობა იმისა, რომ სისტემაში t მომენტში მოხდება მტყუნება და მაშინვე დაიწყება პერიოდული კონტროლი, 0-ის ტოლია.

3) $q_i^k(t,0)=\delta_{ko}\int_o^t \tau_i(t,u)c(u)du, \quad i=\overline{0,m-1};$

იმისათვის, რომ სისტემა $t+\Delta t$ მომენტში იმყოფებოდეს $q_i^k(t,0)$ მდგომარეობაში $h<\Delta t$ დროის განმავლობაში, აუცილებელია შესრულდეს შემდეგი პირობა:

სისტემა t მომენტში უნდა იმყოფებოდეს $\tau_i(t,u)$ მდგომარეობაში (ქმედითუნარიანია) და Δt დროში უნდა დაიწყოს პერიოდული კონტროლი $(c(u)du)$.

4) $q_i^{*(k)}(t,0)=\delta_{ko}\int_o^t \tau_i^{*}(t,u)c(u)du, \quad i=\overline{0,m-1};$

იმისათვის, რომ სისტემა $t+\Delta t$ მომენტში იმყოფებოდეს $q_i^{*k}(t,0)$ მდგომარეობაში $h<\Delta t$ დროის განმავლობაში, აუცილებელია შესრულდეს შემდეგი პირობა:

სისტემა t მომენტში უნდა იმყოფებოდეს $\tau_i^{*}(t,u)$ მდგომარეობაში (არაქმედითუნარიანია აღმოუჩენადი მტყუნებების გამო) და Δt დროში უნდა დაიწყოს პერიოდული კონტროლი $(c(u)du)$.

5) $$r^{(k)}(t,0)=\delta_{ko}\int_o^t[\tau_{m-1}(t,u)+\tau_{m-1}^{*}(t,u)]\alpha_{m-1}du+\delta_{ko}\gamma\sum_{i=0}^{m-1}\int_o^t[\tau_i(t,u)+$$
$$+\tau_i^{*}(t,u)]du+\alpha_{m-1}^{o}\int_o^t[q_{m-1}^{*(k)}(t,u)+q_{m-1}^{*(k)}(t,u)]du+\sum_{i=0}^{m-1}\int_o^t q_i^{*(k)}(t,u)b(u)du;$$

იმისათვის, რომ სისტემა $t+\Delta t$ მომენტში იმყოფებოდეს $r^{(k)}(t,0)$ მდგომარეობაში (რემონტში) $h<\Delta t$ დროის განმავლობაში, აუცილებელია შემდეგი პირობებიდან შესრულდეს ერთ-ერთი:

I) სისტემა t მომენტში უნდა იმყოფებოდეს ან $\tau_{m-1}(t,u)$

მდგომარეობაში (ქმედითუნარიანია და აქვს $m-1$ რაოდენობის მე-3 სახის მტყუნება) ან $\tau^*_{m-1}(t,u)$ მდგომარეობაში (არაქმედითუნარიანია და აქვს $m-1$ რაოდენობის მე-3 სახის მტყუნება) და Δt დროში უნდა მოხდეს 1 მე-3 სახის მტყუნება (αdu).

II) სისტემა t მომენტში უნდა იმყოფებოდეს ან $\tau_i(t,u)$ მდგომარეობაში (ქმედითუნარიანია) ან $\tau^*_i(t,u)$ მდგომარეობაში (არაქმედითუნარიანია აღმოუჩენადი მტყუნებების გამო) და Δt დროში უნდა მოხდეს I სახის მტყუნება.

III) სისტემა t მომენტში უნდა იმყოფებოდეს $q^{*(k)}_i(t,u)$ მდგომარეობაში (არაქმედითუნარიანია და მიმდინარეობს პერიოდული კონტროლი) და Δt დროში უნდა მოხდეს მე-3 სახის მტყუნება $(\alpha^o du)$.

IV) სისტემა t მომენტში უნდა იმყოფებოდეს $q^{*(1)}_\nu(t,u)$ მდგომარეობაში (არაქმედითუნარიანია და მიმდინარეობს პერიოდული კონტროლი) და Δt დროში უნდა დამთავრდეს პერიოდული კონტროლი $(b(u)du)$.

6) $$P_i^{(k)}(t,0)=\sum_{\nu=0}^{m-1}\int_o^t P_\nu^{(k+1)}(t,u)r_{\nu i}(u)du+\delta_{io}\int_o^t r^{(k)}(t,u)\mu(u)du+$$

$$+\int_o^t q_i^{(k)}(t,u)b(u)du+\sum_{\nu=0}^{m-1}\int_o^t P_\nu^{*(k+1)}(t,u)r^*_{\nu i}(u)du+\delta_{k1}\lambda\int_o^t \tau_i(t,u)du,$$

$$i=\overline{0,m-1};\quad k=1,2,3...$$

იმისათვის, რომ სისტემა $t+\Delta t$ მომენტში იმყოფებოდეს $P_i^{(k)}(t,0)$ მდგომარეობაში (მიმდინარეობს მოთხოვნის დამუშავება, k მოთხოვნაა) $h<\Delta t$ დროის განმავლობაში, აუცილებელია შემდეგი პირობებიდან შესრულდეს ერთ-ერთი:

I) სისტემა t მომენტში უნდა იმყოფებოდეს $P^{(k+1)}(t,u)$ მდგომარეობაში (ქმედითუნარიანია, მიმდინარეობს მოთხოვნის დამუშავება, $k+1$ მოთხოვნაა) და Δt დროში უნდა დამთავრდეს 1

მოთხოვნის დამუშავება $(r_{vi}(u)du)$.

II) სისტემა t მომენტში უნდა იმყოფებოდეს $r^{(k)}(t,u)$ მდგომარეობაში (რემონტშია, k მოთხოვნაა) და Δt დროში უნდა დამთავრდეს რემონტი $(\mu(u)du)$.

III) სისტემა t მომენტში უნდა იმყოფებოდეს $q_i^{(k)}(t,u)$ მდგომარეობაში (ქმედითუნარიანია და მიმდინარეობს პერიოდული კონტროლი, k მოთხოვნაა) და Δt დროში უნდა დამთავრდეს პერიოდული კონტროლი $(b(u)du)$.

IV) სისტემა t მომენტში უნდა იმყოფებოდეს $P_v^{*(k+1)}(t,u)$ მდგომარეობაში (არაქმედითუნარიანია, მიმდინარეობს მოთხოვნის დამუშავება, $k+1$ მოთხოვნაა) და Δt დროში უნდა დამთავრდეს მოთხოვნის დამუშავება $(r_{vi}^*(u)du)$.

V) სისტემა t მომენტში უნდა იმყოფებოდეს $\tau_i(u)$ მდგომარეობაში (ქმედითუნარიანია) და უნდა შემოვიდეს მოთხოვნა (λdu).

7) $$P_i^{*(1)}(t,0) = \lambda\int_o^t \tau_i^*(t,u)du = \lambda\tau_i^*(t); \quad P_i^{*(k)}(t,0) = 0, \quad k > 1; \quad i = \overline{0, m-1}$$

იმისათვის, რომ სისტემა $t+\Delta t$ მომენტში იმყოფებოდეს $P_i^{*(1)}(t,0)$ მდგომარეობაში $h < \Delta t$ დროის განმავლობაში, აუცილებელია შესრულდეს შემდეგი პირობა:

სისტემა t მომენტში უნდა იმყოფებოდეს $\tau_i^*(t,u)$ მდგომარეობაში (არაქმედითუნარიანია აღმოუჩენადი მტყუნებების გამო) და Δt დროში უნდა შემოვიდეს მოთხოვნა (λdu): $P_i^{*(1)}(t,0) = 0$.

ალბათობა იმისა, რომ სისტემა t მომენტში იქნება არაქმედითუნარიანი და მაშინვე შემოვა მოთხოვნა დასამუშავებლად, 0-ის ტოლია.

(2.1.1÷2.1.7) დიფერენციალური განტოლებების ამონახსნები იქნება:

$$\tau_i(t,u)=\sum_{n=0}^{i}\tau_n(t-u,0)\overline{F}(u)\ell_n^{(i)}(u)e^{-(\beta+\gamma+\lambda)u};$$

$$\tau_i^*(t,u)=\sum_{n=0}^{i}\tau_n(t-u,0)\overline{F}(u)\ell_n^{(i)}(u)e^{-(\lambda+\gamma)u}(1-e^{-\beta u})$$

$$q_i^{(k)}(t,u)=\sum_{n=0}^{i}q_n^{(o)}(t-u,0)\overline{\Gamma}(u)e^{-\nu u}\widetilde{\ell}_n^{(i)}(u)T_o^{(k)}(u);$$

$$q_i^{*(k)}(t,u)=\sum_{n=0}^{i}[q_n^{(0)}(t-u,0)(1-e^{-\nu u})+q_n^{*(0)}(t-u,0)]\widetilde{\ell}_n^{(i)}(u)T_0^{(k)}(u)$$

$$r^{(k)}(t,u)=\sum_{\tau=0}^{k}r^{(\tau)}(t-u,0)\overline{G}(u)T_\tau^{(k)}(u),\quad k=0,1,2...$$

$$P_i^{(k)}(t,u)=\sum_{\tau=1}^{k}P_i^{(\tau)}(t-u,0)\overline{H}_i(u)T_\tau^{(k)}(u),\ k=0,1,2...$$

$$P_i^{*(k)}(t,u)=P_i^{*(1)}(t-u,0)\overline{H}_i^*(u)T_1^{(k)}(u),\quad i=\overline{0,m-1},\quad k=0,1,2...$$

ამ გამოსახულებებში:

$$\ell_n^{(i)}(u)=\int_0^u\alpha_n e^{-\alpha_n v}\ell_{n+1}^{(i)}(u-v)dv;\qquad \widetilde{\ell}_n^{(i)}(u)=\int_0^u\alpha_n^o e^{-\alpha_n^o v}\widetilde{\ell}_{n+1}^{(i)}(u-v)dv;$$

$$T_\tau^{(k)}(u)=\int_0^u\lambda_\tau e^{-\lambda_\tau v}T_{\tau+1}^{(k)}(u-v)dv\,.$$

მაწარმოებელი ფუნქციის შემოტანითა და ლაპლასის გარდაქმნის გამოყენებით მივიღებთ:

$$q_i(x,t,u)=\overline{\Gamma}(u)e^{-[\nu-(1-x)\lambda]u}\sum_{n=0}^{i}W_n^{(q)}(t-u,0)\widetilde{\ell}_n^{(i)}(u);$$

$$\overline{W}_n^{(q)}(s,0)=W_n^{(q)}(t,0)=q_n^{(o)}(t,0);\tag{2.1.15}$$

$$q_i^*(x,t,u)=\overline{\Gamma}(u)e^{-(1-x)\lambda u}\left\{\sum_{n=0}^{i}\widetilde{\ell}_n^{(i)}(u)[1-e^{-\nu u})W_n^q(t-u,0)+\widetilde{\widetilde{W}}_n^q(t-u,0)\right\};$$

$$\overline{\widetilde{\widetilde{W}}}{}_n^{*q}(s,0)\doteq\widetilde{\widetilde{W}}_n^{*q}(t,0)=q_n^{*(o)}(t,0);$$

$$r(x,t,u)=\overline{G}(u)W^r(x,t-u)e^{-(1-x)\lambda u};\qquad W^r(x,t)=\sum_{\tau=0}^{\infty}x^\tau r^{(\tau)}(t,0);$$

$$P_i(x,t,u) = \overline{H}_i(u)e^{-(1-x)\lambda u}W_i^p(x,t-u); \qquad W_i^p(x,t) = \sum_{k=1}^{\infty} x^k P_i^{(k)}(t,0);$$

$$P_i^*(x,t,u) = xP_i^{*(1)}(t-u,0)\overline{H}_i^*(u)e^{-(1-x)\lambda u}; \qquad \overline{W}_i^q(s,0) = \sum_{k=0}^{i}\overline{\tau}_k(s,0)\overline{\varepsilon}_k^{(i)}(y+\beta);$$

$$\overline{\widetilde{W}}{}_i^q(s,0) = \sum_{k=0}^{i}\overline{\tau}_k(s,0)\overline{\varepsilon}_k^{(i)}(y); \qquad \overline{\overline{\widetilde{\widetilde{W}}}}{}_i^{*q}(s,0) = \overline{\widetilde{W}}{}_i^q(s,0) - \overline{W}_i^q(s,0);$$

$$\overline{W}^r(x,s) = \sum_{n=0}^{m-1}\widetilde{a}_n(s,x)\overline{\tau}_n(s,0); \qquad \overline{P}_i^{*(1)}(s,0) = \lambda\sum_{n=0}^{i}\overline{\tau}_n(s,0)[\eta_n^{(i)}(y) - \eta_n^{(i)}(y+\beta)];$$

$$[x - \overline{h}_{ii}(z)]\overline{W}_i^p(x,s) - \sum_{\substack{\nu=0\\ \nu\neq i}}^{m-1}\overline{h}_{\nu i}(z)\overline{W}_\nu^p(x,s) = x\{\delta_{io} - \overline{\tau}_i(s,0) +$$

$$+\delta_{io}\overline{g}(z)\sum_{c=0}^{m-1}\widetilde{a}_c(s,x)\overline{\tau}_c(s,0) + \sum_{c=0}^{i}\widetilde{d}^{(i)}{}_c(s,x)\overline{\tau}_c(s,0) + \lambda\sum_{c=0}^{m-1}M_c^{(i)}(z)\overline{\tau}_c(s,0)\}, \qquad (2.1.16)$$

$i = \overline{0, m-1}.$

სადაც

$y = s + \lambda + \gamma;\ \ z = s + (1-x)\lambda;\ \ |x| \le 1;$

$$\widetilde{d}_c^{(i)}(s,x) = \lambda\overline{\eta}_c^{(i)}(y+\beta) + \sum_{j=c}^{i}\overline{\varepsilon}_c^{(i)}(y+\beta)\overline{\Omega}_j^{(i)}(z+\nu)$$

$$\widetilde{a}_c(s,x) = \alpha_{m-1}\overline{\eta}_c^{(m-1)}(y) + \gamma\sum_{i=c}^{m-1}\overline{\eta}_c^{(i)}(y) + \alpha_{m-1}^{o}\sum_{j=c}^{m-1}\alpha_j^{(m-1)}(z)\overline{\varepsilon}_c^{(j)}(y) +$$

$$+\sum_{i=c}^{m-1}\sum_{j=c}^{i}[\overline{\Omega}_j^{(i)}(z)\overline{\varepsilon}_c^{(j)}(y - \overline{\Omega}_j^{(i)}(z+\nu)\overline{\varepsilon}_c^{(j)}(y+\beta)];$$

$$M_c^{(i)}(z) = \sum_{\ell=c}^{m-1}\overline{h}_{\ell i}^*(z)[\overline{\eta}_c^{(\ell)}(y) - \overline{\eta}_c^{(\ell)}(y+\beta)];$$

ამრიგად, მივიღეთ (2.1.16) განტოლებები $\overline{\tau}_i(s,o)$-ისა და $\overline{W}_i^p(x,s)$-ის განსაზღვრისათვის $(i = \overline{0, m-1})$. აღნიშნული განტოლებების ამოხსნის შედეგად მივიღებთ $\overline{\tau}_i(s,o)$-ს.

$$\sum_{c=o}^{m-1}\widetilde{B}_c(s,z_k)\overline{\tau}_c(s,0) = -A_{oo}(z_k), \quad k = \overline{0, m-1}.; \qquad (2.1.17)$$

სადაც

$$\widetilde{B}_c(s,z_k) = -A_{oo}(z_k) + A_{oo}(z_k)\overline{g}(z_k)\overline{a}_c(s,x_k) + \sum_{i=c}^{m-1} A_{oi}(z_k)\widetilde{d}_c^{(i)}(s,x_k) +$$

$$+\sum_{i=0}^{m-1}\lambda A_{oi}(z_k)M_c^{(i)}(z_k);$$

$$A_{oi}(z_k) = \sum_{i=o}^{m-1} B_i(s,z_k)\overline{\tau}_i(s,0) = -A_{oo}(z_k), \quad k=\overline{0,m-1}.;$$

$$B_i(s,z_k) = [\overline{g}(z_k)\overline{a}_i(s,x_k)A_{oo}(z_k) + (\widetilde{d}_i^{(i)}(s,x_k)-1)A_{oi}(z_k) + \sum_{c=i+1}^{m-1} d_i^{(c)}(s,x_k)A_{oo}(z_k)].$$

(2.1.17) განტოლებათა სისტემის ამოხსნა ჩავწეროთ შემდეგი სახით:

$$\overline{\tau}_i(s,o) = \widetilde{\widetilde{\Delta}}_{mi}(s)/\widetilde{\widetilde{\Delta}}_m(s), \quad i=\overline{0,m-1}.$$

სადაც

$$\widetilde{\widetilde{\Delta}}_{mi}(s) = \begin{vmatrix} \widetilde{B}_o(s,z_o)\ldots - A_{oo}(z_o)\ldots\widetilde{B}_{m-1}(s,z_o) \\ \ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots \\ \widetilde{B}_o(s,z_n)\ldots - A_{oo}(z_n)\ldots\widetilde{B}_{m-1}(s,z_n) \\ \ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots \\ \widetilde{B}_o(s,z_{m-1})\ldots - A_{oo}(z_{m-1})\ldots\widetilde{B}_{m-1}(s,z_{m-1}) \end{vmatrix};$$

$$\widetilde{\widetilde{\Delta}}_m(s) = \begin{vmatrix} \widetilde{B}_o(s,z_o)\ldots\widetilde{B}_{i-1}(s,z_o)\ldots\widetilde{B}_{m-1}(s,z_o) \\ \ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots \\ \widetilde{B}_o(s,z_n)\ldots\widetilde{B}_{i-1}(s,z_n)\ldots\widetilde{B}_{m-1}(s,z_n) \\ \ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots \\ \widetilde{B}_o(s,z_{m-1})\ldots\widetilde{B}_{i-1}(s,z_{m-1})\ldots\widetilde{B}_{m-1}(s,z_{m-1}) \end{vmatrix}$$

ვიცით რა $\overline{\tau}_i(s,o)$, შემდეგი სიდიდეების: $\overline{W}_i^q(s,0)$, $\overline{\widetilde{W}}_i^q(s,0)$, $\overline{\widetilde{\widetilde{W}}}_i^{(q)}(s,0)$, $\overline{W}_i^r(x,s)$, $\overline{W}_i^p(x,s)$ ახალი მნიშვნელობების გათვალისწინებით განვსაზღვრავთ $\overline{\tau}_i(s)$, $\overline{\tau}_i^*(s)$, $\overline{q}_i(x,s)$, $\overline{q}_i^*(x,s)$, $\overline{r}(x,s)$, $\overline{P}_i(x,s)$, $\overline{P}^*{}_i(x,s)$.

$\overline{L}(x,s)$ სისტემაში მოთხოვნათა რაოდენობის განაწილების მაწარმოებელი ფუნქცია ტოლია:

$$\overline{L}(x,s) = \sum_{i=0}^{m-1}[\overline{\tau}_i(s) + \overline{\tau}_i^*(s) + \overline{P}_i(x,s) + \overline{q}_i(x,s) + \overline{q}_i^*(x,s) + \overline{P}_i^*(x,s)] + \overline{r}(x,s)$$

სადაც $\overline{P}_i^*(x,s) = x\overline{P}_i^{*(1)}(s,0)\dfrac{1-\overline{h}_i^*(z)}{z} \doteq \sum_{k=1}^{\infty} x^k P_i^{*(k)}(t,u)$.

მაწარმოებელ ფუნქციას სტაციონალური მდგომარეობის

ალბათობებისათვის აქვს სახე:

$$L(x)=\sum_{i=0}^{m-1}[\tau_i+\tau_i^*+P_i(x)+q_i(x)+q_i^*(x)+P_i^*(x)]+r(x) \quad . \qquad (2.1.18)$$

2.1.2. მოთხოვნის რიგში ლოდინისა და სისტემაში ყოფნის ვირტუალური დროის განსაზღვრა

აღვნიშნოთ $\widetilde{q}_i\,(t,u)du=P[u<\gamma(t)+du, \quad \eta(t+\gamma(t))=i]$. იგი არის შემდეგი 2 ხდომილობის ალბათობა;

ა) t მომენტში მს არ არის ამ მომენტში შემოსული მოთხოვნის მომსახურების მდგომარეობაში (მომსახურდება მოთხოვნა, მს იმყოფება პერიოდული კონტროლის მდგომარეობაში ან არაქმედითუნარიანია).

ბ) $\gamma(t)$ დროის შემდეგ $(u<\gamma(t)<u+du)$ მს იქნება t მომენტში შემოსული მოთხოვნის მომსახურების მდგომარეობაში. ეს არის i მდგომარეობა $(\eta(t+\Delta t))=i \quad i=(\overline{1,m-1})$.

თუ $\gamma(t)=0$ და $\eta(t)=i$, მაშინ მს t მომენტში თავისუფალია და იმყოფება i მდგომარეობაში.

$$\tau_i(t)=\int_o^t\tau_i(t,u)du\,.$$

$\tau_i(t)$ არის ალბათობა იმისა, რომ მომსახურე სისტემა t მომენტში იქნება ქმედითუნარიან i-ურ მდგომარეობაში, ამ მდგომარეობაში ყოფნის დროის გათვალისწინების გარეშე.

$$\tau_i^*(t)=\int_o^t\tau_i^*(t,u)du\,.$$

$\tau_i^*(t)$ არის ალბათობა იმისა, რომ მომსახურე სისტემა t მომენტში იქნება თავისუფალ არაქმედითუნარიან მდგომარეობაში, ამ მდგომარეობაში ყოფნის დროის გათვალისწინების გარეშე.

დანარჩენი სიდიდეებისათვის იგივე რჩება აღნიშვნები და განსაზღვრებები.

ინტეგრალურ-დიფერენციალურ განტოლებას $\widetilde{q}_i(t,u)$-ს მიმართ და დიფერენციალურ განტოლებას $\tau_i(t)$ -ს მიმართ აქვს სახე:

$$\partial\widetilde{q}_i(t,u)/\partial t-\partial\widetilde{q}_i(t,u)/\partial u=-\lambda\widetilde{q}_i(t,u)++\sum_{\nu=o}^{m-1}\lambda\int_o^u\widetilde{q}_\nu(t,u)h_{\nu i}(u-v)dv+$$

$$+\sum_{\nu=o}^{m-1}\delta_{io}\gamma\overline{g}(u)[\tau_\nu(t)+\tau_\nu^*(t)]+\delta_{io}\alpha_{m-1}g(u)[\tau_{m-1}(t)+\tau_m^*(t)]+$$

$$+\sum_{\nu=o}^{m-1}\lambda\tau_\nu(t)h_{\nu i}(u)+\sum_{\nu=o}^{m-1}\lambda\tau_\nu^*(t)h_{\nu i}^*(u);$$

$$\tau_i'(t)=-(\gamma+\alpha_i+\beta+\lambda)\tau_i(t)+(1-\delta_{io})\alpha_{i-1}\tau_{i-1}(t)+\widetilde{q}_i(t,0).$$

ლაპლასის გამოყენებით მივიღებთ:

$$s\overline{\overline{\widetilde{q}}}_i(s,0)-[\omega\overline{\overline{\widetilde{q}}}_i(s,\omega)-\overline{\widetilde{q}}_i(s,0)]=-\lambda\overline{\overline{\widetilde{q}}}_i(s,\omega)+\sum_{\nu=o}^{m-1}\lambda\overline{\overline{\widetilde{q}}}_\nu(s,\omega)\overline{h}_{\nu i}(\omega)+$$

$$+\sum_{\nu=o}^{m-1}\lambda\overline{\tau}_\nu(s)\overline{h}_{\nu i}(\omega)+\sum_{\nu=o}^{m-1}\lambda\overline{\tau}_\nu^*(s)\overline{h}_{\nu i}^*(\omega);$$

$$s\overline{\tau}_i(s)-\delta_{ik}=-\widetilde{\alpha}_i\overline{\tau}_i(s)+(1-\delta_{io})\alpha_{i-1}\overline{\tau}_{i-1}(s)+\overline{\widetilde{q}}_i(s,0).$$

გარდაქმნის შედეგად მივიღებთ:

$$[s-\omega+\lambda(1-\overline{h}_{ii}(\omega))]\overline{\overline{\widetilde{q}}}(s,\omega)-\sum_{\substack{\nu=o\\ \nu\neq i}}^{m-1}\lambda\overline{h}_{\nu i}(\omega)\overline{\overline{\widetilde{q}}}_\nu(s,\omega)=\widetilde{b}_i^o(s,0),\ i=\overline{m-1} \tag{2.1.19}$$

სადაც

$$\widetilde{b}_i^o(s,\omega)=\delta_{ik}-(s+\widetilde{\alpha}_i)\overline{\tau}_i(s)+(1-\delta_{io})\alpha_{i-1}\overline{\tau}_{i-1}(s)+\delta_{io}\alpha_{m-1}\overline{g}(\omega)[\overline{\tau}_{m-1}(s)+$$

$$+\overline{\tau}_{m-1}^*(s)]+\sum_{\nu=o}^{m-1}\{[\delta_{io}\gamma\overline{g}(\omega)+\lambda\overline{h}_{\nu i}(\omega)]\overline{\tau}_\nu(s)+[\delta_{io}\gamma\overline{g}(\omega)+\lambda\overline{h}_{\nu i}^*(\omega)]\overline{\tau}_\nu^*(s)\}$$

(2.1.19) განტოლების ამოხსნას აქვს შემდეგი სახე:

$$\Phi_i(t,u)=P\{t,W_{ლოდ}(t)<u\}=\tau_i(t)+\tau_i^*(t)+\int_o^u\widetilde{q}_i(t,v)dv.$$

$\Phi_i(t,u)$ არის მოთხოვნის მომსახურების დაწყებამდე ლოდინის

განაწილების ფუნქცია, როცა მოთხოვნა შემოდის დროის ნებისმიერ მომენტში იმ პირობით, რომ მომსახურების დაწყებისას მს არის i-ურ მდგომარეობაში.

მისი ლაპლასის ორმაგი გარდაქმნის შედეგად მივიღებთ:

$$\overline{\overline{\Phi}}(s,\omega)=[\overline{\tau}_i(s)+\overline{\tau}_i^*(s)+\overline{\overline{\tilde{q}}}_i(s,\omega)]/\omega, \quad i=\overline{0,m-1}.$$

მოთხოვნის ლოდინის დროის განაწილების ფუნქცია მომსახურების დაწყებამდე - $\overline{\overline{\Phi}}(s,\omega)$ ტოლია:

$$\overline{\overline{\Phi}}(s,\omega)=\sum_{i=0}^{m-1}\overline{\overline{\Phi}}_i(s,\omega).$$

სისტემაში დროის t მომენტში შემოსული მოთხოვნის სისტემაში ყოფნის დროის პირობითი განაწილების ფუნქციას იმ პირობით, რომ მისი მომსახურების დასაწყისსა და დასასრულს მს იმყოფება შესაბამისად i და j მდგომარეობაში, აქვს სახე:

$$\Psi_{ij}(t,u)=\tau_i(t)\int_o^u h_{ij}(v)dv+\tau_i^*(t)\int_o^u h_{ij}^*(v)dv+\int_o^u \overline{q}_i(t,v)H_{ij}(u-v)dv.$$

ან ლაპლასის გარდაქმნის სახით გვექნება:

$$\omega\overline{\overline{\Psi}}_{ij}(s,\omega)=\overline{\tau}_i(s)\overline{h}_{ij}(\omega)+\tau_i^*(s)\overline{h}_{ij}^*(\omega)+\overline{\overline{\tilde{q}}}_i(s,\omega)\overline{h}_{ij}(\omega).$$

სისტემაში დროის t მომენტში შემოსული მოთხოვნის სისტემაში ყოფნის დროის პირობითი განაწილების ფუნქციას იმ პირობით, რომ მისი მომსახურების დაწყების მომენტში მს იმყოფება i-ურ მდგომარეობაში, აქვს სახე:

$$\overline{\overline{\Psi}}_i(s,\omega)=\sum_{j=0}^{m-1}\overline{\overline{\Psi}}_{ij}(s,\omega), \quad i=\overline{0,m-1}.$$

სისტემაში დროის t მომენტში შემოსული მოთხოვნის სისტემაში დროის განაწილების ფუნქციას, როდესაც სისტემაში მომსახურება არაა დამოკიდებული სისტემის მდგომარეობაზე, აქვს სახე:

$$\overline{\overline{\Psi}}(s,\omega)=\sum_{i=0}^{m-1}\overline{\overline{\Psi}}(s,\omega).$$

2.1.3. სტაციონალურ მდგომარეობაში მოთხოვნის რიგში ლოდინისა და სისტემაში ყოფნის ალბათობების განსაზღვრა

სტაციონალურ მდგომარეობაში მოთხოვნის რიგში ლოდინისა და სისტემაში ყოფნის დროის განაწილების ფუნქციას აქვს სახე:

$$s\overline{\Phi}_i(\omega)=\lim_{s\to o}\overline{\overline{\Phi}}_i(s,\omega)=\overline{\tau}_i+\overline{\tau}_i^*+\overline{\overline{\overline{q}}}_i(\omega),\quad \overline{\overline{q}}_i(\omega)=\lim_{s\to o}s\overline{\overline{\overline{q}}}_i(s,\omega)\quad i=\overline{0,m-1},$$

$\overline{\overline{q}}_i(\omega)$ განისაზღვრება შემდეგი განტოლებათა სისტემიდან:

$$[-\omega+\lambda(1-\overline{h}_{ii}(\omega))]\overline{\overline{q}}_i(\omega)-\lambda\sum_{\substack{n=o\\ n\neq i}}^{m-1}\overline{h}_{ni}(\omega)\overline{\overline{q}}_n(\omega)=\widetilde{b}_i(\omega),\ i=\overline{0,m-1},$$

სადაც

$$\widetilde{b}_i(\omega)=\lim_{s\to o}sb_i(s,\omega)=-\widetilde{\alpha}_i\tau_i+(1-\delta_{io})\alpha_{i-1}\tau_{i-1}+\delta_{io}\alpha_{m-1}\overline{g}(\omega)(\tau_{m-1}+\tau_{m-1}^*)+$$
$$+\sum_{n=o}^{m-1}\tau_n\{\delta_{io}\gamma\overline{g}(\omega)+\sum_{j=n}^{m-1}[\lambda\overline{h}_{ji}(\omega)\overline{\Omega}_n^{(j)}(\omega+\nu)+\lambda\overline{g}(\omega)\overline{h}_{oi}(\omega)(\overline{\Omega}_n^{(j)}(\omega)-\overline{\Omega}_n^{(j)}(\omega+\nu))+$$
$$+\overline{h}_{oi}(\omega)\overline{g}(\omega)\lambda\overline{\overline{\Gamma}}_n^{(m)}(\omega)\}+\sum_{n=o}^{m-1}\tau_n^*\{\delta_{io}\gamma\overline{g}(\omega)+\lambda\overline{g}(\omega)\overline{h}_{oi}(\omega)\overline{\overline{\Gamma}}_n^{(m)}(\omega)+$$
$$+\lambda\overline{g}(\omega)\overline{h}_{oi}(\omega)\sum_{j=n}^{m-1}\overline{\Omega}_n^{(j)}(\omega)\};$$

მოთხოვნის ლოდინისა და სისტემაში ყოფნის მათემატიკური ლოდინი გამოითვლება შემდეგნაირად:

$$T_{\text{ლოდ}}=-\left|d(\omega\overline{\Phi}(\omega))/d\omega\right|_{\omega=o}\quad;\qquad T_{\text{სის}}=-\left|d(\omega\overline{\Psi}(\omega))/d\omega\right|_{\omega=o}$$

იმ შემთხვევებში, როცა საჭიროა სისტემის მდგომარეობების სტაციონალური ალბათობების განსაზღვრა, შეიძლება გამოვიყენოთ როგორც (2.1.1-2.1.12) განტოლებები, ასევე (2.1.16) სისტემა. მათში უნდა დავუშვათ, რომ $t\to\infty$ და t-მიხედვით ყველა წარმოებული გავუტოლოთ 0-ს.

ქვემოთ განხილულია სტაციონალური ალბათობების განსაზღვრა (2.1.16) სისტემიდან. გავამრავლოთ სისტემის ორივე მხარე s-ზე და გადავიდეთ ზღვარზე, როცა $s\to 0$, მივიღებთ:

$$[x-\overline{h}_{ii}(z(0))]W_i^p(x)-\sum_{\substack{\nu=o\\ n\nu\neq i}}^{m-1}\overline{h}_{\nu i}(z(0))W_\nu^p(x)=b_i(x),\ \ i=\overline{0,m-1}. \qquad (2.1.20)$$

სადაც

$$b_i(x)=x[-\tau_i(0)+\bar{g}(z(0))\sum_{c=o}^{m-1}a_c(0,x)\tau_c(0)+\sum_{c=o}^{m-1}d_c^i(0,x)\tau_c(0)]; \qquad z_o=(1-x)\lambda;$$

$$W_k^p(x)=\lim_{s\to o}\overline{W}_k^p(x,s);\ \tau_k(0)=\lim_{s\to o}s\bar{\tau}_k(s);\ \ a_c(0,x)=a_c(s,x)\big|_{s=o};\ \ d_c^i(0,x)=d_c^i(s,x)\big|_{s=o}.$$

განტოლებათა (2.1.20) სისტემა შეიცავს m განტოლებას 2m უცნობით $(W_i^p(x),\quad \tau_i(0),\quad i=\overline{0,m-1})$. მისი ამონახსნები ჩავწეროთ შემდეგი სახით:

$$(W_i^p(x)=\Delta_{mi}(x)/\Delta_m(x).$$

სადაც

$$\Delta_m(x)=\begin{vmatrix} x-\bar{h}_{oo}(z(0)) & -\bar{h}_{1o}(z(0)) & \dots & -\bar{h}_{m-1,0}(z(0)) \\ -\bar{h}_{o1}(z(0)) & x-\bar{h}_{11}(z(0)) & \dots & -\bar{h}_{m-1,1}(z(0)) \\ \dots & \dots & \dots & \dots \\ -\bar{h}_{o,m-1}(z(0)) & -\bar{h}_{1,m-1}(z(0)) & \dots & x-\bar{h}_{m-1,m-1}(z(0)) \end{vmatrix}$$

$$\Delta_{mi}(x)=\begin{vmatrix} x-\bar{h}_{oo}(z(0)) & -\bar{h}_{oo}(z(0)) & \dots & b_o(x) & -\bar{h}_{m-1}(z(0)) \\ -\bar{h}_{o1}(z(0)) & x-\bar{h}_{11}(z(0)) & \dots & b_1(x) & -\bar{h}_{m-1,1}(z(0)) \\ \dots & \dots & \dots & \dots & \dots \\ -\bar{h}_{o,m-1}(z(0)) & -\bar{h}_{1,m-1}(z(0)) & \dots & b_{m-1}(x) & x-\bar{h}_{m-1,m-1}(z(0)) \end{vmatrix}$$

$\Delta_m(x)$ და $\Delta_{mo}(x)$ დეტერმინანტები წარმოადგენს x-ის მიმართ ანალიზურ ფუნქციებს და $|x|\le 1$ არეში შეიცავს m მარტივ თანხვდენილ 0-ებს. ცხადია, რომ $\Delta_m(x)=0$ განტოლების ერთ-ერთი ფესვი წარმოადგენს 1-ს.

ადვილი მისახვედრია, რომ $\lim_{x\to 1}\sum_{i=0}^{m=1}b_i(x)=0;$

$\lim_{x\to 1}\sum_{j=0}^{m=1}\bar{h}_{ij}(z(0))=1;\quad (i=\overline{0,m-1}),\quad$ როცა $x\to 0\quad (z(0))=0)$.

შესაბამისად $\lim_{x\to 1}\Delta_{mi}(x)=0;\quad (i=\overline{0,m-1}).$

ამიტომ $\tau_i(0)$ -ის განსაზღვრისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ყველა m ფესვი, ე.ი. ყველა ფესვი x=1-ის გარდა.

ამგვარად, $\tau_i(0)$ -ის $i=\overline{0,m-1}$ განისაზრვრება შემდეგი სახის m-1 განტოლებიდან:

$$\Delta_{mo}(x_k)=0, \quad k=\overline{0,m-1}, \quad x_k\neq 1 \tag{2.1.21}$$

(2.1.21) სისტემას საჭიროა დავუმატოთ ნორმირების განტოლება სისტემის სტაციონალურ მდგომარეობაში:

$$\sum_{i=o}^{m-1}(\tau_i+\tau_i^*)+\sum_{i=o}^{m-1}\sum_{k=o}^{\infty}[q_i^{(k)}+q_i^{*(k)}]+\sum_{k=o}^{\infty}r^{(k)}+\sum_{i=o}^{m-1}\sum_{k=1}^{\infty}P_i^{(k)}=1 \tag{2.1.22}$$

უკვე შემოტანილი მაწარმოებელი ფუნქციების გამოყენებით (2.1.22) შეიძლება ჩავწეროთ შემდეგი სახით:

$$\sum_{i=o}^{m-1}(\tau_i+\tau_i^*)+\sum_{i=o}^{m-1}(q_i(1)+q_i^*(1))+z(1)+\sum_{k=o}^{m-1}P_i(1)=1 \tag{2.1.23}$$

სადაც

$$q_i(1)=\lim_{\substack{s\to o\\ x\to 1}}\sum_{k=o}^{\infty}x^k s\overline{q}_i^{(k)}(s)=\lim_{x\to 1}q_i(x)=\sum_{n=0}^{i}\overline{\omega}_n^{(i)}(\nu)[\sum_{n=0}^{i}\tau_k(0)(\overline{\varepsilon}_k^{(n)}(y_o+\beta)+\lambda\overline{\eta}_k^{(n)}(y_o+\beta);$$

$$q_i^*(1)=\lim_{\substack{s\to o\\ x\to 1}}\sum_{k=o}^{\infty}x^k s\overline{q}_i^*(s)=\lim_{x\to 1}q_i^*(x)=\sum_{n=o}^{i}\{\overline{\omega}_n^{(i)}(0)[\sum_{k=0}^{i}\tau_k(0)(\overline{\varepsilon}_k^{(n)}(y_o)+\lambda\overline{\eta}_k^{(n)}(y_o 0)]-$$

$$-\overline{\omega}_n^{(i)}(\nu)[\sum_{k=0}^{i}\tau_k(0)(\overline{\varepsilon}_k^{(n)}(y_o+\beta)+\lambda\overline{\eta}_k^{(n)}(y_o+\beta)]\}$$

$$r(1)=\lim_{\substack{s\to o\\ x\to 1}}\sum_{k=o}^{\infty}x^k sr^{(k)}(s)=\lim_{x\to 1}r(x)=\lim_{\substack{x\to o\\ z(o)\to o}}\frac{1-\overline{g}(z(0))}{z(0)}W^r(x)=\tau_{\text{აღ}}\sum_{c=o}^{m-1}a_c(0,1)\tau_{\text{ს}}(0);$$

$$\tau_{\text{აღ}}=-g'(0);$$

$$P_i(1)=\lim_{\substack{s\to o\\ x\to 1}}\sum_{k=o}^{\infty}x^k sP_i^{(k)}(s)=\lim_{x\to 1}P_i(x)=\lim_{\substack{x\to o\\ z(0)\to 0}}\frac{1-\overline{h}_i(z(0))}{z(0)}W_i^p(x)=\tau_{\text{დაგ}}W_i^p(1),$$

$$\tau_{\text{დაგ}}=-h'(0), \quad W_i^p(1)=\lim_{x\to 1}\frac{\Delta_{mi}(x)}{\Delta_m(x)}=\lim_{x\to 1}\frac{\Delta'_{mi}(x)}{\Delta'_m(x)}.$$

(2.1.21)-ისა და (2.1.23)-ის ერთობლივი ამოხსნის შედეგად განისაზღვრება $\tau_i(0)$ ($i=\overline{0,m-1}$), ხოლო შემდეგ სისტემის ყველა დანარჩენი ალბათობა.

2.2. აპარატურული და დროითი სიჭარბის მქონე მრავალპცესორიანი (მრავალმანქანიანი) გამოთვლითი სისტემის ფუნქციონირების ანალიზი

განვიხილავთ პარალელური დამუშავების ზოგად მოდელს. გამოკვლეულია აპარატურული და დროითი რეზერვის (სიჭარბის) მქონე მრავალპროცესორიანი და მრავალმანქანიანი გამოთვლითი სისტემა. იგი განიხილება, როგორც მმს გაერთიანებული რიგით და გაერთიანებული რესურსებით, მოთხოვნათა ერთი ან რამოდენიმე შემავალი ნაკადით. რამდენადაც მპსგ (მმგს) აპარატურული საიმედოობის გათვალისწინებით ნაკლებად შესწავლილია, ამიტომ ამ სახის ამოცანებისადმი ინტერესი ძალიან დიდია.

მათემატიკურ მოდელს აქვს შემდეგი სახე: მრავალპროცესორიანი და მრავალმანქანიანი გამოთვლითი სისტემა, რომელიც შედგება დამუშავების m მუშა იდენტური მოწყობილობისაგან (ხელსაწყოსაგან) და n-m ანალოგიური რეზერვული მოწყობილობისაგან, იტვირთება საერთო დავალებით რომლის შემოსვლის ინტენსივობაა λ; მტყუნებების და აღდგენების ინტენსივობები არის ცვლადი სიდიდეები, რომლებიც დამოკიდებულია სისტემაში მოთხოვნათა ყოფნაზე; მოწყობილობების ქმედითუნარიანობის კონტროლი, როდესაც სისტემაში არ არის მოთხოვნა, ხორციელდება უწყვეტად; ხოლო შუალედებში, როდესაც მოწყობილობათა კომპლექსი ამუშავებს მოთხოვნას, კონტროლი შეიძლება იყოს ნებისმიერი სახის (უწყვეტი, პერიოდული, შერეული, არასრული და არასარწმუნო).

ალბათური მაჩვენებლების ანალიზი წარმოებს შემდეგი დაშვებების პირობებში: ყოველი მოთხოვნის მომსახურების ხანგრძლივობა წარმოადგენს შემთხვევით სიდიდეს F(u) განაწილების ფუნქციით; მოწყობილობებში როგორც თავისუფალ, ასევე დაკავებულ მდგომარეობაში წარმოიქმნება მდგრადი და თვითაღდგენადი მტყუნებები, რომელთა აღმოჩენა ხდება კონტროლის სისტემის მიერ; თავისუფალ მდგომარეობაში

მუშა მოწყობილობების მტყუნებათა ინტენსივობაა α_1, ხოლო რეზერვების ინტენსივობაა α_2; მუშა მოწყობილობის მტყუნების მომენტში მის ადგილზე ხდება რეზერვის გადართვა, თუ ამ მომენტში გამართულია თუნდაც ერთი სარეზერვო მოწყობილობა; სისტემას ემსახურება ერთი სარემონტო ბრიგადა; თუ ბრიგადა თავისუფალია, მაშინვე იწყებს მწყობრიდან გამოსული მოწყობილობის აღდგენას; აღდგენის დრო წარმოადგენს შემთხვევით სიდიდეს მაჩვენებლიანი განაწილებით μ პარამეტრით; მიღებულია, რომ გადამრთველი მოწყობილობა აბსოლუტურად საიმედოა და გადართვის დრო უმნიშვნელოა; რიგში მდგომი მოთხოვნის დამუშავება იწყება მაშინვე, თუკი გამართულია თუნდაც ერთი მოწყობილობა; დამუშავება ხდება ბოლომდე, რის შემდეგაც მოთხოვნა ტოვებს სისტემას.

მოთხოვნის რიგში ლოდინისა და სისტემაში ყოფნის დრო არ არის შეზღუდული.

ყოველი მოთხოვნის მომსახურების დაწყებისას მმს შეიძლება იმყოფებოდეს ერთ-ერთ $(i=\overline{1,n})$ ქმედითუნარიან მდგომარეობაში: გამართულია ერთი, ორი და ა.შ. მოწყობილობა. ასეთივე მდგომარეობა შეიძლება იყოს მომსახურების დამთავრებისას.

მოთხოვნათა მომსახურების პროცესში მმს-ის აღწერისათვის შემოტანილია ალბათობა $H_{ij}(u)$.

2.2.1. რიგის ალბათური მახასიათებლების ანალიზი

მმს-ის მდგომარეობა შეიძლება მოცემულ იყოს შემდეგი ალბათობებით:

$R_i(t)$ არის ალბათობა იმისა, რომ ქმედითუნარიანი ხელსაწყოების რაოდენობა t მომენტში არის $i(i=\overline{1,n})$ და სისტემაში არ არის მოთხოვნა.

$R_o^{(k)}(t)$ არის ალბათობა იმისა, რომ t მომენტში ყველა n მოწყობილობა გამტყუნებულია და მოცდენის დროის განმავლობაში შემოვიდა k მოთხოვნა, k=1,2,3...

ცხადია, რომ $R_o^o(t) = R_o(t)$.

$P_i^{(k)}(t,u)du$ არის ალბათობა იმისა, რომ სისტემაში განაცხადთა რაოდენობა დროის t მომენტში ტოლია k-სი; მათგან ერთ-ერთი მომსახურდება z დროის განმავლობაში (u<z<u+du), ამასთან მისი მომსახურება დაიწყო i-ურ ქმედითუნარიან მდგომარეობაში მყოფმა მომსახურების სისტემამ.

მოთხოვნათა მომსახურების პროცესში მყოფი მომსახურების სისტემის ალბათობას, ამ მდგომარეობაში ყოფნის დროის ხანგრძლივობის გათვალისწინების გარეშე, აქვს შემდეგი სახე:

$$P_i^{(k)}(t) = \int_o^t P_i^{(k)}(t,u)du.$$

ნორმირების პირობას აქვს სახე:

$$\sum_{i=1}^{n} R_i(t) + \sum_{k=0}^{\infty} R_o^{(k)}(t) + \sum_{i=1}^{n}\sum_{k=1}^{\infty} P_i^{(k)}(t) = 1.$$

$R_i(t)$, $R_o^{(k)}(t)$ და $P_i^{(k)}(t,u)$ მიმართ, დიფერენციალურ რეკურენტული დამოკიდებულების შედგენისათვის, განვიხილავთ სისტემის მდგომარეობის შესაძლო ცვლილებებს დროის უსასრულოდ მცირე ინტერვალში (t,t+h). შემდეგ გადავალთ ზღვარზე, როცა $h \to 0$. ამ დამოკიდებულებაბს აქვს სახე:

$$R_o'(t) = -(\mu+\lambda)R_o(t) + \alpha_1 R_1(t) \qquad (2.2.1)$$

$$(R_o^{(k)}(t))' = (\mu+\lambda)R_o^{(k)}(t) + \lambda R_o^{(k-1)}(t), \quad k = 1,2,3... \qquad (2.2.2)$$

$$R_i'(t) = -[\lambda + (1-\delta_{in})\mu + \alpha_1]R_1(t) + \mu R_{i-1}(t) + (1-\delta_{in})\alpha_{i+1}R_{i+1}(t) +$$

$$+\sum_{\nu=1}^{n}\int_o^t P_\nu^{(1)}(t,u)r_{\nu i}(u)du, \quad i = \overline{1,n} \qquad (2.2.3)$$

$$\partial P_i^{(k)}(t,u)/\partial t + \partial P_i^{(k)}(t,u)/\partial u = -[\lambda + r_i(u)]P_i^{(k)}(t,u) +$$

$$+(1-\delta_{ki})\lambda P_i^{(k-1)}(t,u), \quad k = 1,2,3,... \qquad (2.2.4)$$

სადაც

$$\alpha_i = \delta_o(i<m)i\alpha_1 + \delta_1(i \ge m)[m\alpha_1 + (i-m)\alpha_2], \quad i = \overline{1,n}$$

$$\delta_{ij} = \begin{cases} 1, \text{როცა } i = j, \\ 0, \text{როცა } i \neq j, \end{cases} \delta_o(i < m) = \begin{cases} 1, \text{როცა } i < m, \\ 0, \text{როცა } i \geq m, \end{cases} \delta_1(i \geq m) = \begin{cases} 1, \text{როცა } i \geq m, \\ 0, \text{როცა } i < m. \end{cases}.$$

სასაზღვრო პირობებისათვის შეიძლება გამოვიყვანოთ შემდეგი დამოკიდებულებანი:

$$p_i^{(k)}(t,0) = \sum_{\nu=1}^{n} \int_o^t p_\nu^{(k+1)}(t,u) r_{\nu i}(u) du + \delta_{k1} \lambda R_i(t) + \delta_{i1} \mu R_o^{(k)}(t); \; i = \overline{1,n}; \; k = 1,2,3,.. \quad (2.2.5)$$

ვთქვათ, საწყის მომენტში მმს-ის ყველა მოწყობილობა გამართულია და არ არის მოთხოვნა, ე.ი. $R_n(0) = 1, \quad R_i(0) = 0 \quad (i = n)$

მაშინ 2.1 ქვეთავის ანალოგიურად (2.2.4) განტოლებების ამონახსნი უნდა ვეძებოთ შემდეგი სახით:

$$P_\nu^{(k)}(t,u) = \sum_{c=1}^{k} P_\nu^{(k)}(t-u,0)[1 - H_\nu(u)](\lambda u)^{k-c} e^{-\lambda u} /(k-c)! \quad \nu = \overline{1,n}, \quad k = 1,2,...$$

სადაც $P_\nu^{(c)}(t-u)$- ალბათობა იმისა, რომ მპგს (t-u, t-u+du) დროის შუალედში დაამთავრებს მიმდინარე მოთხოვნის შესრულებას და ν მდგომარეობაში დაიწყება მორიგი მოთხოვნის მომსაურება. ამასთან u დროის განმავლობაში მოთხოვნის მომსახურება არ დამთავრდება და ამ დროში სისტემაში შემოვა k-c მოთხოვნა. შემოვიტანოთ შემდეგი მაწარმოებელი ფუნქციები:

$$\begin{aligned} &P_i(x,t,u) = \sum_{k=1}^{\infty} x^k P_i^{(k)}(t,u) = [1 - H_i(u)] W_i(x,t-u) \exp[-(1-x)\lambda u]; \\ &R_o(x,t) = \sum_{k=1}^{\infty} x^k R_o(t) \end{aligned} \quad (2.2.6)$$

სადაც

$$W_i(x,t-u) = \sum_{k=1}^{\infty} x^k P_i^{(k)}(t-u,0) = P_i(x,t-u,0), \quad |x| < 1$$

(2.2.2)-ის ორივე მხარე გავამრავლოთ x^k-ზე და გადავიდეთ მაწარმოებელ ფუნქციებზე. (2.2.1)-ის გათვალისწინებით მივიღებთ:

$$\overline{R}_o(s) = \alpha_1 \overline{R}_1(s)/(s + \mu + \lambda); \quad \overline{R}_o(x,s) = \lambda x \overline{R}_o(s)/(\mu + z) \qquad (2.2.7)$$

სადაც $z = s + (1-x)\lambda$, ხოლო $R_o(s)$ და $R_o(x,s)$ წარმოადგენს $R_o(t)$-ს და $R_o(x,t)$-ს ლაპლასის გარდაქმნებს. ანალოგიურად, გავამრავლოთ (2.2.5)-

ის ორივე მხარე x^{k+1}-ზე და გადავიდეთ მაწარმოებელ ფუნქციებზე. შევკრიბოთ იგი (2.2.3) განტოლებასთან, რომლის ორივე მხარე გამრავლებულია x-ზე. შემდეგ გადავიდეთ ლაპლასის გარდაქმნაზე. (2.2.6)-ის და (2.2.7)-ის გათვალისწინებით მივიღებთ:

$$[x-\bar{h}_{ii}(z)]\overline{W}_i(x,s)-\sum_{\nu=1}^{n}\bar{h}_{\nu i}(z)\overline{W}_{\nu}(x,s)=b_i(x,s),\quad i=\overline{1,n} \tag{2.2.8}$$

$$\bar{P}_i(x,s)=[1-\bar{h}_i(z)]\overline{W}_i(x,s)/z.$$

სადაც $z=s+(1-x)\lambda;\quad \overline{W}_i(x,s)=\sum_{k=1}^{\infty}x^k P_i^{-(k)}(s,0),$

$$b_i(x,s)=\{\delta_{in}-[z+\alpha_i+(1-\delta_{in})\mu]\bar{R}_i(s)+(1-\delta_{in})\alpha_{i+1}\bar{R}_{i+1}(s)+$$

$$\mu\bar{R}_{i-1}(s)+\delta_{i1}\mu x\lambda\alpha_i\bar{R}_1(s)/(\mu+z)(s+\mu+\lambda)\}x;\quad \bar{h}_{ij}(s)\doteq h_{ij}(t);$$

$$\overline{W}_i(x,s)\doteq W_i(x,t);\quad \bar{R}_i(s)\doteq R_i(t);\quad \bar{P}_i^{(k)}(s,0)\doteq P_i^{(k)}(t,0);\quad \bar{P}_i\ (x,s)\doteq P_i\ (x,t)\,.$$

(2.2.8) განტოლების მარცხენა ნაწილი იმთხვევა (2.1.16) განტოლებას.

$$\begin{aligned}&\bar{h}_{ij}(z)=z\overline{H}_{ij}(z);\quad \bar{h}_{ij}(0)=H_{ij}(\infty)<1;\quad 0<\bar{h}_{ij}(0)<1\\&\bar{h}_i(0)=\sum_{j=1}^{n}\bar{h}_{ij}(0)=1,\quad \left|\bar{h}_{ij}(z)\right|<1,\quad \sum_{j=1}^{n}\left|\bar{h}_{ij}(z)\right|<1\end{aligned} \tag{2.2.9}$$

მოთხოვნის მომსახურების პროცესში სისტემის ალბათობების მაწარმოებელი ფუნქციის მნიშვნელობებს $(P_i(x,t))$, ამ მდგომარეომაში ყოფნის დროის გათვალისწინების გარეშე, აქვს შემდეგი სახე:

$$P_i(x,t)=\int_0^t P_i(x,t,u)du=\int_0^t[1-H_i(u)]W_i(x,t-u)\exp[-(1-x)\lambda u]du.$$

$P_i(x,t)$-ს და $P_i(x,t,u)$-ს ლაპლასის გარდაქმნებს წარმოადგენს:

$$P_i(x,s)=[1-\bar{h}_i(z)]\overline{W}_i(x,s)/z;\quad P_i(x,s,u)=[1-H_i(u)]\overline{W}_i(x,s)\exp[-zu]. \tag{2.2.10}$$

რადგანაც $\bar{P}_i(x,s)\quad(i=\overline{1,n})$ წარმოადგენს x-ის ანალიზურ ფუნქციას $|x|<1$ არეში, როცა s>0, ამიტომ (2.2.10)-დან გამომდინარეობს, რომ $\overline{W}_i(x,s)\quad(i=\overline{1,n})$ აგრეთვე წარმოადგენს x-ის ანალიზურ ფუნქციას ამავე არეში, როცა Res>0.

(2.2.18) განტოლებათა სისტემა შეიცავს n განტოლებას 2n უცნობით

$(\overline{R}(s),\quad \overline{W}_i(x,s)\quad (i=\overline{1,n}))$. ამ სისტემის ამონახსნი $\overline{W}_i(x,s)$-ის მიმართ ჩაიწერება შემდეგი სახით:

$$\overline{W}_i(x,s)=\Delta_{ni}(x,s)/\Delta_n(x,s),$$

სადაც

$$\Delta_n(x,s)=\begin{vmatrix} x-\overline{h}_{11}(z) & -\overline{h}_{21}(z) & -\overline{h}_{31}(z) & \dots & \overline{h}_{n1}(z) \\ \overline{h}_{12}(z) & x-\overline{h}_{22}(z) & -\overline{h}_{32}(z) & \dots & \overline{h}_{n2}(z) \\ \dots & \dots & \dots & \dots & \dots \\ \overline{h}_{1n}(z) & -\overline{h}_{2n}(z) & -\overline{h}_{3n}(z) & \dots & x-\overline{h}_{nn}(z) \end{vmatrix},$$

ხოლო $\Delta_{ni}(x,s)$ მიიღება $\Delta_n(x,s)$ დეტერმინანტისაგან, თუ მის i-ური სვეტის ელემენტებს შევცვლით შემდეგით: $b_1(x,s),\quad b_2(x,s),\dots b_n(x,s)$.

რადგანაც $\overline{W}_i(x,s)\quad (i=\overline{1,n})$ წარმოადგენს x-ის ანალიზურ ფუნქციას $|x|<1$ არეში, ამიტომ $\Delta_n(x,s)$ დეტერმინანტის ნულები უნდა დაემთხვეს $\Delta_{ni}(x,s)$ დეტერმინანტის ნულებს ამავე არეში (როგორც ნაჩვენები იყო $\Delta_n(x,s)$ დეტერმინანტს აქვს n ნული).

თუ x-ის მნიშვნელობებს, როცა $\Delta_n(x,s)=0$, აღვნიშნავთ $x_k=x_k(s)$-ით $(z_k=z_k(s),\quad x_k^o=x_k(0),\quad z_k^o=z_k(0))$, მაშინ ცხადი გახდება შემდეგი პირობების შესრულების აუცილებლობა:

$$\Delta_{ni}(x_k,s))=0\quad (k,i=\overline{1,n}) \tag{2.2.11}$$

კერძოდ, $\overline{R}_i(s)\quad (i=\overline{1,n})$ უცნობების განსაზღვრისათვის უნდა გამოვიყენოთ განტოლებათა სისტემა, რომელიც მიიღება $\Delta_n(x,s)$ დეტერმინანტისაგან შემდეგნაირად: მისი I სვეტის ელემენტები უნდა შევცვალოთ $b_1(x_k(s)),\dots b_n(x_k(s))$-ით, ხოლო z - $z_k=s+(1-x_k)$-თი, ე.ი. გამოვიყენებთ $\Delta_{ni}(x_k)=0$ განტოლებათა სისტემას. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ საწყისი პირობები $(R_n(0)=1,\quad R_i(0)=0,$ როცა $i\neq n$).

$$\sum_{i=1}^{n}\varphi_i(z_k)\overline{R}_i(s)=a_n(z_k),\quad k=\overline{1,n} \tag{2.2.12}$$

სადაც

$$\varphi_i(z_k)=a_i(z_k)[z_k+a_i+(1-\delta_{in})\mu]-a_i a_{i-1}(z_k)-$$
$$-\mu a_{i+1}(z_k)-\delta_{i1}a_i(z_k)\mu a/\mu+z_k),\quad a_{i+1}(z_k)=a_o(z_k)=0,$$

$$a_i(z_k) = \begin{vmatrix} -\bar{h}_{21}(z_k) & -\bar{h}_{31}(z_k) & \ldots & -\bar{h}_{n1}(z_k) \\ x_k - \bar{h}_{22}(z_k) & -\bar{h}_{32}(z_k) & \ldots & -\bar{h}_{n2}(z_k) \\ -\bar{h}_{23}(z_k) & x_k - \bar{h}_{33}(z_k) & \ldots & -\bar{h}_{n3}(z_k) \\ \ldots & \ldots & \ldots & \ldots \\ -\bar{h}_{2n}(z_k) & -\bar{h}_{3n}(z_k) & \ldots & x_k - \bar{h}_{nn}(z_k) \end{vmatrix}.$$

(2.2.12) განტოლებათა სისტემის დეტერმინანტი აღვნიშნოთ $\Delta\varphi$-ით, ხოლო დეტერმინანტი, რომელიც მიიღება $\Delta\varphi$-საგან მისი i-ური სვეტის $a_m(z_k)$-თი $(k=\overline{1,n})$ შევცვლით, აღვნიშნოთ $\Delta\varphi_i$-ით, მაშინ

$$\bar{R}_i(s) = \Delta\varphi_i / \Delta\varphi.$$

$\bar{R}_i(s)$-ის $(i=\overline{1,m})$ განსაზღვრის შემდეგ, ზემოთ მოყვანილი ფორმულების საშუალებით, განვსაზღვრავთ შემდეგს: $\bar{W}_i(x,s), \bar{R}_o(x,s), \bar{R}_o(s), \bar{P}_i(x,s)$.

რიგის სიგრძის განაწილების მაწარმოებელ ფუნქციას ექნება სახე:

$$\bar{L}(x,s) = \sum_{i=0}^{n} \bar{R}_i(s) + \bar{R}_o(x,s) + \sum_{i=1}^{n} \bar{P}_i(x,s)$$

$\bar{L}(x,s)$-ის საშუალებით, ცნობილი მეთოდების გამოყენებით, შეიძლება მივიღოთ რიგის სიგრძის ყველა რიცხვითი მახასიათებელი.

2.2.2.სტაციონალური მდგომარეობების ანალიზი

განვსაზღვროთ ზოგიერთი განხილული შემთხვევითი სიდიდის სტაციონალური მნიშვნელობები:

$$R_i = \lim_{t\to\infty} R_i(t) = \lim_{s\to\infty} s\bar{R}_i(s)$$

$$P_i(x,u) = \lim_{t\to\infty} P_i(x,t,u) = \lim_{s\to 0} s\bar{P}_i(x,s,u) = [1 - H_i(\omega)]W_i(x)\exp[-(1-x)\lambda u];$$

$$P_i(x) = \lim_{t\to\infty} P_i(x,t) = \lim_{s\to\infty} s\bar{P}_i(x,s) = [1 - \bar{h}_i(\lambda - \lambda x)]W_i(x)/(\lambda - \lambda x);$$

$$\bar{R}_o(x) = \lim_{t\to\infty} R_o(x,t) = \lim_{s\to\infty} s\bar{R}_o(x,s) = \lambda x a_1 R_1 / [\mu + (1-x)\lambda](s + \mu + \lambda); \qquad i = \overline{1,m}$$

სადაც

$$b_i(x) = \lim_{s\to 0} b_i(x,s)s = -[\lambda - \lambda x + a_i + (1-\delta_{1n})\mu]xR_i + \delta_{i1}\mu x R_o(x) +$$

$+(1-\delta_{1n})xa_{i+1}R_{i+1}+\mu xR_{i-1};$

$$W_i(x)=\lim_{s\to 0}\overline{W}_i(x,s)=\lim_{s\to 0}[s\Delta_{mi}(x,s)/\Delta_m(x,s); \qquad i=\overline{1,n}.$$

ცხადია, რომ სისტემის სტაციონალური მდგომარეობის განსაზღვრისათვის პირველ რიგში განვსაზღვროთ $R_i(i=\overline{1,n})$, რადგანაც მისი საშუალებით გამოისახება ყველა დანარჩენი ალბათობა:

$R_i(s)=\lim s\Delta\varphi_i/\Delta\varphi$, როცა $s\to 0$.

აქ, როცა $s\to 0$, მაშინ მრიცხველიც და მნიშვნელიც მიისწრაფის ნულისაკენ. ეს მტკიცებულება მრიცხველის მიმართ ცხადია.

ვაჩვენოთ, რომ $\lim\Delta\varphi_i=0$, როცა $s\to 0$. $\lim\Delta_n(x,s)=0$, როცა $s\to 0$ განტოლების ფესვი (დავუშვათ $x_1=x_1(s)$) მიისწრაფის ერთისაკენ. (ამაში დავრწმუნდებით უშუალოდ ჩასმით, ე.ი. $\Delta_n(1,0)=0$). თუ გავითვალისწინებთ, რომ $\sum_{j=1}^{n}\overline{h}_{ij}(o)=1$, ადვილად დავრწმუნდებით, რომ $\lim a_i(z_1)=\lim a_j(z_1)$, როცა $s\to 0$ $(i,j=\overline{1,n})$. შესაბამისად, (2.2.12)-დან მივიღებთ, რომ $\varphi_i(0)=0$ $(i=\overline{1,n})$. ამგვარად, დეტერმინანტი $\Delta\varphi=0$, როცა $s\to 0$, რადგანაც მისი I სტრიქონის ყველა ელემენტი ნულია. იმისათვის, რომ ვიპოვოთ R_i, აუცილებელია გავხსნათ 0/0 სახის განუსაზღვრელობა.

$R_i=\Delta\varphi_i/\Delta'\varphi$ $\quad (x_i^o=\lim x_i(s),\quad z_i^o=(1-x_i^o)\lambda$, როცა $s\to 0$).

სადაც

